სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

გენადი გელაძე

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის ასპექტები

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილი განათლების აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა: სოციალური პედაგოგიკა

მეცნიერ-ხელმძღვანელები:
ციალა მეგრელაძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი
ადამ მახარაძე - იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სრული პროფესორი

ბათუმი - 2012

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბაშვებთან პედაგოგიური საქმიანობის მეცნიერული ასპექტი 22

§ 1. ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვა 22

§ 2. ასაკობრივი თავისებურებები ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და იურიდიული თვალსაზრისით 47

თავი მეორე

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის გამოყენებითი ასპექტი 63

§ 1. რეალური ვითარების ანალიზი 63

§ 2. შეცვლილ გარემოში ქცევის აღზრდისა და განვითარების პრობლემები 78

თავი მესამე

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის პრაქტიკული ასპექტი 110

§ 1. სკოლაში რეინტეგრაცია 110

§ 2. პედაგოგიური საქმიანობა არასასკოლო გარემოში 128

თავი მეოთხე

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის ორგანიზაციული ასპექტი 146

§ 1. კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მისაღწევი კომპეტენციები სკოლის დონეზე 146

§ 2. ალტერნატიულ ორგანიზაციებში დასაქმებულ სპეციალისტთა კომპეტენტურობის მახასიათებლები..... 164

დასკვნები 169

გამოყენებული ლიტერატურა 173

შესავალი

საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე, ახლებურად განისაზღვრება განათლების მეცნიერებებათა ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები. თანამედროვე ეპოქაში საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა ბავშვთა სოციალური სტაბილურობისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით (2004) განსაზღვრულია, რომ სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

პიროვნების ფორმირება და სოციალურ ურთიერთობებში მისი ჩართვა მიმდინარეობს როგორც ორგანიზებულ პედაგოგიურ, ასევე სტიქიურ გარემოში, ისინი ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე, რაც შეიძლება ერთ შემთხვევაში ხელის შემწყობ, მეორე შემთხვევაში კი დამაბრკოლებელ ფაქტორად მოგვევლინოს. დადებით პედაგოგიურ გარემოში მოხვედრილი პიროვნება სათანადოდ ვითარდება, ხოლო ცუდ გარემოში მოხვედრისას მისი განვითარება ფერხდება და არასასურველი მიმართულებით მიდის.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე, იმ დაწესებულებებში, რომელთათვისაც სწავლება და აღზრდა არ წარმოადგენს ძირითად ფუნქციას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის საკითხების განხილვა როგორც პედაგოგიკური, ასევე იურიდიული თვალსაზრისით.

სოციალური გარემო ხშირად წარმოშობს მანკიერებებს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში. სამწუხაროდ, არასასურველი სოციალური გარემოსა და არასწორი აღზრდის შედეგად ყალიბდებიან დანაშაულის ჩამდენი და დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილი ბავშვები.

წყაროების ანალიზი და რეალური ვითარების შესწავლა ცხადყოფს, რომ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ბოლო პერიოდში უპირატესობა ენიჭება პედაგოგიური საშუალებების გამოყენებას. ამ მიმართებით, მეოცე საუკუნის 80-იანი

წლებიდან დაიწყო სერიოზული პედაგოგიური კვლევები. ა. ალექსეევი (1984) მიუთითებს, რომ არის საფუძველი ვისაუბროთ არა მარტო პედაგოგიკურ ფრაგმენტებზე, დანაშაულის აცილების ნიუანსებზე, არამედ კონკრეტულ პედაგოგიკურ საფუძვლებზე.

პედაგოგიკის მნიშვნელობა კრიმინოლოგიაში საკმაოდ აშკარაა, თუმცა საჭიროა მათი დამაკავშირებელი რგოლებისა და შემადგენელი ელემენტების ღრმად შესწავლა, - აღნიშნავენ ნ. დუბინინი, ი. კარპეცი, ვ კუდრიავცევი (1982).

„აღზრდის დეფექტი, კერძოდ, ზნეობრივი უზრდელობა, კრიმინოლოგების მიერ დიდი ხანია აღიარებულია კანონსაწინაღმდეგო ქცევის გენეზისში“ (ბაძაღუა 2008:124).

დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში პედაგოგიკის როლი ხაზგასმულია ა. სტოლიარენკოს ნაშრომში ,,იურიდიული პედაგოგიკა'' (2000), სადაც პედაგოგიკა წარმოდგენილია დანაშაულის თავიდან აცილების ხელშემწყობ საშუალებად.

პრევენციული პედაგოგიკის საკითხებს მიეძღვნა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მალხაზ ბაძაღუას (2008) გამოკვლევები. იგი აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება უფრო მარტივია, ვიდრე მისი შედეგების დაძლევა, და გამოყოფს პრევენციული პედაგოგიკის რამდენიმე ფუნქციას, რომლებიც დამახასიათებელია პრაქტიკაში პედაგოგიური პროფილაქტიკისათვის. მათ შორისაა მეთოდური ფუნქცია - აღზრდის მეთოდების, ხერხების, საშუალებების, ფორმების, ტექნოლოგიების საგულდაგულო, დეტალური დამუშავება და გამოყენება, რაც უზრუნველყოფს პედაგოგიური შესაძლებლობების სრულ და მართებულ რეალიზაციას პრაქტიკულ მუშაობაში.

განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ,,პენიტენციარული პედაგოგიკა'', რომელიც განსაზღვრავს დამნაშავეთა ხელახალი აღზრდა-გამოსწორების გზებს და საშუალებებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2008 წლის ივლისის რედაქცია) მიხედვით, 2008 წლის 1 ივლისიდან არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმისწარმოებას

ახორციელებენ მხოლოდ ის მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი ქართულ კანონმდებლობაში, რომელიც ახალი ეტაპის დაწყებას ნიშნავს და რომლითაც პედაგოგიკური და ფსიქოლოგიური საკითხების ცოდნა პირველად გახდა სავალდებულო სისხლის სამართლის საქმეებზე არასრულწლოვნებთან მომუშავე პირებისათვის.

დამნაშავედ ცნობილ ბავშვს პირველ რიგში ესაჭიროება ზრუნვა, რათა მოხდეს მისი რეინტეგრაცია. აქ მოიაზრება ყველა ის რელევანტური სერვისი, რომლის შეთავაზებაც შეუძლია ამა თუ იმ საზოგადოებას. მართლმსაჯულების საუკეთესო სისტემა არის იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვის კონტაქტი პოლიციასთან, სასამართლოსა და საპატიმროსთან არის მინიმალური. ბავშვის უფლებათა კონვენციის 39-ე მუხლი მოუწოდებს ქვეყნებს, რომ ყველა ზომა მიიღონ ბავშვთა რეინტეგრაციისათვის, ვინაიდან, როცა საქმე გვაქვს ზრდა-განვითარების პროცესში მყოფ ადამიანებთან, მიზანი უნდა იყოს არა მათი დასჯა, არამედ გამოსწორება, დახმარება იმის გააზრებაში, რაც ჩაიდინეს.

პოლიციასთან ურთიერთობა დაკავების, გასამართლების გზით, ბავშვზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს. მან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის განათლებაზე, ოჯახურ ცხოვრებასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. იმის მტკიცება, რომ პოლიციასთან ურთიერთობა ამცირებს დანაშაულის ჩადენას, მართებული არ არის.

დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში მოკვლეული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ იმ ბავშვებს, რომელთაც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, რეციდივის ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვთ. ასეთი ბავშვების თითქმის 75-80% ხელმეორედ ჩადის დანაშაულს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ დანაშაულზე რეაგირება არასისხლისსამართლებრივ დაწესებულებებში და ბავშვის მოცილება სისხლისსამართალწარმოების სისტემისგან უფრო მეტად უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენის შემცირებას, ვიდრე სისხლისსამართლებრივი დევნა. უნდა გვახსოვდეს, რომ ძირითად მიზანს რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია უნდა წარმოადგენდეს, - აღნიშნა

გაეროს ბავშვთა ფონდის ექსპერტმა ბავშვთა უფლებების სფეროში, ესექსის უნივერსიტეტის იურისპრუდენციის პროფესორმა ქალბატონმა ქეროლ ჰამილტონმა საქართველოში გამართულ შეხვედრაზე (2006).

ბავშვთა დაკავება, დაპატიმრება, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ან არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მათ მიაღწიეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, მაგრამ გაეროს ,,ბავშვის უფლებათა კონვენციის'' მიხედვით, ეს ზომები უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა და გრძელდებოდეს ხანმოკლე ვადით.

,,ბავშვის უფლებათა კონვენცია'' (1989) ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ ცნონ ბავშვთა უფლებები, რომელთაც შესაძლოა დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად. ასეთ ბავშვებთან მიმართებაში სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის ღირსების დაცვას, საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას.

ბავშვებისათვის თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოვიყენოთ, როგორც უკიდურესი ზომა და სასჯელის ვადაც მინიმალური უნდა იყოს, - ამბობს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამარბერგი (2006) და დასძენს: ევროპა, რომლის აშენებაც ჩვენ ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად გვსურს, იმ ბავშვებსაც გულისხმობს, რომელთა ცხოვრებაც ცუდად დაიწყო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1990 წელს შეიმუშავა ,,ერ რიადის წესების'' სახელწოდებით. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვთა დანაშაულის პრევენციას, რაც გულისხმობს მათ მართლზომიერ, სოციალურად სასარგებლო ღონისძიებებში ჩართვას, რათა ბავშვების

მიმართ საზოგადოებას ჩამოუყალიბდეს ჰუმანური განწყობა, შეიქმნას პირობები, რომლებიც განაპირობებს ბავშვებში არაკრიმინოგენული პოზიციის ჩამოყალიბებას.

,,ერ რიადის წესების'' თანახმად, პრევენციული პოლიტიკის გატარება გულისხმობს კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას, რაც სახელმწიფო პრიორიტეტად უნდა იქნეს აღიარებული და მასში ჩართული უნდა იყოს სახელმწიფო სამსახურები, კომპეტენტური ორგანოები და დაწესებულებები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოება. მთავარი მიზანი ბავშვის უფლებების, ინტერესებისა და კეთილდღეობის დაცვაა.

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფაში, რომლის ერთ-ერთი მიზანი ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების განვითარებაა. საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების პროცესში აქტიურადაა ჩართული ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 1 მარტიდან - 2009 წლის 31 დეკემბრამდე ბათუმის მუნიციპალიტეტში მოქმედებდა პროგრამა ,,კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაცია'', რომლის მიზნობრივი ჯგუფიც იყო პოლიციის განყოფილებებიდან, საპატიმრო დაწესებულებებიდან არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიებით განთავისუფლებული არასრულწლოვნები. ამ პროგრამაში ჩართული 18 ბენეფიციარის შემთხვევაში, განმეორებით კანონდარღვევის არც ერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' (2005) ითვალისწინებს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა ,,დისციპლინური გადაცდომა'' (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა), ,,დისციპლინური დევნა'' (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა), ,,დისციპლინური სახდელი'' (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების

შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომისთვის გათვალისწინე-ბული ზემოქმედების ზომა).

აღსანიშნავია, რომ ,,მოსწავლის ქცევის კოდექსის'' ახალი ვარიანტი (2010 წლის 30 აგვისტო) ადგენს ქცევის წესებს, რომელთაც მოსწავლე იცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს. ქცევის კოდექსი ხელს უწყობს სწავლისთვის ისეთი გარემოსა და პირობების შექმნას, სადაც მოსწავლე შეძლებს ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ღირებულებების ჩამოყალიბებას.

საქართველოს სკოლებში ამოქმედდა პროგრამა ,,უსაფრთხო სკოლა'', რომლის ერთ-ერთი მიზანია სკოლის საქმიანობაში დისციპლინის განსამტკიცებლად ყველა არსებული რესურსის გამოყენება. პროგრამის ამოცანებში გათვალისწინებულია დისციპლინური გადაცდომის აღმოფხვრა და ძალადობის პრევენცია. აღწერილია დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტების უფლება-მოვალეობანი, განსაზღვრულია ძირითადად გაცდენა-დაგვიანებებზე ორიენტირებული სკოლის შიდა აუდიტის საქმიანობის მახასიათებლები, მითითებულია კლასგარეშე დროის გამოყენების ორგანიზაციის ფორმები, აღნიშნულია, რომ პოლიცია სკოლასთან ითანამშრომლებს როგორც დანაშაულზე რეაგირების პროცესში, ასევე დანაშაულის პრევენციის მიზნითაც. დასახულია კვლევის ჩატარება სკოლებში ძალადობის ფორმების, მათი სიხშირისა და შესაძლო მიზეზების გამოვლენის მიზნით.

,,უსაფრთხო სკოლის'' პროგრამის ფარგლებში, 2010 წლის სექტემბრიდან - 2011 წლის სექტემბრამდე პერიოდში, თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ბათუმში განხორციელდა ,,მანდატურის სამსახურის'' პილოტირება, რომელიც შემდეგ საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე საქართველოს სხვა ქალაქებშიც გავრცელდა. ,,მანდატურის სამსახურის'' შეფასებას საფუძვლიანი შესწავლა და ანალიზი სჭირდება, რაც, თავის მხრივ, ცალკე კვლევის საგანია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგია'' და ,,სამოქმედო გეგმა'', რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის N591 ბრძანებულების საფუძველზე ამოქმედდა. იგი მოიცავს სხვადასხვა

სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხს, მასში წარმოდგენილია ღონისძიებები, რომელთა სრულფასოვნად განხორციელებით შესაძლებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი ზოგიერთი კატეგორიის ბავშვის რეაბილიტაციის კუთხით სასურველი შედეგის მიღწევა.

ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ ეხება პოლიციის განყოფილებებიდან და საპატიმრო დაწესებულებებიდან არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების სახით გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგიის შესავალშივე ხაზგასმულია, რომ პოლიცია და სოციალური სამსახურები ყოველთვის ვერ ახერხებენ დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფი ბავშვების იდენტიფიცირებას და მათთვის პრევენციული პროგრამების შეთავაზებას.

მკაფიოდ წარმოჩნდა დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილ და დანაშაულის ჩამდენ ბავშვებთან მუშაობის პრობლემა.

ხშირად რამდენიმე თვე ან წელი გადის, სანამ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და განისაზღვრება სასჯელის სახე იმ ბავშვთა მიმართ, რომელთა წინააღმდეგაც მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა. ამ პერიოდში ბავშვი გაურკვეველ ვითარებაშია, არც ერთი სახელმწიფო სარეაბილიტაციო და პრევენციული პროგრამა ამ მხრივ არ მოქმედებს. თუ ბავშვს საბოლოოდ მოსახდელი სასჯელის სახედ პირობითი მსჯავრი განესაზღვრა, მასთან მუშაობა იწყება სასჯელის შეფარდების, ანუ პრობაციის სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ, რაც, უმეტესწილად, დაგვიანებული და უშედეგოა.

ბავშვებს, რომლებიც თავისუფლდებიან პატიმრობიდან, სადაც მოთავსებულნი იყვნენ ერთ თვეზე მეტი ვადით, სურვილისა და მონდომების შემთხვევაშიც კი, პრობლემები ექმნებათ სკოლაში სწავლის გაგრძელებისათვის, რადგანაც პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულები ვერ ღებულობენ განათლებას, ხოლო სკოლებში მათთვის არ არის შემუშავებული სპეციალური წესები, რომლითაც შესძლებენ თანატოლების მიერ გავლილი სასწავლო პროგრამების დაძლევას, ხოლო უკანა კლასში ჩარჩენა არ სურთ, რაც ხშირად სკოლის მიტოვების მიზეზი ხდება.

საქართველოს კანონმდებლობაში ბოლო პერიოდში ამოქმედებული ახალი ინიციატივის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან შეწყვიტოს უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა და არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ (სისხლის სამართლის საპროცე-სო კოდექსი, მუხლი 105. ნორმის ამოქმედების თარიღი 30 სექტემბერი, 2010 წელი).

დამნაშავე და დანაშაულისკენ მიდრეკილ ბავშვებს დახმარება სჭირდებათ. ამ მიმართულებით საკმაოდ მდიდარი ტრადიციებია როგორც პედაგოგიურ მეცნიერებაში, ასევე პრაქტიკაში. მხედველობაში გვაქვს ბავშვთა დასჯის, როგორც აღზრდის მეთოდთან ზოგადად დაკავშირებული შეხედულებები (დ. ლორთქიფანიძე, ა. გობრონიძე, ტ. სარიშვილი, ა. მიშველაძე და სხვები).

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. მაკარენკოს ,,პედაგოგიური პოემა'', რომელშიც აღწერილია სამოქალაქო ომის შედეგად ქუჩაში დარჩენილი, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში შემჩნეული ბავშვების ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლის მაგალითები. მაკარენკო იყენებდა ისეთ პედაგოგიურ საშუალებებს, როგორიცაა შრომითი აღზრდა, ნდობა, დარწმუნება, თანადგომა, წახალისება, წესრიგის დაცვა ყველაფერში, ბავშვის პიროვნების პატივისცემა.

ბავშვთა რეაბილიტაციისათვის მოქმედებდა სპეციალიზებული სკოლები სამტრედიაში, შემდგომ – კაჭრეთში. პოლიციის (ყოფილი მილიციის) განყოფილებებთან არსებობდა ,,ბავშვთა ოთახი'', რომლის თანამშრომლები - პოლიციელები, უმეტესწილად, ქალები, თანამშრომლობდნენ სკოლებთან და საკმაოდ კარგი შედეგითაც. რაიონული საბჭოს აღმასკომთან მოქმედებდა ,,არასრულწლოვანთა საქმეების კომისია'', რომელიც კოორდინაციას უწევდა დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებებს. მნიშვნელოვანი იყო ცნობილი მოღვაწეების, ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პატრონობა და დახმარება გზააცდენილი ბავშვებისადმი.

საინტერესო მოდელია ე. წ. ,,უფროსი ძმების'' პროექტი, რომელიც თავდაპირველად დაარსდა აშშ-ში, ნიუ–იორკში და დღეს ეს ორგანიზაცია, გარდა

ამერიკის შეერთებული შტატებისა, მსოფლიოს 12-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ,,რისკჯგუფს'' მიკუთვნებულ არასრულწლოვანთათვის დახმარებას.

,,უფროსი ძმების'' მსგავსად, რამდენადმე სახეშეცვლილი ფორმით, 2011 წლის გაზაფხულიდან საქართველოშიც ამოქმედდა პროექტი ,,უფროსი მეგობარი'', რომელიც, უნდა ველოდოთ, რომ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაში.

მიუხედავად განხორციელებული საქმიანობისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვთა დასჯა–პატიმრობა. ამ საქმეში უდავოდ საჭირო და აუცილებელია პედაგოგიური საქმიანობის სწორად წარმართვა. პრობლემა არსებობს, გადაწყვეტილების გზები მოსაძებნია. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინის – ,,ბავშვი'' შერჩევისას საფუძვლად ავიღეთ ,,ბავშვის უფლებათა კონვენცია'', რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წელს. კონვენციის პირველი მუხლით დადგენილია, რომ ,,ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, სანამ 18 წლის ასაკს მიაღწევს''. ეს ასაკი შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობის მიერ მიღებული ტერმინის – ,,არასრულწლოვანის'' ასაკთან (18 წელს მიუღწეველი პირი ითვლება არასრულწლოვნად).

სკოლის პრაქტიკაში შინაგანაწესის დამრღვევი ბავშვები მოიხსენიებიან, როგორც ,,ძნელად აღსაზრდელები'', თუმცა არც საქართველოს კანონში ,,ზოგადი განათლების შესახებ'' (2005) და არც ,,მოსწავლის ქცევის კოდექსში'' (2010) ტერმინი ,,ძნელად აღსაზრდელი'' არ გვხვდება.

რამდენადაც ბავშვების მიმართ სამართლებრივი, სოციალური, პროფილაქტიკური და სხვა ღონისძიებები ხორციელდება ,,ბავშვის უფლებათა კონვენციაზე'' დაყრდნობით, პრიორიტეტი მივანიჭეთ ტერმინს – ,,ბავშვი''.

მრავალწლიანი პირადი გამოცდილების, რეალურ ვითარებაზე დაკვირვების საფუძველზე, ჩამოვაყალიბეთ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების კატეგორიები:

- ✓ პოლიციის განყოფილებებიდან, სასამართლოდან, პატიმრობის დაწესებულე-ბიდან არააღმკვეთი ღონისძიების სახით განთავისუფლებული ბავშვები (თავდებობა, გირაო, მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა);
- ✓ სკოლის მოსწავლეები, რომლებიც არღვევენ სკოლის შინაგანაწესს;
- ✓ პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფი ბავშვები;
- ✓ პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვები;
- ✓ მართლმსაჯულების სფეროს განრიდებული ბავშვები (დაზარალებულთან შერიგების გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში არმიცემულნი).

აღსანიშნავია, რომ სამართალდამრღვევ და დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილ ბავშვთა კატეგორიებად დაყოფა გვხვდება სოციალური პედაგოგიკის მკვლევრების შრომებში. მაგალითად, ფრანგი მეცნიერი ფრანსუაზა დალტო წიგნში ,,ბავშვის მხრიდან'' (2004) ბავშვთა სოციალური სამართლიანობის დაცვის ერთ-ერთ კატეგორიად მიიჩნევს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობას და აღნიშ-ნავს ამ მიმართებით პრობლემების კვლევის აუცილებლობას. რუსი მეცნიერი დ. ფელდშტეინი (1989) სამართალდამრღვევ ბავშვთა ხუთ კატეგორიას გამოყოფს, მათ შორის, მოზარდებს, რომლებიც შემთხვევით დაადგნენ სამართალდარღვევის გზას.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებით სასურველი შედეგების მიღწევისათვის გასათვალისწინებელია, რომ პედაგოგიური საქმიანობა ემყარება, ერთი მხრივ, ცოდნისა და უნარების ერთობლიობას იმის შესახებ, თუ როგორ დაიგეგმოს სამომავლო, ჯერ კიდევ განუხორციელებელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მეცნიერული კვლევის შედეგების, მეთოდური რეკომენდაციების, რჩევების, მითითებების, სახელმძღვანელოს დახმარებით, მეორე მხრივ კი – სინამდვილეში მიმდინარე სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ხარისხს, რაა მიღწეული და რა პრობლემებია დასაძლევი გამოცდილებით, კვალიფიკაციის კომპეტენციის ამაღლებით.

ორივე შემთხვევაში მთავარი პირია მასწავლებელი - კლასის დამრიგებელი, რომელიც პედაგოგიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ახორციელებს ცნობილი დიდაქტიკური და აღმზრდელობითი მეთოდებით, ხერხებით, ახალ სიტუაციაში გამოსადეგი ახალი საშუალებების დამუშავებით. მნიშვნელოვანია სკოლის

ადმინისტრაციის მხარდაჭერა, ზრუნვა, თანადგომა, კონტროლი და მატერიალური რესურსები.

არაორგანიზებულ, სტიქიურ გარემოშიც ხორციელდება ერთგვარი პედაგოგიური საქმიანობა იმათ მიერ, ვისთანაც ბავშვს ურთიერთობები აქვს: ასწავლიან, მიუთითებენ, აკეთებინებენ, არიგებენ, აქეზებენ. ასეთი პედაგოგიური საქმიანობა ხშირად არაკეთილსაიმედოა და საჭიროებს შეცვლას.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა მკაფიოდ წარმოჩნდა ჩემი (დისერტანტი) პირადი მონაწილეობით პატიმარ და პატიმრობიდან გათავისუფლებულ მოზარდთა უფლებების დაცვის, რეაბილიტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროექტებში (პროექტები განხორციელდა ევროკავშირის, გაეროს ბავშვთა ფონდის, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით). ათეულობით შემთხვევა გამოვლინდა, როცა სხვადასხვა დარღვევის გამო სკოლიდან გარიცხულები, მშობლებისგან უყურადღებოდ მიტოვებული, არაკეთილსაიმედო უფროსებთან მეგობრულ კონტაქტში მყოფი ბავშვები ჯერ პოლიციის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ – საპატიმრო დაწესებულებაში მოხვდნენ. ამგვარი დაწესებულებებიდან მათი განთავისუფლება და ნორმალურ გზაზე დაყენება ძალიან რთული საქმე აღმოჩნდა, მაშინ, როდესაც დროული და კვალიფიციური ჩარევა ადრევე უზრუნველყოფდა ბავშვის სიკეთისკენ შემობრუნებას და მის ცხოვრებას არ დაამძიმებდა პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გატარებული პერიოდი, საზოგადოება კი ღირსეულ წევრს არ დაკარგავდა.

დანაშაულის ჩამდენი ბავშვები, რომლებიც ციხეში ხვდებიან, საერთოდ ვარდებიან ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან, სულიერად უხეშდებიან და გამოუსწორებელ ბოროტმოქმედებად ყალიბდებიან, - წერს საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II 1997 წლის სააღდგომო ეპისტოლეში და გამოსავალს აღზრდისა და სწავლებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნაში, ბავშვთა ცხოვრების წესის შეცვლასა და შრომითი ჩვევის ჩამოყალიბებაში ხედავს.

თითოეული გზასაცდენილი ბავშვი საფრთხეა ოჯახისთვის, სკოლისთვის, საზოგადოებისათვის.

პრაქტიკული საჭიროებების გათვალისწინებით, წყაროების ანალიზის საფუძველზე, პირადი გამოცდილებით, რეალურ ვითარებაზე დაკვირვებითა და პერსპექტივის პროგნოზირების შემდეგ, დავინტერესდით საკვლევი პრობლემითა და მისი გადაჭრის გზების ძიებით.

აქვე განვმარტავთ, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობა გვესახება მეცნიერულ, გამოყენებით, პრაქტიკულ, ორგანიზაციულ ასპექტებში.

მეცნიერული ასპექტი გულისხმობს ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის შესახებ არსებული მეცნიერული შეხედულებების, კანონმდებლობის შესწავლის, დანაშაულის გამომწვევ მიზეზთა ახსნას, პროფილაქტიკურ (პრევენციული) ღონისძიებათა გატარების უპირატესობის დასაბუთებას, ასაკობრივი თავისებურებების შესწავლასა და გათვალისწინებას.

გამოყენებითი ასპექტი მოიცავს უახლესი კვლევის შედეგების, რეკომენდაციების, საერთაშორისო კონვენციების შესახებ ცოდნის გამოყენებას, ჯანსაღი გარემოს შექმნასა და მისი მიზნობრივად გამოყენების პრობლემებს, საქმიანობის დაგეგმვის საშუალებებს.

პრაქტიკული საქმიანობის ასპექტი ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგების, მშობლების, საზოგადოების საკლასო ჯგუფებში მუშაობის პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული ინიციატივების, საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების შესაბამისობას ბავშვთა უფლებების დაცვასთან.

ორგანიზაციული ასპექტი მოიცავს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობისთვის პედაგოგთა და სხვა სპეციალისტთა შერჩევის, კვალიფიკაციური კომპეტენციების დაუფლებისა და ამაღლების საკითხებს.

ამგვარი მიდგომით კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან განსახორციელებელი პედაგოგიური საქმიანობა ხდება მიზანმიმართული, ხელს უწყობს ბავშვის ყოველმხრივ შესწავლას და დახმარების ხარისხის ამაღლებას, საშუალებას იძლევა მკაფიოდ გამოიკვეთოს პრობლემები და მოიძებნოს მათი

გადაჭრის გზები, შეირჩეს განსაზღვრული შედეგების მისაღწევი მეთოდები, ფორმები, კომპეტენციები.

მიზანი: კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების ფორმების, მეთოდების, საშუალებების განსაზღვრა მეცნიერული, გამოყენებითი, პრაქტიკული და ორგანიზაციული ასპექტების მიხედვით.

ამოცანები:

1. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის მეცნიერულ ასპექტში ბავშვთა სოციალური, სამართლებრივი დაცვისა და ასაკობრივი თავისებურებების შესახებ პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და იურიდიული შეხედულებების ანალიზი;
2. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის გამოყენებითი ასპექტის მიხედვით არსებული ვითარების ანალიზი და შეცვლილ გარემოში ქცევის აღზრდისა და გარდაქმნის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საშუალებების განსაზღვრა;
3. სკოლაში რეინტეგრაციისა და არასასკოლო გარემოში კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის პრაქტიკულ ასპექტში განხორციელებისათვის ფორმების, მეთოდებისა და გზების შერჩევა;
4. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან საქმიანობის ორგანიზაციულ ასპექტში სკოლის დონეზე და სკოლის გარეთ დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებით მისაღწევი კომპეტენციის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდები: წყაროების ანალიზი, ინტერვიუ, სტატისტიკური ცხრილების ანალიზი, ანკეტირება, დაკვირვება, შედარებითი ანალიზი, გამორიცხვის მეთოდი, დოკუმენტაციის შესწავლა, ინტერნეტრესურსების მოძიება-დახარისხება, გამოცდილების შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მიზნის მიღწევისათვის შემუშავდა კვლევითი სტრატეგია, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისაგან: რაოდენობრივი კვლევა, თვისებრივი კვლევა. ცალკეული კვლევის მიზნის შესაბამისად შეირჩა მეთოდები. კვლევის შედეგების სანდოობისათვის ინტერვიუს, სტატისტიკური ცხრილების, შედგენილი ჩამონათვალის დამუშავებული ვარიანტები

განხილულ იქნა რესპონდენტებთან. ინტერვიუს შედეგები, სტატისტიკური მონაცემები რეკომენდაციის შემუშავებამდე და ნაშრომში ჩართვამდე გაეცნო შესაბამის ჯგუფებს. გათვალისწინებულ იქნა მათი შენიშვნები, წინადადებები. კვლევის შედეგების ანალიზის ობიექტურობისათვის გამოყენებულ იქნა ფოკუსჯგუფები სტუდენტებისა და მასწავლებლების შემადგენლობით, შეხვედრები, დიალოგები, დებატები სკოლის მოსწავლეებთან.

კვლევის ჰიპოთეზა: კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სასკოლო და არასასკოლო გარემოში სათანადო კომპეტენციით აღჭურვილი პედაგოგის - კლასის დამრიგებლის და სხვა დასაქმებული პირის მიერ მეცნიერული, გამოყენებითი, პრაქტიკული და ორგანიზაციული ასპექტებით გათვალისწინებული პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება განაპირობებს წარმატებულ შედეგს: ჯანსაღი ცხოვრებისკენ ბავშვთა შემობრუნებას, მათი განათლების ხელშეწყობას.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ბიბლიოთეკა, ინტერნეტრესურსები, პირადი ბიბლიოთეკა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, საჯარო სკოლები, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ოჯახები, ბავშვების საკითხებზე და ბავშვებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ბიბლიოთეკები და მასალები.

დასაცავად გამოტანილი საკითხები:

- კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ჯანსაღი ცხოვრებისაკენ შემობრუნებისათვის პრიორიტეტი ენიჭება მათ აღზრდასა და განვითარებას პედაგოგიურად ხელსაყრელ გარემოში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სპეციალურად ორგანიზებულ პედაგოგიურ გარემოზე (სკოლა) გავლენას ახდენს სტიქიური პედაგოგიური გარემო (ოჯახი, ქუჩა, მეგობრები). აუცილებელია პედაგოგიური საქმიანობის ორივე მიმართულებით წარმართვა;
- პედაგოგების, იურისტებისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მომუშავე სხვა სპეციალისტების მიერ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და

იურიდიული თვალსაზრისით განსაზღვრული ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ბავშვის მხრიდან საკუთარი ქმედების გამო დაკისრებული პასუხისმგებლობის აღქმასა და გაცნობიერებას, მეორე მხრივ, მის მიმართ პედაგოგიური საქმიანობისათვის შესაბამისი მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების შერჩევას;

- არასაკმარისია რეალურ ვითარებაში კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ მიმდინარე საქმიანობა. იგი შესაფერის ასახვას ვერ პოულობს კლასის დამრიგებლის, სკოლის ფსიქოლოგის, სკოლის ექიმის (ექთნის) საქმიანობაში;
- რეინტეგრაციის პროცესში შეცვლილ სასკოლო გარემოსთან შეგუებისა და შედეგიანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა, რათა კლასში დანერგილმა აღზრდის სისტემამ გავლენა მოახდინოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ქცევის ახალი მიმართულებით წარმართვაზე და არა პირიქით;
- პედაგოგიური საქმიანობით წარმატებული შედეგების მისაღწევად საჭიროა: დადებითი სასწავლო გარემოს შექმნა, ბავშვის სოციალური აქტიურობის პოზიციის დადგენა, ბავშვის შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა და მისი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი საქმიანობის წარმართვა, აღზრდის მეთოდების შერჩევა, საჭიროების შემთხვევაში ეკლესიის სასიკეთო ზეგავლენის ჩართვა, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ჩატარება;
- არასასკოლო გარემოში პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისათვის წარმატებული შედეგები მიიღწევა სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით მოქმედი მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამებით, საგრანტო პროექტებით, ბავშვთა განათლების ხელშეწყობისათვის მოკლევადიანი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახმარების ჯგუფების შექმნით, ფსიქოანალიტიკოსის კაბინეტის სოციალური პროგრამით ამოქმედებით;
- კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის მთავარი განმახორციელებელი პირის - კლასის დამრიგებლის კვალიფიციური კომპეტენციის ამაღლება სკოლის დონეზე განხორციელდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ კლასის დამრიგებელთა კათედრის მეშვეობით (ასეთი კათედრის ამოქმედების შემთხვევაში);

- სკოლის გარეთ დარჩენილ ან მათივე მდგომარეობით სკოლაში რეინტეგრაციისათვის შეუფერებელ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობისათვის სპეციალისტების შესარჩევი სოციალური კომპეტენციების განსაზღვრა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კომპეტენციის მისაღწევი მახასიათებლების განსაზღვრა ხელს შეუწყობს მათი მიზანმიმართული, ეფექტური საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

კვლევის მეცნიერული სიახლე: კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან სასკოლო და არასასკოლო გარემოში პედაგოგიური საქმიანობის ფორმები, მეთოდები და საშუალებები განხილულია მეცნიერულ, გამოყენებით, პრაქტიკულ და ორგანიზაციულ ასპექტში. ჩამოყალიბებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის განმახორციელებელი სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად მისაღწევ კომპეტენციათა ჩამონათვალი. განსაზღვრულია მათი მიღწევის გზები.

ნაშრომი შეავსებს და გააძლიერებს სოციალურ პედაგოგიკაში არსებულ მასალებს.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: პრაქტიკაში გამოყენების ხარისხის ამაღლების მიზნით, ნაშრომში მასალები წარმოდგენილია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის სხვადასხვა დონის კომპეტენციათა მიღწევის საშუალებების ნიმუშების, განსახორციელებელი რეკომენდაციების, რჩევების, აღწერის სახით.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წარმოადგენს:

კვლევის შედეგები დაეხმარება:

- საშუალო სკოლის მასწავლებლებს, კლასის დამრიგებლებს, ადმინისტრაციას, არასასკოლო გარემოში დასაქმებულ პირებს პედაგოგიური საქმიანობის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- უმაღლესი სკოლის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს სოციალურ პედაგოგიკაში სემინარების მომზადებასა და კვლევების ჩატარებაში.

- კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მომუშავე ადვოკატებს, გამომძიებლებს, პროკურორებს, მოსამართლეებს, საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებს.
- იმ არასამთავრობო, ალტერნატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან.

ნაშრომი სასარგებლოა მშობლებისათვის.

დისერტაციის სტრუქტურა: დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის (რვა პარაგრაფის), დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

დისერტაციის მოკლე შინაარსი

პირველი თავის - ,,კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის მეცნიერული ასპექტები'' პირველ პარაგრაფში განხილულია პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, იურიდიული სფეროს მეცნიერთა შეხედულებები ბავშვთა სოციალური, სამართლებრივი დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით. აღნიშნულია ბავშვთა აღზრდისა და განვითარების პროცესში სოციალური სფეროს გავლენის გათვალისწინების აუცილებლობა, დანაშაულისკენ მიდრეკილ და დანაშაულის ჩამდენ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის მიზანმიმართულად წარმართვის მნიშვნელობა.

მეორე პარაგრაფში გაანალიზებულია ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების შესახებ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და იურიდიული თვალსაზრისი. განხილულია ასაკობრივი თავისებურებების პერიოდიზაცია, რომლის გათვალისწინება საშუალებას იძლევა პედაგოგიური საქმიანობისათვის შერჩეულ იქნას ეფექტური მეთოდები და საშუალებები. მოცემულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის მაჩვენებლები. წარმოდგენილია ბავშვთა სამართლებრივი დასჯის ასაკის შესახებ გაეროს ,,ბავშვის უფლებათა კონვენციის'', სხვა საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების ანალიზი.

აღნიშნულია, რომ ყველა დოკუმენტი ბავშვის თავისუფლების აღკვეთით დასჯას მიიჩნევს უკიდურეს ზომად და პრიორიტეტს ანიჭებს პედაგოგიურ საქმიანობას.

მეორე თავის – ,,კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან საქმიანობის გამოყენებითი ასპექტი'' პირველ პარაგრაფში წარმოდგენილია არსებული ვითარების ანალიზი. აღნიშნულია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები არიან სკოლაშიც და სკოლის გარეთაც. სკოლაში მყოფთა მიმართ კონტროლი არის, მაგრამ არ ხორციელდება მიზანმიმართული საქმიანობა მათ მიმართ, არც სკოლის ფსიქოლოგებს აქვთ სპეციალური პროგრამა. კვლევის შედეგების მიხედვით გარკვეულია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის გაძლიერებას, სკოლაში რეინტეგრაციას მხარს უჭერს მასწავლებელთა და მოსწავლეთა უმეტესობა.

მეორე პარაგრაფში განხილულია შეცვლილ გარემოში ქცევის აღზრდისა და განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. გაანალიზებულია ამ მიმართებით პედაგოგიური საქმიანობის ფორმები და მეთოდები, საქმიანობის დაგეგმვის საკითხები.

მესამე თავის – ,,კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის პრაქტიკული ასპექტი'' პირველ პარაგრაფში სკოლაში რეინტეგრაციასთან მიმართებაში არის განხილული სასკოლო გარემოში დამხვდურ მოსწავლეთა შემადგენლობის გათვალისწინების საკითხები. გაანალიზებულია ბავშვის სოციალური აქტიურობის პოზიციის გამოვლენის პირობები, რაც ხელს შეუწყობს სწორად განისაზღვროს - რა უჭირს, რაში სჭირდება დახმარება ბავშვს, ასეთი მიდგომით ფორმებისა და მეთოდების შერჩევა ეფექტიანი შედეგის მომტანია. აღწერილია ბავშვთა შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნის მახასიათებლები და მის საფუძველზე საქმიანობის წარმართვის საშუალებები. გაანალიზებულია: სიტუაციის შესაფერისი მეთოდებისა და ფორმების შერჩევისა და გამოყენების მაგალითები, საჭიროების შემთხვევაში საქმიანობაში სკოლის ფსიქოლოგის, სკოლის ექიმის (ექთნის), სოციალური მუშაკის, გამოჩენილ მოღვაწეთა ჩართვის შესაძლებლობა.

აღწერილია სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის განსახორციელე-ბელი საქმიანობის საშუალებები. შერჩეულია სასურველი შედეგების მიღწევისათვის ეფექტური აღზრდის მეთოდები.

მეორე პარაგრაფში არაპედაგოგიურ გარემოში, ანუ სკოლის გარეთ განსახორციელებელ ფორმად მიჩნეულია საგრანტო პროგრამები. მუნიციპალიტეტის ან კერძო ინიციატივების დონეზე, ბავშვის განათლების ხელშეწყობისთვის მოკლევადიანი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ჯგუფების შექმნა. განხილულია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე, პატიმრობაში მყოფ და პატიმრობიდან განთავისუფლებულ ბავშვებთან მიმართებაში.

მეოთხე თავის – ,,კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის ორგანიზაციული ასპექტი'' პირველ პარაგრაფში განხილულია პედაგოგიური საქმიანობის განმახორციელებელი მთავარი პირის - კლასის დამრიგებლის კვალიფიციური კომპეტენციის ამაღლების საკითხები სკოლის დონეზე ,,კლასის დამრიგებელთა კათედრის'' ამოქმედებით. მოცემულია კათედრის სამუშაო გეგმა-პროგრამაში გასათვალისწინებელი საკითხები, აღწერილია ნიმუშები, ჩამოყალიბებულია კლასის დამრიგებლისა და სკოლის ადმინისტრაციის კვალიფიკაციის ასამაღლებლად მისაღწევი კომპეტენციები, განხილულია კლასის დამრიგებლის საქმიანობის შესაბამისობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებთან, პროფესიული ეთიკისა და კლასის დამრიგებლის პროგრამის მოთხოვნებთან; გაანალიზებულია აღმზრდელობით პროცესში გამოსადეგი მეთოდები, მოცემულია ჩატარებული კვლევის ანალიზი, თუ როგორ კონტინგენტთან უხდებოდათ და უხდებათ მუშაობა კლასის დამრიგებლებს. საუბარია კლასის დამრიგებლების ავტორიტეტის შესახებ. დასაბუთებულია სათანადო კვალიფიკაციის კომპეტენციების მიღწევის და პასუხისმგებლობით დადებითი შედეგების მიღება.

მეორე პარაგრაფში განსაზღვრულია სკოლის გარეთ პედაგოგიურ საქმიანობაში დასაქმებულ სპეციალისტთა შერჩევისა და კვალიფიკაციის მისაღწევი სოციალური კომპეტენციები. აღწერილია მათი საქმიანობის ფორმები.

თავი პირველი

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბაშვებთან პედაგოგიური საქმიანობის მეცნიერული ასპექტი

§ 1. ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვა

თანამედროვე ეპოქა ხასიათდება ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და განვითარების პროცესებზე სოციალური სფეროს დიდი გავლენით.

საზრუნავი და საწუხარი გახდა ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრობლემები. გაძლიერდა ამ მიმართულებით მიღებული საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნებისადმი ყურადღება. მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები, რათა დაეხმარონ ბავშვებს საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში.

პიროვნების განვითარებაში მნიშვნელოვანია, რა მოახდენს მასზე გავლენას, როგორ პირობებში გაიზრდება, რა მიდრეკილებები ექნება, როგორ ურთიერთობებს დაამყარებს სხვებთან, როგორ გარემოში იცხოვრებს. ამ მიმართებით დაბრკოლებას ქმნის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, პოლიტიკური კატაკლიზმები, დაძაბულობა, ადამიანის სიცოცხლის გაუფასურება, მშობლების მოუცლელობა, აგრესიულობისა და ძალადობის ამსახველი მასალის მოჭარბება მედიასივრცეში, არასწორად წარმართული პედაგოგიური საქმიანობა.

გადასაჭრელ პრობლემათა შორის განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩნდა იმ ბავშვთა დაცვისა და ზრუნვის პრობლემა, რომლებიც თავიანთი ქმედების გამო კანონთან წინააღმდეგობასა და კონფლიქტში აღმოჩნდნენ. ,,ბავშვი - დამნაშავე" - ეს არის მსხვერპლი იმ გარემოსა და საზოგადოებისა, რომელშიც ცხოვრობს და რომლისგანაც შემდგომ ყალიბდება პოტენციური დამნაშავე.

ბავშვთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შემცირებას აფერხებს დანაშაულობების არასწორი პრევენცია, მისი გამომწვევი მიზეზების არასწორი პროფილაქტიკა.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზების კვლევას მრავალი საინტერესო ნაშრომი და სტატია მიეძღვნა.

ვიზიარებთ პროფესორ ი. გოძიაშვილის მიერ განსაზღვრულ ჩამონათვალს ბავშვთა (არასრულწლოვანთა) მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამომწვევი მიზეზების შესახებ: 1) განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, დაქვეითებული ინტერესი სწავლისადმი, ინტერესთა და მოთხოვნილებათა პრიმიტიული ხასიათი; 2) ჰიპერბოლიზებული (გაზვიადებული) სწრაფვა სიამოვნების მიღებისკენ, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ, იარაღისაკენ, უქმი დროსტარებისკენ და ქცევის სხვა ასოციალური ფორმებისაკენ; 3) ფსევდომორალურ-სამართლებრივი ღირებულებები არ გამოირჩევა საკმარისი სიღრმითა და სიმყარით, რაც განაპირობებს არასრულწლოვან დამნაშავეთა ქცევის დამოკიდებულებას სიტუაციის მაპროვოცირებელ გავლენაზე, მსხვერპლის ქცევაზე, დანაშაულის უშუალო, ხშირ შემთხვევაში, ასაკით უფროსი მონაწილეების წაქეზებაზე, ასოციალურ გარემოზე; 4) სულიერი სფეროს სიღარიბე, გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, მომატებული აგრესიულობა, თანატოლებთან ურთიერთობისას კომპრომისის შეუძლებლობა, ორიენტაცია უხეშ ძალაზე, სწავლისა და სპორტისადმი სისტემატიური ინტერესის უქონლობა; 5) განათლების, ზოგადი კულტურის და სამართალშეგნების დეფექტების დამოკიდებულება ოჯახურ არაკეთილგანწყობაზე და გარემომცველი ყოფის უარყოფით გავლენაზე (გოძიაშვილი, 1998:189).

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ,,საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის'' სახელმწიფო მართვის სკოლის გამოცემაში ,,არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში'' აღწერილი ასოციალური ქცევის მიზეზები: ,,პიროვნება დანაშაულის ჩადენამდე მიჰყავს შემდეგ ფაქტორთა კომბინაციას: იმედგაცრუება, მიზნის მიღწევის შეზღუდულობა, დაბალი სოციალური კონტროლი, რაც მოზარდს უბიძგებს, კიდევ უფრო ღრმად შევიდეს კრიმინალურ სამყაროში. ეს, თავის მხრივ, იწვევს მათ სტიგმატიზაციასა და მარგინალიზაციას“ (ღონღაძე 2004:22).

,,რეგიონული ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების უმეტესობა ქალაქებშია აღრიცხული. ეს გასაგებიცაა, რადგან ქალაქში ცხოვრების თავისებურებანი და აქ არსებული სოციალური კონტროლის დონე

გაცილებით ჩამოუვარდება სოფლისას'', - აღწერს კრიმონოლოგი გიორგი ღლონტი (ღლონტი 2008:291).

საინტერესოა გიორგი ღლონტის მოსაზრებები სხვადასხვა ქალაქში არასრულწლოვანთა დანაშაულობების მიზეზების შესახებ: ,,იმ ქალაქებს შორის, რომლებშიც ყველაზე მეტადაა გავრცელებული არასრულწლოვანთა დანაშაულობა, გამოირჩევიან: ა) დედაქალაქები, რომლებიც მჭიდრო დასახლებით, არასრულწლოვანთა მობილურობის გაზრდილი შესაძლებლობით და არასრულწლოვან მიგრანტთა მაღალი წილით ხასიათდებიან. ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ფაქტორი ხელს უწყობს არასრულწლოვნების დროსტარების ანონიმურობას, რაც ზრდის მათი მხრიდან ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა ალბათობას; ბ) სამრეწველო ცენტრები, რომლებიც ძირითადად დასახლებულია დაბალი კვალიფიკაციის მუშათა ოჯახებით. როგორც წესი, სწორედ ასეთი ოჯახებიდან გამოდიან არასრულწლოვანი დამნაშავეები; გ) ქალაქი-კურორტები, რომელთა ცხოვრების სტილი არასრულწლოვნებს უქმად დროსტარებისა და ფულის მოპოვების არაკანონიერი გზებისკენ უბიძგებს“ (ღლონტი 2008:291).

ბავშვთა მიერ დანაშაულის ჩადენის ზემოთ აღნიშნული მიზეზები სწორი და ლოგიკურია, მაგრამ მოსაზრებას, რომ ,,როგორც წესი, დაბალი კვალიფიკაციის მუშათა ოჯახებიდან გამოდიან არასრულწლოვანი დამნაშავეები'' - ვერ დავეთანხმებით, რადგანაც პირადი გამოცდილებით და კვლევების პროცესებთან დაკავშირებით, ათობით კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთან გვიხდებოდა ურთიერთობა, რომლებიც მატერიალურად შეძლებულ და ყველანაირად სრულყოფილ ოჯახის შვილებს წარმოადგენდნენ.

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზების შესახებ საინტერესო კვლევაა წარმოდგენილი მაია ხასიას წიგნში ,,მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები'' (ნაწილი 2). კვლევაში მონაწილეობდა არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების თანამშრომლები და ამ დაწესებულებაში მოთავსებული (თავისუფლება აღკვეთილი) არასრულწლოვნები. ,,კვლევამ, თუ რა გახდა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველი, მოგვცა შემდეგი მიზეზების ნუსხა:

1. მძიმე ოჯახური და სოციალური პირობები;

2. კონფლიქტები ოჯახში, რაც ალბათ ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ ხდება არასრულწლოვანთა აგრესიის საფუძველი, რომელსაც ყველა თანამშრომელი ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს;

3. ოჯახში ფუნქციათა არასწორი გადანაწილება, რაც არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველი ხდება. არასრულწლოვანს, რომელსაც არა აქვს განათლება, პროფესია და ცხოვრებისეული გამოცდილება, უწევს ოჯახის რჩენა, თანაც ისეთ გარემოში, სადაც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი არ არის დასაქმების შესაძლებლობა. ლოგიკურია, ასეთ ვითარებაში არასრულწლოვანი მიდის დანაშაულამდე, ან ირჩევს ფულის შოვნის საქართველოში აპრობირებულ გზას - მათხოვრობას, რომელსაც საბოლოოდ მაინც დანაშაულამდე მიჰყავს იგი;

4. სახელმწიფოს როლი, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების აქტიური ჩარევის საჭიროება მოზარდთა ფორმირების პროცესში მანამ, სანამ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა მოხდებოდეს;

5. საზოგადოების როლი და მისი დადებითი ზეგავლენის დეფიციტი;

6. აღზრდის პრობლემები, ანუ არასწორი აღზრდა, აღზრდის დეფიციტი;

7. ფსიქოლოგიური პრობლემები. ფსიქოლოგის ინსტიტუტის დანერგვის აუცილებლობა, როგორც ციხეში მოხვედრის შემდეგ, ასევე მანამდე, სკოლაში მათი ჩამოყალიბების პროცესში და მათში სწორი და ეფექტიანი უნარ-ჩვევებისთვის ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა (ხასია 2006:13)

ბავშვთა მიერ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნია ის წინააღმდეგობა, რომელსაც ბავშვი აწყდება სასკოლო გარემოში. ესაა წინააღმდეგობა ბავშვსა და პედაგოგს, ბავშვსა და თანატოლებს, ბავშვსა და სკოლის დირექციას შორის, რომელიც ბავშვის მომავალ ცხოვრებაში მძიმე შედეგებით აისახება.

ამ წინააღმდეგობებს, კონფლიქტებს, მრავალწლიანი კვლევის შემდეგ სხვადასხვა დაავადებათა გამომწვევად მიიჩნევს ექიმი დუბროვსკი (1988).

ჩვენს მიერ ასამდე ყოფილ და მსჯავრდებულის სტატუსის მქონე (2008 წლის დეკემბრის მდგომარეობით) პირთან გასაუბრების ანალიზის შედეგებით, 32 პირი

მიიჩნევს, რომ დანაშაულისკენ სწრაფვის მიზეზი ბავშვობის დროინდელი წინააღმდეგობებით და კონფლიქტებით იყო გამოწვეული.

საყურადღებოა, რომ დიმიტრი უზნაძე, აღზრდის სოციალური ბუნების აღიარებისას, წინააღმდეგობას ბავშვსა და აღმზრდელს შორის, როგორც სკოლაში, ასევე ოჯახსა და საზოგადოებაში აღმზრდელობითი პროცესის უმთავრეს წინააღმდეგობად თვლიდა და ,,აღზრდის ძირითად ტრაგედიას'' უწოდებდა. უფსკრული აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ჩნდება იმიტომ, რომ აღმზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, თვლის, რომ აღსაზრდელის მომავალი კეთილდღეობის შესაქმნელად იღვწის, სინამდვილეში კი ყურადღებას არ აქცევს აღსაზრდელის სურვილებს, თავისებურებებს და ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარი მოტივებით. ის, რაც აღმზრდელის შეხედულებით, კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად იქცევა.

პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობად დიმიტრი უზნაძე მიიჩნევდა ბავშვის ბუნების უშუალოდ წვდომას, მისი გრძნობებისადმი, სოციალური მღელვარებისადმი თანადგომას. პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდა დისციპლინის, როგორც ნებისყოფის განვითარების პირობას და მიუთითებდა მის ორმხრივობაზე: ძლიერი ნებისყოფა შეიძლება გახდეს დამანგრეველი ძალა, მაგრამ შეიძლება გახდეს შემოქმედების საფუძველიც, თუკი დაკავშირებული იქნება ადამიანის ძირითად, მუდმივ ღირებულებებთან.

დიდი ფსიქოლოგის – დიმიტრი უზნაძის მიერ გასული საუკუნის დასაწყისში გამოთქმული მოსაზრება, რომ აღზრდის მთავარი ამოცანაა თითოეულმა ადამიანმა განახორციელოს თავისი დანიშნულება, სკოლა კი ის ორგანიზაციაა, რომელიც ამ ფუნქციის შესასრულებლად არსებობს, რომ სწორედ სკოლამ უნდა გამოძერწოს ის სულიერი ძალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანის შესაძლებლობების ზრდას, - წამყვანი გახდა თანამედროვე პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ყველა პროგრესულ კონცეფციაში (იმედაძე 2008:66).

ბავშვის მრავალმხრივ შესწავლა პედაგოგიური საქმიანობის წარმატების საწინდარია. ,,თუ პედაგოგს სურს აღზარდოს ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, უნდა

შეისწავლოს იგი ყველა ურთიერთობაში: ოჯახში, ხალხში, კლასში, საზოგადოებაში, სიდიადესა და დამცირებაში, წარმატებასა და წარუმატებლობაში. აღმზრდელმა უნდა იცოდეს ბავშვის ყოველნაირი საქმიანობის მიზეზები, დანაშაულობათა თუ დიდი აზრების დაბადების ისტორია, მხოლოდ მაშინ შესძლებს გამოიყენოს აღმზრდელობითი ზემოქმედების საშუალებები'' (უშინსკი, 1975:267).

აღმზრდელობითი საქმიანობა პედაგოგიკაში განიხლება, როგორც წინასწარ განზრახული და სპეციალურად ორგანიზებული პედაგოგიური პროცესი. გასათვალისწინებელია, რომ აღზრდას ეწევა გარემოც და ყოფითი გარემოცვაც, რომელიც არაწინასწარ განზრახულ და სტიქიურ ხასიათს ატარებს. პედაგოგიური პროცესი ვერ გაემიჯნება გარემოს სტიქიურ გავლენას. მისი გავლენის აღზრდის პროცესში გამოყენება შესაძლებელია დადებითი შედეგების წახალისებითა და უარყოფითის განეიტრალებით.

დღემდე არ არსებობს ,,აღზრდის'' ცნების ისეთი დეფინიცია, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნებოდა. ამ მხრივ საინტერესოა რამდენიმე მეცნიერ-მკვლევარის მოსაზრება:

,,აღზრდა შეიძლება განვმარტოთ, როგორც ადამიანის პიროვნებად თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესი. ,,სათანადო აღზრდა'' გულისხმობს ორგანიზებულ გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ საქმიანობას, რომელიც აღმზრდელისა და სპეციალური სააღმზრდელო დაწესებულებების საშუალებით ხორციელდება, მაგრამ აქ დგება სერიოზული და ძნელად გადასაჭრელი პრობლემა: რა ვუწოდოთ სტიქიურ, არაორგანიზებულ, დაუგეგმავ და მიზანმიმართულ პროცესს, რომელიც ხორციელდება ქუჩაში, ცუდი ამხანაგების წრეში. განა ცუდი აღზრდა აღზრდა არ არის? აკი ვამბობთ: ,,ეს ბავშვი ცუდად არის აღზრდილი'', ან კიდევ: ,,აი, რა სავალალო შედეგს იძლევა ცუდი აღზრდა'' და ა.შ.

ყოველივე ზემოთთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: აღზრდა ჰქვია იმას, რაც იხსნის ადამიანს გაუცხოებისაგან, რაც სრულყოფს მას და საბოლოო ჯამში პიროვნებად აქცევს'' (ბალანჩივაძე 2011:201).

,,აღზრდა – ეს არის პიროვნებაზე ორგანიზებული პედაგოგიური ზემოქმედება, საზოგადოების კონკრეტულად განსაზღვრული სოციალური თვისებების

ჩამოყალიბების მიზნით პირობების მიზანმიმართული შექმნა, რათა ადამიანმა აითვისოს კულტურული გამოცდილება თანდაყოლილი შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომ სტიმული მიეცეს მის თვითგანვითარებასა და დამოუკიდებლობას, როგორც პიროვნულ თვისებებს'' (გობრონიძე 2000:245).

აღმზრდელობითი პროცესი რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გარკვეული კანონზომიერებანი: ა) სოციალური პირობები, ანუ აღზრდის დამოკიდებულება სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ განვითარებაზე, საზოგადოების კულტურის დონეზე; ბ) ადამიანის ბუნება, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები; გ) კანონზომიერი კავშირი აღმზრდელობით ზემოქმედებას, თანამოქმედებასა და აღსაზრდელთა აქტიურ მოქმედებას შორის.

დანაშაულის ჩადენის მიზეზად ხშირად აღინიშნება ბავშვის სტრესული მდგომარეობა. საუკუნის მწვავე პრობლემა გახდა სტრესი. მისი გამომწვევი მრავალგვარი ფაქტორი არსებობს: სოციალური ვითარებიდან დაწყებული, პირადი უსიამოვნებებით დამთავრებული. სტრესი ბოლო პერიოდში სხვადასხვა კუთხით შესწავლის საგანია. მაგალითად, სტრესის მიმართება სწავლასთან (მაკარაძე 2009).

ბავშვთა უმრავლესობა სტრესის გადალახვის სამ ხერხს მიმართავს: პირველ შემთხვევაში ის აცნობიერებს, რომ სიტუაცია ცვალებადია, ცდილობს გაარკვიოს, თუ რა იწვევს სტრესს და გადაწყვიტოს, როგორ შეიძლება მისი დაძლევა. მეორე ხერხი შინაგანი, დაფარული პროცესია და მიმართულია ემოციების (მაგალითად, მწუხარების) კონტროლზე. სტრესის გადალახვის მესამე ხერხი გულისხმობს გაქცევით სტრატეგიას, როდესაც ადამიანი უარს ამბობს სტრესის დაძლევაზე და გადაინაცვლებს სხვა საქმიანობაზე, რომელიც, არცთუ იშვიათად, დანაშაულის ჩადენის წინაპირობა ხდება.

სტრესის გადალახვაში ბავშვს პირველ რიგში მშობლები და მასწავლებლები უნდა დაეხმარონ.

ყველა დროში არსებობდა და დღესაც მრავლად ვხვდებით ბავშვებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით მძიმე მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი (უსახსრობა, ახლობლის დაკარგვა, მშობლებისგან განშორება, მაწანწალობა, საყოფაცხოვრებო

პირობების უვარგისობა და ასე შემდეგ). თუ სტრესულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვს თანამგრძნობი და დამხმარე არ აღმოაჩნდა პედაგოგების, თანატოლების ან ალტერნატიული ორგანიზაციების სახით, იგი სხვაგან დაიწყებს მის ძებნას, იქ, სადაც ერთი შეხედვით ადვილად გაუგებენ, მოუსმენენ, და რეალურად ეს შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

აქ იქმნება სიტუაცია, რომ ,,სკოლამ, პედაგოგმა ხელი ჰკრას, მოლოდინი არ გაუმართლოს ბავშვს, ან პირიქით, დახმარების სხვადასხვა საშუალება შესთავაზოს, გაამხნევოს, საკუთარი თავის შეცნობა ასწავლოს, დაბრკოლება გაუიოლოს და მისი გადალახვის გზები აპოვნინოს'' (მეგრელაძე 2004:10).

დანაშაულის მიზეზი შეიძლება იყოს სრულფასოვანი მოთხოვნილებების ნაკლებობა. ამ შემთხვევაში ადამიანი მიდის სოციალური გრძნობების გაღარიბებამდე და სხვათა უფლებების უპატივცემულობამდე.

აბრაჰამ მასლოუმ (1908-1970) ჩამოაყალიბა ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქია. ფიზიოლოგური მოთხოვნები განლაგებულია ყველაზე ქვემოთ, ხოლო ადამინური მოთხოვნები - ზემოთ. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ პირამიდის სახით. პირამიდის ყოველი შემდგომი დონე დამოკიდებულია მის წინა დონეზე. მასლოუს მოთხოვნათა იერარქია შეიცავს შემდეგ დონეებს:

- ფიზიოლოგიური მოთხოვნები;
- უსაფრთხოების მოთხოვნები;
- სიყვარულის, ერთგულებისა და სიახლის მოთხოვნები;
- დაფასების მოთხოვნა;
- თვითრეალიზაციის მოთხოვნა.

მასლოუს სწამდა, რომ ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ ვერ იკმაყოფილებს პიროვნება ყველა მოთხოვნას, მდგომარეობს საზოგადოების მიერ მის გზაზე აღმართულ დაბრკოლებებში. მაგალითად, განათლება ხშირად არის დამაბრკოლებელი გარემოება, თუ იგი ნერგავს მოძველებულ იდეებს.

მეორე მხრივ, განახლებული სწავლების პროცესი ხელს უწყობს პიროვნების ზრდას. გასათვალისწინებელია მასლოუს მიერ შემოთავაზებული რჩევები:

- ჩვენ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, რომ იყვნენ მართალნი, გათვითცნობიერებულები და ესმოდეთ თავისი მოვალეობა.
- ჩვენ უნდა დავეხმაროთ, იპოვონ თავისი მოწოდება და ადგილი ცხოვრებაში. ეს განსაკუთრებით არსებითია, როდესაც ვლაპარაკობთ კარიერის და ცხოვრების თანამგზავრის სწორ შერჩევაზე.
- ჩვენ უნდა ვასწავლოთ, რომ ცხოვრება ძვირფასია, რომ ცხოვრებაში უნდა განვიცადოთ სიხარული, რომ სიცოცხლე მშვენიერია;
- ჩვენ უნდა მივიღოთ პიროვნება ისეთი, როგორიც არის და დავეხმაროთ მას გახდეს უკეთესი, შეისწავლოს თავისი შინაგანი ბუნება. პიროვნების მიდრეკილებებისა და შეზღუდვების შესახებ უნდა გაგვაჩნდეს ცოდნა.
- ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ პიროვნების მთავარი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
- ჩვენ უნდა გავუღვივოთ სინდისის გრძნობა, ვასწავლოთ, დააფასოს სილამაზე და სიკეთე.
- ჩვენ უნდა ვასწავლოთ, რომ კონტროლი კარგია და უყურადღებობა ცუდია. ყველა სფეროში ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საჭიროა კონტროლი.
- ჩვენ უნდა ვასწავლოთ პატარა პრობლემების იქეთ ხედვა და ცხოვრებაში სერიოზული პრობლემების გამკლავება, როგორიცაა არასამართლიანობის, ტკივილის, ტანჯვის და სიკვდილის პრობლემები.
- ჩვენ უნდა ვასწავლოთ, იყვნენ გარჩევის უნარიანნი. შეეძლოთ კარგი და ცუდი განასხვავონ ერთმანეთისგან.

ბავშვის დამნაშავედ ჩამოყალიბების უმთავრესი მიზეზი ოჯახია. მნიშვნელოვანია ოჯახის სოციალური ფუნქცია. ეს უკანასკნელი ანვითარებს ბავშვებში მთავარ სოციალურ ჩვევას, მორჩილებას ან მბრძანებლობას, აყალიბებს სულიერ და მორალურ გარემოს, აღვივებს სულში სიცოცხლის სიხარულს, ხალხისადმი სიყვარულს, ქმნის რელიგიური ცხოვრების საფუძველს. ოჯახში ვითარდება ის ძირითადი უნარ-ჩვევები, რომელიც შემდგომ მთელი ცხოვრების მანძილზე ახასიათებს ადამიანს. ოჯახში უნდა გამომუშავდეს სურვილის შესაძლებლობისადმი დაქვემდებარების უნარი.

ერთი შეხედვით, ქართული ოჯახური ტრადიციები ჯერჯერობით შორსაა ბევრ იმ პრობლემათაგან, რომლებმაც მოიცვა მსოფლიო, მაგრამ ყოველდღიური დაკვირვება და საკითხის სიღრმისეული ანალიზი ცხადყოფს, რომ დროულად არის საჭირო რიგი პრობლემების გაცნობიერება, რათა მისი თავიდან აცილება შევძლოთ.

დანაშაულის მიზეზების ოჯახში ძიება ცალკე კვლევის საგანია. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ მიმართებით არსებული პრობლემები ძველთაგანვე აღელვებდათ. მაგალითად, მეოთხე საუკუნის მოღვაწე იოანე ოქროპირი განსაკუთრებულ როლს ბავშვთა აღზრდაში მშობლებს აკისრებს. ,,ვისაც მშობლები არ სჯიან, მათ საერო კანონებით ასამართლებენ - ამბობდა დიდი მოძღვარი და მიმართავდა მამას: ,,ნუთუ შენ არ წითლდები და არ გრცხვენია, როცა შენს შვილს არიგებს და სჯის მოსამართლე და სხვისი გამოსასწორებელი ხდება ის, ვინც თავიდანვე შენთან ცხოვრობდა? როგორ არ იმალები? როგორ ბედავ შენს თავს უწოდო მამა, როცა არ აიძულე უკეთესად მოქცეულიყო და ამით უღალატე კიდეც, რადგან მის გამოსასწორებლად ყოველგვარ საშუალებას არ მიმართე და უყურადღებოდ დატოვე მაშინ, როცა ყოველგვარი ბიწიერებით იხრწნებოდა'' (წმინდა იოანე ოქროპირი 1991:134).

ბოლო წლებში საქართველოში აქტიურად განიხილება საკითხი, თუ რა უნდა გაკეთდეს ბავშვთა დანაშაულობების შესამცირებლად. ,,არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ სხვადასხვა მეთოდია აპრობირებული: სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება და ამ პროცესში ეკლესიის ჩართვა, კანონის გამკაცრება და სხვა. მაგრამ, როგორც მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, ყველაზე ნაკლებად ეფექტური კანონის გამკაცრება აღმოჩნდა. ჯერ კიდევ XVII საუკუნეებში მიხვდნენ ინგლისელები, რომ შიშზე დამყარებული კანონიერება შედეგს ვერ მოიტანდა. როდესაც ლონდონში, ტაუერის მოედანზე, ჯიბის ქურდებს საჯაროდ მარჯვენა ხელს აჭრიდნენ, ყველაზე მეტი ადამიანი მაშინ იძარცვებოდა, დასჯის ცერემონიალის ყურებით გართულ ლონდონელებს ქურდები ქისებს აჭრიდნენ. შიში ადამიანს კანონმორჩილად ვერ აქცევს'' (ენდელაძე 2009:87).

ამ მოსაზრების მოწინააღმდეგენი კანონის გამკაცრებას და თავისუფლების აღმკვეთ სასჯელებს უჭერენ მხარს. მათი აზრით ადამიანის გამოსწორება მხოლოდ

დახურულ გარემოში და საზოგადოებისგან იზილორებულ პირობებშია შესაძლებელი.

საინტერესო შედეგები მივიღეთ ამ კუთხით ჩატარებული კვლევების შედეგად.

კვლევის მიზანი: ბავშვთა დანაშაულების შემცირებისათვის განსახორციელებელი ეფექტური ღონისძიების დადგენა.

კვლევის მონაწილეები: 35 მოსწავლე, 30 სტუდენტი, 30 პედაგოგი და 30 მსჯავრდებული პირი (მათ შორის, 16 არასრულწლოვანი).

კვლევის მეთოდი: ანკეტირება, კვლევის შედეგების ანალიზი.

კვლევის ჩატარების დრო: 2008 წლის მაისი.

კვლევის პროცედურა: წინასწარ შემუშავებული კითხვარი გაეცნო კლასის დამრიგებლებს, ბავშვთა საკითხებზე დასაქმებულ იურისტებს, სოციალური და განათლების ფაკულტეტის სტუდენტებს. მათი შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე შედგა კითხვარის საბოლოო ვარიანტი. კვლევის მონაწილეებს კითხვარები დაურიგდათ წინასწარი კონსულტაციის გარეშე.

კითხვარების ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა:

თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ ბავშვთა დანაშაული შემცირდეს?						
№	**საქმიანობა**	**მოსწავლე**	**სტუდენ - ტი**	**პედაგოგი**	**მსჯავრდე - ბული**	**საერთო შედეგები**
1	კანონმდებლობის გამკაცრება	**1**	**3**	**0**	**0**	**4**
2	გამკაცრდეს უსაფრთხოების წესები სკოლებში	**5**	**9**	**4**	**3**	**21**
3	ქვეყანაში უნდა გაუმჯობესდეს სოც.–ეკ. მდგომარეობა	**8**	**5**	**5**	**7**	**25**
4	აღმზრდელობითი ინსტიტუტების გააქტიურება	**11**	**10**	**15**	**6**	**42**
5	სამართალდამცველი ორგანოების ეფექტური საქმიანობა	**6**	**1**	**3**	**0**	**10**
6	კანონმდებლობის ლიბერიზაცია	**4**	**2**	**3**	**14**	**23**



როგორც კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, გამოკითხული ადამიანების უმრავლესობა არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირების კუთხით საჭიროდ მიიჩნევს აღმზრდელობითი ინსტიტუტების გააქტიურებას. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ მხრივ ერთმანეთს დაემთხვა მოსწავლეების, სტუდენტებისა და პედაგოგების მოსაზრებები. მცირედი განსხვავებაა მსჯავრდებულთა მოსაზრებაში. ისინი არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირების კუთხით ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად კანონმდებლობის ლიბერალიზაციას მიიჩნევენ. ეს მონაცემი, თავის მხრივ, ძალზედ მნიშვნელოვანია და იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ მსჯავრდებულები თავიანთი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებით აანალიზებენ, რომ მკაცრი სასჯელი ადამიანის გამოსწორებას და დანაშაულის პრევენციას არ ნიშნავს.

მეორე პრიორიტეტად დასახელდა კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, ხოლო მომდევნო პრიორიტეტად განისაზღვრა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

კვლევაში მონაწილე 21 რესპონდენტის აზრით, არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირების კუთხით აუცილებელია სკოლაში უსაფრთხოების წესების გამკაცრება, რაც საინტერესოდ ემთხვევა სახელმწიფო სტრატეგიას საჯარო სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის ამოქმედების შესახებ.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების საკითხის განხილვის დროს მნიშვნელოვანია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ 2007 წელს ამოქმედებული პროგრამა ,,უსაფრთხო სკოლა'', რომელიც, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, თავისი შინაარსით ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია სკოლაში მოზარდებს შორის აგრესიის, ძალადობის და დანაშუალობის წინააღმდეგ მუშაობის თვალსაზრისით.

როგორც პროგრამა ,,უსაფრთხო სკოლის'' შესავალ ნაწილშია აღნიშნული, ,,ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სკოლა, ხშირ შემთხვევაში, ბავშვთა აგრესიისა და ძალადობის ერთ-ერთ კერად იქცა. შესაბამისად, ეს ხელს უშლის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებას. მოსწავლეთა დისციპლინა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სკოლის საქმიანობაში და მის განსამტკიცებლად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი'' (პროგრამა ,,უსაფრხო სკოლა'', თბილისი 2007:2). აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბდა პროგრამის თერთმეტი მიმართულება და ათი ქვეპროგრამა, რომელთა დიდი ნაწილი სიახლეს წარმოადგენს სკოლებისათვის.

პროგრამის პირველივე მიმართულება გულისხმობს ,,მოსწავლეთა ქცევის კოდექსის'' შემუშავებას, რომელიც არეგულირებს მოსწავლეთა ვალდებულებებს, დისციპლინური გადაცდომის სახეებს, ადგენს აკრძალული ნივთების ნუსხას, მოსწავლეთა ჩაცმის წესს.

პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება სკოლის მოსწავლეებთან ერთად მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ამოქმედებაცაა (2010).

ეთიკის კოდექსის მიხედვით, ,,მასწავლებელი ითავსებს მოსწავლის მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად და, მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, ეხმარება მას პირადი პრობლემების მოგვარებაში'' (მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი: 4.1).

პროგრამის ,,უსაფრთხო სკოლა'' ფარგლებში სკოლებში ამოქმედდა ახალი ინსტიტუტები: საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი, საჯარო სკოლის სააპელაციო კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომებისა და

წარმატებების აღრიცხვის მიზნით, სკოლები დავალდებულდა მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების კუთხით.

,,უსაფრთხო სკოლის'' ერთ-ერთი ყველაზე განსხვავებული სიახლე არის ,,სკოლისა და პოლიციის თანამშრომლობის'' პრიორიტეტად აღიარება. პროგრამაში მითითებულია, რომ სკოლა პოლიციასთან უნდა თანამშრომლობდეს როგორც დანაშაულზე რეაგირების პროცესში, ასევე დანაშაულის პრევენციის მიზნითაც.

პროგრამის აღნიშნული მიმართულება რეალურად პილოტირების ფორმით 2010 წლის სექტემბერში საქართველოს ოთხ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში და ბათუმში ამოქმედდა ,,მანდატურის ინსტიტუტის'' სახით (საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ,,მანდატურის სამსახური'' საქართველოს სხვა ქალაქებშიც გავრცელდა). ამ ინსტიტუტის შეფასებას საფუძვლიანი შესწავლა და ანალიზი ჭირდება, რაც ცალკე კვლევის საგანია.

მისასალმებელია მოსწავლეთა პირადი საქმეების შედგენის და სკოლის ვებგვერდზე განთავსების იდეა, რაც საშუალებას მისცემს მშობლებს ყოველდღიურად მიიღონ ამომწურავად ინფორმაცია თავიანთი შვილების სკოლაში საქმიანობის შესახებ.

მიუხედავად ბევრი დადებითი მომენტისა, პროგრამა ,,უსაფრთხო სკოლა'', ძირითადად, ძალადობის აღმოფხვრაზეა ორიენტირებული და საერთოდ არ ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციის პრობლემას. არადა, ამ კომპონენტის გარეშე უსაფრთხო სკოლის იდეის განხორციელება სასურველ შედეგს ვერ მიიღებს.

ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის საკითხების განხილვისას, გასათვალისწინებელია პედაგოგთა გამოცდილება და მეცნიერული შეხედულებები. ამ მიმართებით საინტერესოა ა. მაკარენკოს პედაგოგიური მიდგომები ომის შედეგად ქუჩაში უპატრონოდ დარჩენილი დამნაშავე და სასჯელს დაქვემდებარებული ბავშვების მიმართ. მაკარენკოს მთავარი მიზანი იყო ახალი ადამიანის ახალ ვითარებაში, ახალ საზოგადოებაში სწორი დამკვიდრება, მისი სწორი გაგება. ცნობილი პედაგოგის თვალსაზრისით, ადამიანებს ზოგადად და მით უფრო მოზარდებს უჭირთ ახალ გარემოში ურთიერთობათა სწორი გაგებისთვის და

დამყარებისთვის დამოუკიდებლად მომზადება. აქედან გამომდინარე, მაკარენკო უპირველეს ამოცანად განიხილავდა აღზრდის მიზანს, რომლის დროსაც პიროვნულისა და საზოგადოებრივის შერწყმას, ურთიერთდაკავშირებას მოითხოვდა. მაკარენკო წერდა: ,,პედაგოგიურ თეორიაში, თუმცა ეს უცნაურიც არის, აღმზრდელობითი მუშაობის მიზანი თითქმის მივიწყებულ კატეგორიად იქცა. შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს მეცნიერულ პედაგოგიკას სულაც არ ეკითხებოდეს ეს საკითხი'' (მაკარენკო 1950:3).

მაკარენკო მოითხოვდა განათლებისა და ქცევის ურთიერთკავშირს. მას სოციალური აღზრდის უმთავრეს პრინციპად შრომა მიაჩნდა. თავის ნაშრომში ,,პედაგოგიური პოემა'' ის დეტალურად აღწერს აღზრდის პროცესში სწორად დაგეგმილი შრომის მნიშვნელობას. ,,პედაგოგიურ პოემაში'' განხილულია მაგალითები, თუ როგორ იცვლებიან შრომით პროცესში მონაწილეობის დროს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში შემჩნეული ან ბრალდებული მოზარდები. ეს საქმიანობა 1920-იან წლებში ქალაქ პოლტავასთან ახლოს მდებარე კოლონიაში განხორციელდა, რომელსაც უშუალოდ მაკარენკო ხელძღვანელობდა. მოზარდების შრომით საქმიანობაში ჩართვა და ამ მეთოდით მათი რეაბილიტაცია კოლონიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, ეს ადვილი საქმე არ იყო და სასურველი შედეგების მიღწევას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა.

კოლონიაში მოხვედრილი პირველი ექვსი ბავშვი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ შეეგუა იქ დადგენილ წესებს, რომელიც ბავშვების და კოლონიის ყველა თანამშრომლის მიერ ერთობლივ ფიზიკურ შრომას და სავალდებულო სწავლას (გაკვეთილებზე გამოცხადებას) ეხებოდა. მაკარენკომ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მოახერხა ბავშვების შრომით და სასწავლო პროცესში ჩართვა.

მაკარენკო ბავშვის აღზრდის საქმეში აუცილებელ პირობად თვლიდა სკოლის, ოჯახის, ახალგაზრდული ორგანიზაციის, საწარმოო ორგანიზაციებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფართო საზოგადოების ერთობლივ მოქმედებას. მისი აზრით, ბავშვის აღზრდის საქმეში, სკოლასთან ერთად, უდიდესი როლი აკისრია ოჯახს და საოჯახო აღზრდას. იგი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ სკოლისა და ოჯახის სწორ ურთიერთკავშირს შეუძლია სწორი აღზრდის უზრუნველყოფა.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი ყველას ურჩევდა დანაშაულის აღიარებას, ცოდვათა მონანიებასა და აღთქმას, რომ ამიერიდან უარყონ ეშმაკი და ყოველი მისნი საქმენი. ასეთი საქციელი მათ სასჯელს ჯილდოდ გადააქცევს, მწუხარებას – სიხარულად, ერთი სიტყვით, სინანულში მყოფნი მოიგებენ ნაყოფს ,,კეთილსა გამართლებისა''. თავის ქადაგებებში ის მოუწოდებდა ახალგაზრდებს – ნუ მისცემდნენ სულში ბოროტ სულს ნიადაგს.

დიდი მოძღვარი საპყრობილეში მყოფთ თავისი ლოცვითა და ქადაგებებით ხშირად ამხნევებდა. 1890 წელს ქუთაისის საპყრობილეში წარმოთქმულ სიტყვაში წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი ბრძანებს: ,,სასჯელში ხართ, მწუხარე ხართ, მაგრამ თუ ჭკუას იხმართ, თუ ეცდებით, შეიძლება, რომ ეს თქვენი სასჯელი შემდეგ სასარგებლოდ დარჩეს თქვენთვის, ნაყოფი მოიგოთ, ესე იგი, გამართლდეთ სულიერად ღვთის წინაშე. მოგიტეოთ ღმერთმან ცოდვანი თქვენნი'' (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913:365).

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსმა ნდობით, გამხნევებით, მხარდაჭერით, სიყვარულით შეძლო ქურდობისა და ავაზაკობის გზაზე შემდგარი ახალგაზრდა საზოგადოებისთვის სასარგებლო ადამიანად ექცია.

საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II არაერთგზის გამოთქვამს წუხილს გზასაცდენილი ბავშვების მიმართ, მიუღებლად მიაჩნია მათი დასჯა თვისუფლების აღკვეთის ფორმით და ითხოვს ეკლესიას გადაეცეს ისინი აღსაზრდელად.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობს ფსიქოსოციალური მეთოდის გამოყენება (ლაიგი 2003), რომელიც გულისხმობს პიროვნების აზრების, გრძნობების, ქმედებების, მოთხოვნილებებისა და უნარების გარემოს მოთხოვნებთან და დახმარების სისტემასთან კორელაციას, გარემოსთან ბავშვის ურთიერთობის რეგულირებას.

ფსიქოსოციალური მეთოდის მთავარი მიზანი ბავშვის ამჟამინდელი მდგომარეობის განსაზღვრაა. ძირითადი ინფორმაცია გროვდება პირველადი დაკვირვების და შთაბეჭდილებების გააზრების საფუძველზე. ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ბავშვის ფიზიკური იერი, შეკითხვებზე არავერბალური პასუხი, ემოციური განწყობა, შინაგანი სამყარო, ცხოვრებისეული გამოცდილება.

ბავშვის შესახებ ინფორმაციის დაგროვების ძირითადი წყარო თვითონ ბავშვია, თუმცა სოციალური მუშაკი საჭირო ინფორმაციას ღებულობს სხვადასხვა წყაროდან. იგი ადგენს პრობლემის არსს და განსაზღვრავს სიძნელეებს.

პრობლემის გამოვლენის შემდეგ, საჭიროა მისი ღრმა ანალიზი. ანალიზისათვის კი, თავის მხრივ, საჭიროა მონაცემთა შეგროვება, დაკვირვების და მოსმენის მეთოდების მიზნობრივად გამოყენება, რათა ბავშვის ნდობა იქნეს მოპოვებული. ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება: ბავშვის ნაამბობი, ბავშვის მიერ შესრულებული ნახატი, დაწერილი თემები. სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე იწყება შეფასება, თუმცა მანამდე საჭიროა ბავშვის ფიზიკური გამოკვლევა, რათა გამოირიცხოს რაიმე უარყოფითი გავლენა.

,,სიტუაციის სასურველ დონეზე მართვისათვის უნდა მომზადდეს სიტუაციური ანალიზი, რომელიც იქნება სიტუაციის მართვაში ჩართული პირების მიერ განსახორციელებელი საქმიანობის საფუძველი. სიტუაციური ანალიზის ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ძირითადი ინფორმაცია, საკუთრივ პრობლემა, ბავშვის ისტორია, სიტუაციური დიაგნოზი, მოქმედებისა და ინტერვენციის გეგმა'' (მეგრელაძე 2009:117).

სიტუაციის მართვის პროცესის დასასრული გულისხმობს მიზნის მიღწევის ხარისხის განსაზღვრას. თუ შედეგები დაკმაყოფილებულია, წყდება საქმიანობა. მიღწეული შედეგების შეფასება ხდება პირველ მონაცემებთან შედარებით, მისაღწევი მიზნების გათვალისწინებით. თუ შედეგები სრულად ვერ იქნა მიღწეული, ან გეგმის განხორციელების დროს წარმოიშვა საჭიროება, შერჩეული მოქმედების გეგმა შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ შეიცვალოს.

ბავშვის დასახმარებლად დადებითი როლის შესრულება შეუძლია ფსიქოანალიტიკოსს. მას შეუძლია გაიგოს არა მხოლოდ ის, რასაც ბავშვი ამბობს, არამედ ისიც, რაც სურს გამოხატოს. ფსიქოანალიტიკოსს შესწევს უნარი – გახსნას ბავშვი, ჩაწვდეს მის გულისთქმას, დაეხმაროს ურთიერთობების მოგვარებაში.

პედაგოგიურ საქმიანობაში გასათვალისწინებელია მოზარდის ხასიათის თავისებურებანი. პიროვნების ხასიათის შესახებ მრავალ შეხედულებათაგან გავიზიარეთ შემდეგი: ,,ფსიქოლოგების აზრით, ზრდასრული ადამიანების მხოლოდ

40%-ს აქვს ე.წ. გაწონასწორებული ხასიათი. მოზარდებს შორის ასეთი გაწონასწორებული ხასიათი მხოლოდ 5%-ს აქვს. ამდენად, ადამიანთა უმრავლესობას აქვს არა გაწონასწორებული, არამედ აქცენტუირებული ხასიათი. ასეთი ხასიათის მქონე ადამიანი გადაჭარბებულად მგრძნობიარეა ზოგიერთი ფაქტორის მიმართ, მაშინ, როცა სხვა, თუნდაც პრობლემური ფაქტორებისადმი სიმყარეს ავლენს'' (მანჯავიძე 2008:117).

გამოყოფენ მოზარდთა ხასიათის აქცენტუაციის სხვადასხვა ტიპს (ბერეზინი, 2000; კოლესოვი 2001). თითოეულ ტიპს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ე.წ. ,,სუსტი წერტილი'', რაც იმას ნიშნავს, რომ ხასიათის თავისებურებების გამო გარკვეულ სიტუაციაში მოზარდი თავს ცუდად გრძნობს, იქცევა არაადეკვატურად. მშობლების ერთი შეხედვით უმტკივნეულო მიმართვამ, შენიშვნამ ან ქცევამ შესაძლოა გამოიწვიოს მოზარდის დეპრესია, პროტესტი, გაღიზიანება.

დანაშაულის ჩადენის მიდრეკილების მქონე ბავშვის გამოსავლენად მნიშვნელოვანია ვფლობდეთ ინფორმაციას მოზარდთა ხასიათის აქცენტუაციის რამდენიმე ტიპის შესახებ, კერძოდ:

ჰიპერთიმული - მოზარდები ხალისიანი გუნებაგანწყობით გამოირჩევიან, იზიდავთ ახალი ურთიერთობები, უჩნდებათ სურვილი მოსინჯონ საკუთარი ძალები ახალ სიტუაციაში. უყვართ რისკი და თავგადასავლები. ასეთმა მოზარდებმა, შესაძლოა, თანატოლებზე ადრე დაიწყონ ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მიღება, სექსუალური აქტივობა. მათ გამძაფრებული აქვთ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, ენერგიულობისა და ხალისიანობის წყალობით ადვილად იკავებენ ლიდერის ადგილს თანატოლების ჯგუფში.

ციკლოიდური ტიპი - ბავშვობაში ხშირად ჰიპერთიმულს წააგავს. მხოლოდ გარდატეხის ასაკში იწყება პერიოდული უგუნებობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია აპათიურობა, უხალისობა, ვერაფერს გულს ვერ უდებენ, უჭირთ მეცადინეობა, აღიზიანებთ ხალხთან ურთიერთობა, თანატოლებსაც თავს არიდებენ. ყველაფერს პესიმისტურად აღიქვამენ. საყვედურმა ან უმნიშვნელო წარუმატებლობამ მათში შესაძლოა გამოიწვიოს დეპრესია, მძაფრი აფექტური დეპრესია ან აფექტური რეაქცია თვითმკვლელობის მცდელობით.

ლაბილური ტიპის მოზარდები ბავშვობაში არ გამოირჩევიან თანატოლებისაგან, ამ ტიპის ბავშვებისათვის დამახასიათებელია გუნება-განწყობის მკვეთრი და ხშირი ცვალებადობა. მათ ახარებთ და სტიმულს მატებთ ყოველგვარი ყურადღების გამოვლენა. საყვედურებსა და გაკიცხვას ძალიან მტკივნეულად განიცდიან. სერიოზულმა პრობლემებმა, ფსიქიკურმა ტრავმებმა შეიძლება მძიმე ნევროზული რეაქციები გამოიწვიოს მათში.

ფსიქასთენიური ტიპისათვის კრიტიკულია სკოლაში სწავლის დაწყება, როცა იზრდება პასუხისმგებლობა, ძლიერდება შფოთვა, სიძნელეების და წარუმატებლობის შიში. ისეთმა კრიტიკულმა სიტუაციამ, როგორიც გამოცდებია, მათში შესაძლებელია გამოიწვიოს სულიერი წონასწორობის დაკარგვა. ამ ტიპის მოზარდებში შესაძლებელია გამოვლინდეს ისეთი პათოლოგიური ქცევა, როგორიცაა სახლიდან გაქცევის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღების, თვითმკვლელობის სურვილი.

შიზოიდური (აუტისტური) ტიპის მოზარდებისთვის დამახასიათებელია გარიყულობა და ჩაკეტილობა. ხშირად მათი გატაცებები გამოირჩევა უჩვეულობით, ხშირია ინტელექტუალ-ესთეტიკური ჰობი, მაგრამ გატაცებები ყველასგან დამალულია.

ეპილეპტოიდური ტიპის მოზარდებისათვის დამახასიათებელია მუდმივი ჭირვეულობა, ზოგჯერ ისინი სისასტიკეს იჩენენ - აწვალებენ ცხოველებს, ჩაგრავენ უმცროსებს, სუსტებს. თანატოლებთან ურთიერთობაში ცდილობენ მოიპოვონ ძალაუფლება, დაამყარონ ჯგუფში თავისი წესები.

ისტეროიდული (დემონსტრატიული) ტიპის მთავარი დამახიათებელია ყურადღების ცენტრში ყოფნის დაუცხრომელი სურვილი. გარდატეხის ასაკში თანატოლების ყურადღების მისაპყრობად ხშირად არღვევენ წესრიგს, უყვართ ტრაბახი, რომ ბევრს სვამენ ან ნარკოტიკებს იღებენ, მაგრამ ეს მხოლოდ შთაბეჭდილების მოსახდენად კეთდება.

არამდგრადი ტიპი - ბავშვობიდანვე გამოირჩევა მოუსვენრობით, მშიშარაა, მუდმივად თვალყური სჭირდება. ასეთი ტიპის მოზარდები არ გამოირჩევიან სკოლაში სწავლის სურვილით, აქტიურობით, არ უნდათ რაიმე მოვალეობის

შესრულება. განსაკუთრებით ისწრაფვიან სიამოვნების მიღებისკენ. მოზარდობის პერიოდშივე ისწრაფვიან მძაფრი განცდებისა და შთაბეჭდილებისაკენ. ამ მიზნით შეიძლება ალკოჰოლს ან ნარკოტიკებსაც მიმართონ, წესრიგის დარღვევა ან წვრილმანი სამართალდარღვევებიც უფრო გართობის მიზნით ხდება.

კონფორმული ტიპისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია გარემოს გადაჭარბებული კონფორმულობა. კარგ გარემოში ყალიბდებიან დადებით, შემსრულებელ პიროვნებებად, ხოლო ცუდ წრეში თანდათან ითვისებენ ამ წრისათვის დამახასიათებელ ქცევებსა და მანერებს.

დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილება უპირატესად გამოხატული აქვთ ჰიპერთიმული, ფსიქასთენიური, ისტეროიდული და არამდგრადი ქცევის ფსიქოლოგიური ტიპის მოზარდებს.

ყველა ბავშვი გადის განვითარების ერთსა და იმავე გზას, მაგრამ ხშირად შედეგი სხვადასხვაგვარია. განსხვავების მიუხედავად, ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება. საქართველოს კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ'' ბავშვს უფლება აქვს მიიღოს ზოგადი განათლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. განათლების მიღებაში არავის არ უნდა შეეშალოს ხელი, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. მაშინაც კი, როდესაც ბავშვები დისციპლინური დარღვევებისთვის ისჯებიან, მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ ბავშვის ადამიანური ღირსების შენარჩუნებაზე.

,,პლანეტაზე ორი მილიარდი ბავშვი ცხოვრობს სხვადასხვა რასისა და ფერის, ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის, ხასიათისა და ბედის. იყო ადამიანი სხვა ადამიანთა შორის, იპოვო საკუთარი ადგილი სამყაროში - ეს თითოეული ბავშვის უფლებაა და მისი უზრუნველყოფა სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს'' (ბიბილეიშვილი 2002:143).

პედაგოგიურ საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქცევის წესებსა და კანონებთან მიმართებაში მოსწავლის მორალურ განვითარებაზე ზრუნვა, რადგან ბავშვთა შეხედულებები, მორალური პრინციპები მათი ქცევის

განმსაზღვრელია. მაგალითად, თუ მოსწავლეები პატივს სცემენ სხვების უფლებებს, უსაფრთხოებასა და საკუთრებას, მაშინ მათგან ნაკლებად არის მოსალოდნელი ვანდალიზმი ან ქურდობა.

მორალური განვითარების საკითხებს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. ყურადღებას იპყრობს ლ. კოლბერგის მორალური განვითარების თეორია, რომლის თანახმად, ადამიანი მორალური განვითარების სამ დონეს გაივლის, რომლებიც განსხვავებული მორალური აზროვნებით, მსჯელობებით ხასიათდება. ადამიანი აღნიშნულ დონეებს ერთნაირი თანმიმდევრობით გადის, თუმცა განსხვავებული სისწრაფით/ტემპით.

წარმოვადგენთ სქემას წიგნის – ,,განვითარებისა და სწავლის თეორიები'' – მიხედვით (ჯანაშია, 2008:186):

კოლბერგის მორალური განვითარების სამი დონე და ექვსი სტადია		
ასაკი	**სტადია**	**დამახასიათებელი თვისებები**
დონე: პრეკონვენციური მორალი		
სკოლამდელი ასაკის ბავშვები დაწყებითი კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა, ბევრი საშუალო კლასის მოსწავლე და ზოგიერთი მაღალი კლასის მოსწავლე	1. დასჯის თავიდან აცილება და წესებისადმი დამორჩილება	მხოლოდ საკუთარი ინ-ტერესებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს და ყურადღებას არ აქცევენ სხვა ადამიანთა მოთხოვნილებებს და გრძნობებს. მათ შეიძლება დაარღვიონ წესები, თუ ნაკლები შანსი არსებობს იმისა, რომ ვინმე შეიტყობს ამის შესახებ. მათთვის „არასწორი“ საქციელი მხოლოდ ის არის, რომელსაც სასჯელი მოჰყვება.
	2. დახმარების გაცვლა-გამოცვლა	ისინი შეიძლება შეეცადონ, დააკმაყოფილონ სხვა ადამიანთა მოთხოვნები, თუ ამასთანავე მათი საჭიროებებიც დაკმაყოფილებული იქნება. მათთვის „არასწორი“ საქციელი ჯერ კიდევ ის არის, რომელსაც სასჯელი მოჰყვება.

დონე: კონვენციური მორალი		
დაწყებითი კლასის მოსწავლე, ზოგიერთი საშუალო კლასის მოსწავლე და ბევრი მაღალი კლასის მოსწავლე. მოზრდილი საზოგადოების დიდი ნაწილი ამ დონეზე აზროვნებს	3. კარგი ბიჭი/კარგი გოგო	ადამიანები ცდილობენ ისე მოიქცნენ, რომ სხვა ადამიანებს, განსაკუთრებით კი – გავლენიან და ავტორიტეტულ პირებს (მაგალითად, მასწავლებელს, პოპულარულ თანატოლებს) ასიამოვნონ.
	4. კანონი და წესრიგი	თვლიან, რომ მათი ვალია წესებს დაემორჩილონ. თუმცა ამ სტადიაზე მოაზროვნე ადამიანები წესებს და ნორმებს, ცოტა არ იყოს, დაუფიქრებლად ემორჩილებიან
დონე: პოსტკონვენციური მორალი		
ძალიან იშვიათია სკოლის ასაკის ბავშვებში, ძირითადად უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში იჩენს თავს	5. სოციალური/ საზოგადოებრივი კონტრაქტი	ადამიანები აცნობიერებენ, რომ საზოგადოების წესები წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთშეთანხმებას სწორი/შესაფერისი საქციელის შესახებ. ისინი თვლიან, რომ წესები საჭირო მექანიზმებია, რომლებიც გვეხმარება საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაში და ადამიანის უფლებების დაცვაში. მათი აზრით, წესების შეცვლა შესაძლებელია, და აუცილებელიც კი, იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღარ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს.

	6. უნივერსალური ეთიკური პრინციპები (ჰიპოთეზური იდეალური ეტაპი, რომელსაც ძალიან ცოტა ადამიანი აღწევს)	ადამიანების მორალური აზროვნება ეფუძნება აბსტრაქტულ და ზოგად პრინციპებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული საზოგადოების წესებზე და კანონებზე. ადამიანები სწორ და არასწორ საქციელს განსაზღვრავენ საკუთარ შინა-გან უნივერსალურ სტანდარტებზე დაყრდნობით. ამ დონეზე მოაზროვნე ადამიანები შეიძლება არ დაემორჩილონ წესებს და კანონებს, თუ ისინი მათ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის სასკოლო ცხოვრებაში გამოყენება ხელს უწყობს მასწავლებელს – შეაფასოს მოსწავლის მიერ მიღებული მორალური გადაწყვეტილება, განსაზღვროს, მორალური განვითარების რა ეტაპზე იმყოფება იგი და დაეხმაროს უკეთესობისკენ წინსვლაში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პედაგოგიურ პროცესში ემოციურ განცდასთან დაკავშირებული საკითხები (გოგიჩაიშვილი: 1998).

ადამიანთა ემოციური გამოვლინებები შეიძლება მათ ნამდვილ გრძნობებს არ ასახავდეს. მნიშვნელოვანია გაცნობიერებული ემოციების უკეთ ამოცნობის და გაგების უნარის განვითარება. მაგალითად, 8-9 წლის ბავშვს ესმის, რომ სირცხვი-ლის განცდა ორ გრძნობას მოიცავს: საკუთარი არაადეკვატურობის გამო საკუთარ თავზე გაბრაზებას და სევდას იმის გამო, რომ სხვა ადამიანებს იმედი გაუცრუა.

ემოციური ცნობიერების განვითარებას ხელს უწყობს კოგნიტური განვითარება და სოციალური გამოცდილებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია უფროსების (მშობლების, მასწავლებლების) მგრძნობიარე დამოკიდებულება ბავშვების განცდების მიმართ.

ემოციური რეგულაციის პროცესში ბავშვები ადარებენ თავიანთ მიღწევებს თანაკლასელების მიღწევებს და ცდილობენ მოიპოვონ თანატოლების მოწონება,

ბავშვებმა უნდა ისწავლონ იმ ნეგატიური ემოციების მართვაც, რომლებიც მათ თვითპატივისცემის/თვითრწმენის შეგრძნებას საშიშროებას უქმნის.

,,ბავშვები, რომლებსაც ემოციური რეგულაციის კარგი უნარი აქვთ, ბუნებით უფრო ოპტიმისტური არიან, ემპათიის უფრო კარგი უნარი გააჩნიათ და თანატოლებშიც უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ხოლო ბავშვები, რომლებსაც ემოციური რეგულაციის უნარი კარგად არა აქვთ განვითარებული, მოჭარბებულად განიცდიან უარყოფით ემოციებს, რაც მათ ხელს უშლის თანატოლებთან და მოზრდილ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში. გოგონებში ემოციური რეგულაციის ცუდი უნარი ხშირად მათ ზედმეტ მღელვარებაში გამოიხატება, რომელიც ქცევის პარალიზებას იწვევს; ხოლო ბიჭებში ხშირად აგრესიით და მტრული დამოკიდებულებით გამოვლინდება'' (ჯანაშია 2008:163).

მასწავლებელი და ყველა პიროვნება, ვინც ბავშვებთან მუშაობს, უნდა იცნობდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესწევდეს უნარი – ყველა სამართლებრივი მექანიზმი გამოიყენოს ბავშვის უფლებების დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ ათეული წელია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობს ,,ბავშვის უფლებათა კონვენციის'', ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის'' შესწავლა. მოსწავლეთა მხარდაჭერა მოიპოვა საგანმა ,,სამოქალაქო განათლება''.

საქართველო ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლის ნორმის მონაწილე და ვალდებულია დაიცვას მათი მოთხოვნები (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 6, ნაწილი 2).

ბავშვთა უფლებების დაცვისადმი დიდი ყურადღების მაჩვენებელია საერთაშორისო სამართლის ნორმების (სტანდარტების) სიმრავლე. წარმოვადგენთ ზოგიერთი საერთაშორისო სამართლის ნორმის ჩამონათვალს:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წელი);
- ევროპული კონვენცია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ (1975 წელი);

• კონვენცია ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ (1980 წელი);

• გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (,,პეკინური წესები“) (1985 წელი);

• ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989 წელი);

• სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას-თან დაკავშირებით (გაერო, ,,ერ-რიადის სახელმძღვანელო პრინციპები") (1990 წელი);

• გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვასთან დაკავშირებით (1990 წელი);

• ვენის სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დამოკიდებულების შესახებ (1997 წელი);

• ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ,,შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ (1999 წელი);

• კონვენცია ბავშთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ (1999 წელი);

• ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ,,ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (2001 წელი);

ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტები ადგენს არასრულწლოვანთა უფლებებს - დაკავების, დაპატიმრების, საპატიმრო დაწესებულებაში მოპყრობის დროს და განსაზღვრავს რეაბილიტაციის, განათლების და სოციალური უზრუნველყოფის სტანდარტებს, რომელთა შესრულება ცალკეულ შემთხვევებში რეკომენდებული, ხოლო უმეტესწილად – სავალდებულოა საერთაშორისო დოკუმენტების ხელმომწერი ქვეყნებისათვის (მათ შორის, საქართველოსთვის).

ის საერთაშორისო დოკუმენტები, რემელთაც სავალდებულო იურიდიული ძალა არ გააჩნიათ და მხოლოდ რეკომენდაციულ ხასიათს ატარებენ (მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია), საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მათი შესრულებაც ქვეყნებისთვის სავალდებოლო ნორმებად იქცა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანის

უფლებათა მდგომარეობის შეფასების დროს ეყრდნობიან როგორც სავალდებულო, ასევე რეკომენდაციის ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტებს.

ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრობლემები თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის უმთავრესი საზრუნავია. ეს ეხება ისეთ ბავშვებსაც, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ან დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ არიან და კანონთან კონფლიქტში იმყოფებიან. ამ მიმართებით პედაგოგიური საქმიანობით დადებითი შედეგების მიღწევისათვის სასურველია დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენა, მეცნიერთა შეხედულებების, გამოცდილების გათვალისწინება.

§ 2. ასაკობრივი თავისებურებები ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და იურიდიული თვალსაზრისით

იცვლება ეპოქა და იცვლება პიროვნების განვითარებისა და აღზრდის პირობები. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის მიზანმიმართულად და შედეგიანად წარმართვისათვის აუცილებელია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ უძველესი დროიდან იკვლევდნენ ასაკობრივი თავისებურებების პრობლემას.

ანტიკური ფილოსოფიის უდიდესმა წარმომადგენელმა არისტოტელემ (384-322 ძვ.წ.) პედაგოგიკის ისტორიაში პირველმა სცადა ბავშვისა და მოზარდის ასაკობრივი პერიოდიზაცია. მან აღზრდის პერიოდი სამ საფეხურად დაყო: 1) დაბადებიდან 7 წლამდე; 2) 7–დან 14 წლამდე; 3) 14 - დან 21 წლამდე. ცდა ბავშვისა და მოზარდის განვითარების პროცესის პერიოდებად დაყოფისა, ზოგადად, წინგადადგმული ნაბიჯი იყო (პედაგოგიკის ისტორია: 1988:30).

ჩეხმა პედაგოგმა იან ამოს კომენსკიმ (1592-1670) გამოყო ბავშვის ოთხი ასაკობრივი საფეხური: ბავშვობა, ყრმობა, სიყმაწვილე, მოწიფულობა. თითოეული ასაკობრივი საფეხურის მიხედვით განსაზღვრა სკოლის საფეხურები.

კომენსკის შეხედულებით, სწავლებისა და აღზრდის პირველ საფეხურს წარმოადგენს ,,დედობრივი სკოლა'', აქ ბავშვები იზრდებიან დაბადებიდან 6 წლამდე. ეს სკოლა უნდა არსებობდეს ყველა ოჯახში, სადაც საფუძველი უნდა

ჩაეყაროს ყველა დადებით ადამიანურ თვისებას. ექვს წლამდე ასაკის ბავშვთა აღზრდის დახასიათებისას კომენსკიმ განავითარა სკოლამდელი აღზრდის თეორია, რითაც საფუძველი ჩაუყარა სკოლამდელ პედაგოგიკას.

სკოლის მეორე საფეხურად მიაჩნია მშობლიური ენის სკოლა, რომელიც გათვალისწინებული იყო ყრმობის (6-დან 12 წლამდე) ასაკის ბავშვებისათვის. კომენსკის აზრით, ასეთი სკოლა ყველა თემში უნდა დაარსებულიყო და მიზნად ისახავდა ესწავლებინა ის, რაც ახალგაზრდას მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებოდა, რა სპეციალობისა და თანამდებობისაც არ უნდა გამხდარიყო იგი. ამ სკოლაში სწავლება უნდა შემდგარიყო მშობლიურ ენაზე, ბავშვისათვის გასაგებად.

სკოლის მესამე საფეხურად თვლიდა ლათინურ სკოლას, რომელიც ყოველ ქალაქში უნდა ყოფილიყო. აქ სწავლობენ 12-დან 18 წლის ასაკამდე ბავშვები (სიყმაწვილის ასაკი). აქ უნდა ისწავლებოდეს 4 ენა და გარდა ამისა შვიდი თავისუფალი ხელოვნება (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა), აგრეთვე ისეთი საგნები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ფიზიკოსების, გეოგრაფების, ქრონოლოგების, ისტორიკოსების, მორალისტების, ღვთისმეტყველების მომზადებას.

სწავლის მეოთხე საფეხურად მიაჩნდა აკადემია, რომელიც, კომენსკის აზრით, ყოველ სახელმწიფოში უნდა არსებულიყო. იგი უნდა წარმოადგენდეს ისეთ სასწავლო დაწესებულებას, სადაც ხდება ყველა მეცნიერების შესწავლის დასრულება და დამატებით იმ საგნების შესწავლა, რომლებიც უმაღლესი განათლების კურსს შეადგენს. კომენსკის აზრით: ,,აკადემია უნდა ზრდიდეს მხოლოდ შრომისმოყვარე, პატიოსან და უნარიან ადამიანებს და არ ითმენდეს ფსევდოსტუდენტებს, რომლებიც სხვებს უსაქმურობისა და ფუფუნების მაგალითს უჩვენებენ და ტყუილად ხარჯავენ დროსა და მამის ქონებას'' (პედაგოგიკის ისტორია: 1988:69).

ფრანგი განმანათლებელი ჟან-ჟაკ რუსო (1712-1779) პედაგოგიურ რომანში ,,ემილი ანუ აღზრდის შესახებ'' ბავშვისა და მოზარდის განვითარებას ოთხ პერიოდად ყოფს:

I. ჩვილობის ასაკი - დაბადებიდან ორ წლამდე;
II. შინაგან გრძნობათა განვითარების პერიოდი - ორიდან თორმეტ წლამდე;
III. გონებრივი განვითარების პერიოდი - თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე;

IV. ზნეობრივი განვითარების პერიოდი - თხუთმეტი წლიდან ზრდასრულობამდე.

რუსოს მოსაზრებით, სასურველია პირველ პერიოდში ბავშვი სოფელში იზრდებოდეს. მისი შეხედულებით, სოფელში უფრო ადვილია იმ საგნების დაუფლება და წვდომა, რომლებსაც ვაჩვენებთ ბავშვს. აღმზრდელის პიროვნებას, მის აზრს, აქ მეტი ავტორიტეტი ექნება, ვიდრე ქალაქში.

მეორე პერიოდში საჭიროა შეიქმნას რაც შეიძლება უკეთესი პირობები წარმოდგენებისა და შთაბეჭდილებების ფართოდ განვითარებისათვის. ბავშვს უნდა აღვუძრათ ინტერესი გარემოსა და გარემომცველი ადამიანების მიმართ. ამ ასაკში მთავარია გრძნობების სამყარო და არა ინტელექტის განვითარებისათვის ზრუნვა.

მესამე პერიოდისთვის, რუსოს აზრით, მთავარია ინტელექტუალური ძალების ფართოდ და ღრმად განვითარებისთვის ზრუნვა. ის უპირატესობას ანიჭებდა მათემატიკის და ბუნებისმეტყველების დაუფლებას. რუსო ამ ასაკობრივ საფეხურზეც არ მიიჩნევდა საჭიროდ წიგნების კითხვას.

მეოთხე პერიოდი, რუსოს აზრით, ახალგაზრდების ზნეობრივი სფეროს ფორმირების ხანაა. ამ ასაკში ახალგაზრდამ ბევრი წიგნი უნდა წაიკითხოს. პირველ რიგში, ის უნდა გაეცნოს გამოჩენილ ადამიანებზე შემქნილ ნაწარმოებებს, რომლებშიც ბევრს მისაბაძს და სასარგებლოს იპოვის.

გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა – სულხან-საბა ორბელიანმა (1658 - 1725). ,,ბავშვისა და მოზარდის განვითარება დაყო ოთხ პერიოდად. თითოეული პერიოდი მოიცავს ხუთ-ხუთ წელს. 5 წლამდე პერიოდი - სწავლების წინა საფეხური, 5-დან 10 წლამდე პერიოდი - დაბალი განათლება, 10-დან 15 წლამდე - საშუალო განათლება, 15-დან 20 წლამდე - მაღალი განათლება'' (თავზიშვილი 1968:50).

პედაგოგიური პროცესის სწორად წარმართვისათვის, პროფესორი ა. გობრონიძე (გობრონიძე 2000:87) დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიმიტრი უზნაძის მიერ განსაზღვრულ ბავშვთა განვითარების პერიოდიზაციას: ა) უმცროსი სასკოლო ასაკი, ბ) საშუალო სასკოლო ასაკი, გ) უფროსი საშუალო ასაკი.

უმცროსი სასკოლო ასაკი დაკავშირებულია ბავშვის დაწყებით კლასებში სწავლებასთან, რომლის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ფიზიკური განვითარება. არახელსაყრელ პირობებში ეს პროცესი შეიძლება განვითარდეს დიდი ანომალიებით.

მაგალითად, მავნე გავლენა შეიძლება მოახდინოს ფიზიკურმა გადატვირთვამ (ხანგრძლივი წერა, დამქანცველი ფიზიკური მუშაობა). მეცადინეობის დროს არასწორ ჯდომას შეუძლია გამოიწვიოს ხერხემლის გამრუდება და სხვა.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა აღზრდაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მუსიკა. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ესთეტიკურ, ისე ფიზიკურ აღზრდას. განსაკუთრებულია ამ ასაკის მოსწავლეებთან ურთიერთობაში მასწავლებლის პიროვნული როლი, ასევე მშობლებისა და უფროსების გავლენა, მათი გულისხმიერება და უნარი – სტიმული მისცენ ბავშვებს დადებითი ქცევების გამოვლენასა და უარყოფითის შეკავებაში.

საშუალო სასკოლო ასაკის მოზარდისთვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი წინსვლა აზროვნებაში, შემეცნებით მოქმედებაში. უმცროსკლასელებისგან განსხვავებით, ისინი უკვე აღარ კმაყოფილდებიან შესწავლილი საგნებისა და მოვლენების გარეგნული აღქმით და ისწრაფვიან, გაიგონ მათი არსი, მათში არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირები. ისინი მიილტვიან, ჩასწვდნენ შესწავლილი მოვლენის შინარსს, ცდილობენ ბევრი შეკითხვა დასვან ახალი მასალის შესწავლის დროს, მოითხოვენ მასწავლებლებისაგან ცალკეული დეტალების მეტ არგუმენტაციას.

მოზარდის საშუალო სასკოლო ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლაში შემდგომ წარმატებასა და გონებრივ განვითარებაში, ამიტომ აუცილებელია, ეს მუშაობა ხორციელდებოდეს პედაგოგიურად, წიგნიერად და ეფექტურად.

უფროს სასკოლო ასაკში მოზარდებს სრულიად შეგნებულად ესმით, რომ სწავლაში ფაქტებისა და მაგალითების ცოდნა ღირებულია, მხოლოდ როგორც მასალა ფიქრისათვის, თეორიული განზოგადებისათვის. ამიტომ მათ აზროვნებაში სჭარბობს ანალიტიკურ-სინთეზური პროცესები, მისწრაფება შედარებისადმი. თუ მასწავლებლები არ გამოიჩენენ სათანადო ზრუნვას მოსწავლეთა აზროვნებითი უნარების განვითარებისათვის, მაშინ ზოგიერთ უფროსკლასელს შეიძლება გაუჩნდეს მისწრაფება შესწავლილი მასალის ნახევრადმექანიკური დახსომებისაკენ. უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლის არსებით თავისებურებას წარმოადგენს გრძნობების გამახვილება ცხოვრების გზის არჩევისადმი.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ პერკინსი თვლის, რომ რაც უდრო მეტი იციან მოსწავლეებმა ფიქრის და სწავლის შესახებ, ანუ რაც უფრო მაღალია მათი მეტაკოგნიტური ცნობიერება, მით უფრო ეფექტურად სწავლობენ და უფრო მაღალ შედეგებს აღწევენ სკოლაში, რაც მათ აღზრდაშიც აისახება.

ტერმინი ,,მეტაკოგნიცია'' გულისხმობს აზროვნებას იმაზე, თუ როგორ ვაზროვნებთ. მეტაკოგნიცია მოიცავს მოსწავლეთა ცოდნას და შეხედულებებს თავიანთი კოგნიტური/შემეცნებითი პროცესების შესახებ. იგი, აგრეთვე, გულისხმობს მოსწავლეთა აზროვნების იმ პროცესებს და ქცევებს, რომლებსაც ისინი სწავლის და მეხსიერების გაუმჯობესების მიზნით იყენებენ.

პერკინსის მიერ შემოთავაზებულია მეტაკოგნაციის დამახასიათებელი თავისებურებები სხვადასხვა კლასის მოსწავლეებში (Perkins 2007):

III - V კლასების მოსწავლეებისთვის დამახასიათებელი ასაკობრივი თავისებურებები:

- ✓ ოდნავ გადაჭარბებით აფასებენ თავიანთი მეხსიერების შესაძლებლობებს;
- ✓ იწყებენ გაცნობიერებას: სწავლა აქტიური შემოქმედებითი პროცესია;
- ✓ ჯერ კიდევ სჯერათ, რომ აბსოლუტური სიმართლე არსებობს; ის ექსპერტებმა ან უკვე იციან, ან ჯერ არ აღმოუჩენიათ

მოსწავლეებთან მუშაობის დროს გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

- ✓ გააცანით მოსწავლეებს მარტივი ხერხები, რომლებიც მათ დაეხმარებათ სწავლის პროგრესის მონიტორინგში;
- ✓ გამოიკვლიეთ მეცნიერული მოვლენა პრაქტიკული დავალებების და ექსპერიმენტების საშუალებით; სთხოვეთ მოსწავლეებს, იწინასწარმეტყველონ, თუ რა მოხდება და იკამათონ მომხდარის ახსნაზე.

VI - VIII კლასების მოსწავლეებისთვის დამახასიათებელი ასაკობრივი თავისებურებები:

- ✓ იწყებენ სწავლის სტრატეგიების (მაგალითად, გამეორება, მასალის ორგანიზება) უფრო მოქნილად და თავისუფლად გამოყენებას;
- ✓ იყენებენ სწავლის მხოლოდ რამდენიმე სტრატეგიას, ძირითადად, არაეფექტურად (მაგალითად, ჩანაწერებს კარგად ვერ აკეთებენ);

✓ თანდათანობით აცნობიერებენ, რომ ცოდნას შეიძლება სუბიექტური ხასიათი ჰქონდეს; ხვდებიან, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები შეიძლება ერთნაირად საფუძვლიანი იყოს (მაგალითად, შეიძლება თქვან, რომ ,,ადამიანებს უფლება აქვთ, განსხვავებული აზრი ჰქონდეთ'').

მოსწავლეებთან მუშაობის დროს გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

✓ გააცანით მოსწავლეებს სწავლის ეფექტიანი სტრატეგიები; აჩვენეთ მათ ამ სტრატეგიების ეფექტურად გამოყენების მაგალითები;

✓ ხელი შეუწყვეთ მოსწავლეებს სწავლის სტრატეგიების გამოყენებაში (მაგალითად, მიეცით მონახაზი იმისა, თუ როგორ გააკეთონ ჩანაწერები, დაუსვით კითხვები სწავლის დროს);

✓ გაკვეთილზე გამოყავით დრო იმისათვის, რომ მოსწავლეებმა პატარა ჯგუფებში ერთად იმეცადინონ;

✓ გააცანით მოსწავლეებს განსხვავებული მოსაზრებები სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით.

IX - XII კლასების მოსწავლეებისთვის დამახასიათებელი ასაკობრივი თავისებურებები:

✓ გააჩნიათ უკეთესი, მაგრამ ჯერ კიდევ არასრული ცოდნა იმისა, თუ რომელი კოგნიტური/შემეცნებითი სტრატეგიებია ეფექტური სხვადასხვა სიტუაციაში;

✓ ზოგიერთი მათგანი მუდმივად იყენებს გამეორების სტრატეგიას;

✓ თანდათანობით აცნობიერებენ, რომ ცოდნა მოიცავს ცნებებს შორის ურთიერთკავშირების დანახვას და გაგებას;

✓ თანდათანობით აცნობიერებენ, რომ საგნის ან უნარის დაუფლება დროს და პრაქტიკას მოითხოვს.

მოსწავლეებთან მუშაობის დროს გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

✓ გააცანით მოსწავლეებს სწავლების ახალი, ეფექტური სტრატეგიები;

✓ შექმენით მოსწავლეთა შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც მასალის გაგებაზე, ინტეგრაციასა და გამოყენებაზე (და არა უბრალოდ ფაქტების დამახსოვრებაზე) გააკეთებს აქცენტს;

✓ სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ობიექტური კრიტერიუმები (როგორიც არის: ფაქტები და სხვა დამტკიცებული საბუთები, ლოგიკური აზროვნება) განსხვავებული მოსაზრებების შესაფასებლად.

ფსიქოლოგ ერიკ ერიკსონს მიაჩნდა, რომ ადამიანთა შეხედულებები საკუთარი თავის და სხვა ადამიანების შესახებ მთელი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვნად იცვლება. ერიკსონის ადამიანის განვითარების კლასიკური თეორია მოიცავს რვა ფსიქოსოციალურ სტადიას, რომლებსაც ადამიანები გაივლიან მათი ცხოვრების განმავლობაში (ერიკსონი 2008:144).

ერიკსონის მიერ შემოთავაზებული რვა ფსიქოსოციალური სტადიიდან ჩვენს საკვლევ მიზნობრივ პრობლემებს მხოლოდ მეოთხე და მეხუთე ეხება. ამ სტადიების სწორად გაგების და გააზრების მიზნით წარმოვადგენთ პირველ ხუთ სტადიას:

1. ნდობა უნდობლობის წინააღმდეგ (ბავშვის პირველი წელი) - ამ ასაკში ბავშვები სწავლობენ, აკმაყოფილებენ თუ არა გარშემო მყოფი ადამიანები, განსაკუთრებით, აღმზრდელები, მათ ძირითად მოთხოვნილებებს. ამ ადამიანთა ქცევიდან გამომდინარე ბავშვი სწავლობს ნდობას ან უნდობლობას.

2. ავტონომია სირცხვილის და ეჭვის წინააღმდეგ (1-3 წლის ასაკი) - ამ ასაკში ბავშვი იწყებს დამოუკიდებლად ჭამას, დაბანას, ჩაცმას, საპირფარეშოს გამოყენებას. თუ ბავშვის აღმზრდელები ამხნევებენ მის დამოუკიდებელ მოქმედებას, ბავშვს უვითარდება ავტონომიის განცდა. ხოლო, თუ აღმზრდელები არ აძლევენ ბავშვს ასეთი ამოცანების დამოუკიდებლად შესრულების უფლებას, ბავშვს უყალიბდება სირცხვილის და ეჭვის გრძნობა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ.

3. ინიციატივა დანაშაულის გრძნობის წინააღმდეგ (3-5 წლის ასაკი) - ამ ასაკის ბავშვები ხანდახან ისეთი ამოცანის შესრულებას ცდილობენ, რომელიც მათ შესაძლებლობებს აღემატება. თუ აღმზრდელები (მშობლები, ბაღის აღმზრდელები) აქეზებენ, ამხნევებენ ბავშვების მცდელობებს და ეხმარებიან მათ რეალისტური და შესაფერისი არჩევანის გაკეთებაში, ბავშვებს უვითარდებათ ინიციატივის გრძნობა - საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვის და შესრულების უნარი, ხოლო თუ აღმზრდელები არ აძლევენ ბავშვებს ამის უფლებას, მაშინ ბავშვებს უჩნდებათ დანაშაულის გრძნობა საკუთარი მოთხოვნილებებისა და სურვილების მიმართ.

4. ბეჯითობა არასრულფასოვნების გრძნობის წინააღმდეგ (6 წლიდან დაახლოებით 11–12 წლის ასაკამდე) - ერიკსონის აზრით, დაწყებითი სკოლა ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, სხვადასხვა დავალების შესრულებით (მაგ. ხატვით, მათემატიკური ამოცანების ამოხსნით, წინადადებების წერით და ასე შემდეგ), მასწავლებლების, მშობლების და თანატოლების მოწონება და აღიარება დაიმსახუროს. თუ მასწავლებლები და მშობლები ამხნევებენ ბავშვებს, ჩაერთონ სხვადასხვა საქმიანობაში, აქებენ მათ მიღწევებისა და წარმატებისთვის, ბავშვები ბეჯითები და შრომისმოყვარენი ხდებიან. ისინი გულმოდგინედ ასრულებენ დავალებებს, ცდილობენ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ და სამუშაოს გართობაზე წინ აყენებენ. თუ მოზრდილები დასცინიან და სჯიან მათ მცდელობებს – შეასრულონ სხვადასხვა დავალება, ან თუ ბავშვები აღმოაჩენენ, რომ ისინი ვერ ამართლებენ მასწავლებლების და მშობლების მოლოდინს, მათ უვითარდებათ არასრულფასოვნების შეგრძნება საკუთარი შესაძლებლობების მიმართ.

5. პიროვნების იდენტობა საკუთარ როლთან დაკავშირებული გაურკვევლობის გრძნობის წინააღმდეგ (დაახლოებით 11–12–დან 20 წლამდე) - ბავშვობიდან მოზარდობის ხანაში გადასვლის პერიოდში მოსწავლეები იწყებენ ფიქრს იმაზე, თუ რა როლს ითამაშებენ ისინი მოზრდილთა სამყაროში. ისინი ცდილობენ გაარკვიონ, თუ ვინ არიან ისინი, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი და რა მიზნების მიღწევა უნდათ მომავალში. თავდაპირველად, მოზარდები გარკვეულწილად განიცდიან გაურკვევლობის გრძნობას იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი უნდა ითამაშონ მათ საზოგადოებაში. შესაბამისად, ისინი ხშირად ბევრ სხვადასხვა საქმიანობას გამოცდიან ხოლმე. ერიკსონის აზრით, მოზარდობის ხანის დასასრულისკენ მოზარდთა უმრავლესობას უყალიბდება პიროვნების, ანუ საკუთარი ინდივიდუალურობის შეგრძნება. მათ უკვე იციან, თუ ვინ არიან ისინი და საით მიემართება მათი ცხოვრება.

ბევრი თანამედროვე ფსიქოლოგი არ ეთანხმება ერიკსონს და მიიჩნევს, რომ ადამიანთა უმრავლესობა საკუთარი პიროვნების ჩამოყალიბებას გაცილებით უფრო დიდ დროს ანდომებს.

,,პიროვნების განვითარების ადრეულ მოზრდილობის ხანაში თავს იჩენს რეფლექსიის ტენდენცია. ისინი ფიქრობენ იმაზე, თუ რა ხდება მათ გონებაში, სწავლობენ თავიანთ თავს და განსხვავებულად აღიქვამენ მას. ისინი აცნობიერებენ, რომ მათი აზრები და გრძნობები შეიძლება განსხვავდებოდეს მათივე ქმედებებისაგან. მოზარდების უკეთ განვითარებული ინტელექტუალური უნარები მათ შესაძლებლობას აძლევს, განიხილონ ალტერნატივები. შესაბამისად, ისინი ხშირად აკრიტიკებენ თავიანთ პიროვნულ თვისებებს, თავს სხვა ადამიანებს ადარებენ და ცდილობენ, საკუთარი თავი შეცვალონ,'' - წერს ნათია ჯანაშია (ჯანაშია 2008:166) და მიუთითებს ამ მიმართებით მასწავლებლის საქმიანობაში ჯეიმს მარსიას მიერ გამოყოფილი ოთხი სტატუსის გამოყენების სარგებლიანობაზე:

1. წინასწარ გადაწყვეტა: ინდივიდებს, რომლებიც ამ სტატუსში იმყოფებიან, არასოდეს განუცდიათ პიროვნების კრიზისი. მათ ნაადრევად განამტკიცეს თავიანთი პიროვნება მშობლების, და არა საკუთარი არჩევანის საფუძველზე. მშობლების ან ავტორიტეტის მქონე სხვა პირების მიერ გადმოცემული ღირებულებები, მიზნები და პროფესიული მიმართულებები ისე მიიღეს, რომ ალტერნატივა არც კი განუხილიათ.

2. პიროვნების დიფუზია (გაფანტვა): მოზარდებს, რომლებიც ამ სტატუსში იმყოფებიან, ჯერ არც პროფესია აურჩევიათ და არც იდეოლოგიური შეხედულებები და ღირებულებები. მეტიც, ისინი არც ცდილობენ ამ მიზნების მიღწევას. მათ შეიძლება არც არასოდეს განუხილიათ სხვა ალტერნატივა, ან ეს ამოცანა ძალიან რთული მოეჩვენათ.

3. მორატორიუმი (გადადება, დაყოვნება): მოზარდებმა, რომლებიც ამ სტატუსში იმყოფებიან, უკვე დაიწყეს პროფესიული და იდეოლოგიური ალტერ-ნატივების გამოკვლევა, თუმცა ჯერ საბოლოო გადაწყვეტილებები არ მიუღიათ.

4. პიროვნების მიღწევა: ამ სტატუსში მყოფმა მოზარდებმა უკვე განიხილეს შესაძლო ალტერნატივები და დამოუკიდებლად აირჩიეს საკუთარი მიზნები, პროფესიული მიმართულებები, იდეოლოგიური შეხედულებები და ღირებულებები.

განხილული კვლევები და შეხედულებები ასაკობრივი თავისებურებების შესახებ განსხვავებულია. თითოეული შეხედულების მიხედვით შევადგინეთ ჩამონათვალი და შევთავაზეთ (2009 წელი, იანვარი) სამი თაობის (ბაბუა-ბებია, შვილები, შვილიშვილები) 60 წარმომადგენელს – გაეხსენებინათ მათი ბავშვობიდან რომელ თავისებურებას მიაწერდა საკუთარ თავს, თანატოლს (რომელიც ახსოვდა).

ანალიზის საფუძველზე, შემდეგი მონაცემები მივიღეთ: კვლევის ყველა მონაწილე მკაფიოდ მიუთითებდა, რომ კარგად ახსოვდათ თავიანთი და ,,ცელქი'', ,,რთული'' თანატოლების თავისებურებები კლასების, ასაკის მიხედვით.

სამოციდან ორმოცმა მიუთითა, რომ არ ახსოვდათ მასწავლებლის მიერ ასაკის ზრდასთან დაკავშირებით დამოკიდებულებების შეცვლა. რამდენიმემ მიუთითა, რომ უფროს ასაკში ,,ვეღარ გვიჯავრდებოდნენ'' და ,,ძველებურად ვეღარ გვსჯიდნენ''. კვლევის ოცმა მონაწილემ მიუთითა, რომ მასწავლებლებმა, განსაკუთრებით, კლასის დამრიგებელმა, ,,კარგად გაუგო ბავშვებს'', რამაც დადებითი გავლენა იქონია ყველა მოსწავლეზე.

ეფექტურად მიაჩნდათ და სასიამოვნოდ იხსენებდნენ დამრიგებელთან, მასწავლებელთან ერთად ექსკურსიაზე ყოფნას, ,,შრომით კვირეულს'', ,,დაბადების დღეზე შეხვედრებს'', რადგან თავისუფალ თემებზე საუბრის, ერთად ყოფნის მეტი დრო ჰქონდათ. ამ პროცესში პედაგოგის თითქმის ყველა დარიგება, რჩევა და დასახელებული მაგალითები ახსოვდათ.

სასურველია, პედაგოგი იცნობდეს ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების ყველა შეხედულებას.

უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების განხილვა საკანონმდებლო თვალსაზრით. სხვადასხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის მინიმალური ზღვარი განსხვავებულია ისტორიული, კულტურული და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. თანამედროვე მიდგომა იმაში გამოიხატება, რომ განისაზღვროს – შეუძლია თუ არა ბავშვს გადაიტანოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მორალურ-ზნეობრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების

განხორციელების შესახებ („პეკინური წესები") საჭიროდ მიიჩნევს, რათა საერთაშორისო მასშტაბით დაწესდეს მისაღები ქვედა ასაკობრივი ზღვარი (პეკინური წესები 1985: მუხლი 4.1. - კომენტარი).

ბოლო წლებში საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირდებით რამდენჯერმე შეიცვალა. 2007 წლის მაისში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან შემცირდა 12 წლამდე.

ეს ცვლილება, ერთი შეხედვით, საბჭოთა კავშირის 1935 წლის 7 აპრილის კანონის განახლებაა, რომლითაც მთელ საბჭოთა კავშირში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგიერთი მძიმე დანაშაულისათვის თორმეტი წლის ასაკიდან დაწესდა. 1958 წლის 25 დეკემბრის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თექვსმეტი წლის ასაკიდან დაწესდა. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აგებდა პასუხს თოთხმეტ წელს მიღწეული. ეს ნორმა საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსშიც იყო გადმოტანილი. 1999 წლის 22 ივლისის კოდექსმა კი, 1960 წლის კოდექსის მე-12 მუხლისაგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად ყველა დანაშაულისათვის თოთხმეტი წელი დააწესა.

2007 წლის 23 მაისის ცვლილება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის 12 წლით განსაზღვრის შესახებ სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადვოკატების, განათლების სფეროს და დამოუკიდებელი ექსპერტების აქტიურობის შედეგად 2010 წლის 23 თებრვალს შეიცვალა და საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად კვლავ 14 წელი განისაზღვრა.

საინტერესო იქნება გავეცნოთ, თუ როგორია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი სხვადასხვა ქვეყანაში (ენდელაძე 2008:83):

ასაკი	ქვეყანა
7 წელი	ბანგლადეში, ბელიზი, ბრუნეი, გამბია, განა, გრენადა, ეგვიპტე, ინდოეთი, კვიპროსი, კუვეიტი, მალავი, ნიგერია, პაპუა-ახალი გვინეა. სამხ. აფრიკა,

	სინგაპური, ჰონკონგი.
8 წელი	ზამბია, კაიმანის კუნძულები, კენია, ინდონეზია, შოტლანდია, შრი-ლანკა.
9 წელი	ეთიოპია, მალტა, ომანი.
10 წელი	ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინგლისი, კამერუნი, მალაიზია, მენის კუნძულები, საუდის არაბეთი, სიერა-ლეონე, სურინამი, უელსი, თურქეთი.
12 წელი	გვატელა, არუბა, დომინიკის რესპუბლიკა, ერიტრეა, იამაიკა, ისრაელი, კატარი, კანადა, კორეა, მაროკო, მექსიკა, ნიდერლანდები, სან-მარინო, უგანდა.
14 წელი	ბურკინა ფასო, ბურუნდი, ესტონეთი, ავსტრია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, გერმანია, იაპონია, იტალია, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვენია, უნგრეთი, ტაივანი, ჩინეთი, ხორვატია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი.
15 წელი	დანია, ისლანდია, ლაოსი, ნორვეგია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.
16 წელი	ანდორა, ბელგია, ესპანეთი, ლუქსემბურგი, მოზამბიკი, პორტუგალია, ჩილე.
18 წელი	გვინეა, ეკვადორი, ვენესუელა, კოლუმბია.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესებით არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები) არ არის დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი, მაგრამ რეკომენდებულია ბავშვის ემოციური, მენტალური და ინტელექტუალური თავისებურებების გათვალისწინებით ეს ზღვარი არ იყოს მეტისმეტად დაბალი (მუხლი 4).

ბავშვის უფლებათა კონვენცია ასევე არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს. სამაგიეროდ, კონვენცია განმარტავს ტერმინს ,,ბავშვი''. კონვენციის №1 მუხლის მიხედვით: ,,ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას'' (კრებული 2008:156).

ბავშვის უფლებათა კონცვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს (მათ შორის, საქართველოსაც), რომ ბავშვთა განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით (მუხლი 28):

ა) დააწესონ უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლება;

ბ) ხელი შეუწყონ ზოგადი, პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმის განვითარებას, უზრუნველყონ ყველა ბავშვისათვის მათი ხელმისაწვ-დომობა და მიიღონ ისეთი აუცილებელი ზომები, როგორიცაა უფასო განათლების შემოღება და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა;

გ) ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის, თითოეულის უნარის შესატყვისად;

დ) უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის;

ე) ღებულობენ ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად.

ბავშვის უფლებათა კონცვენცია ასევე ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები) სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ ,,პოლიციის ოფიცრებმა, რომლებიც ხშირად არიან დაკავებულნი არასრულწლოვნებით ან ძირითადად ჩართულნი არიან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის აღკვეთაში, უნდა გაიარონ სპეციალური ინსტრუქტაჟი და მოსამზადებელი კურსები მათი ფუნქციების უკეთ შესასრულებლად. დიდ ქალაქებში უნდა შეიქმნას სპეციალური დანაყოფები ამ მიზნით'' (პეკინური წესები, 1985. მუხლი: 12.1)

ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის 2010 წლის რეკომენდაციები (მუხლი 4, პუნქტი 14) სახელმწიფოებს ავალდებულებს: ,,ყველამ, ვისაც ბავშვებთან უხდება მუშაობა, აუცილებლად უნდა გაიაროს საჭირო ტრენინგები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ბავშვთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ''.

ამავე რეკომენდაციის მუხლი 4–ის პუნქტი 15 ასევე განსაზღვრავს: ,,ადამიანებს, რომელთაც უშუალო კონტაქტი აქვთ ბავშვთან, უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები

ბავშვებთან ურთიერთობების კომუნიკაციის საკითხებზე, განსაკუთრებით იმ ბავშვებთან მომუშავე პირებს, რომლებიც მუშაობენ რთულ სიტუაციებში'' (Recommendation 2010:6).

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსში 2008 წლის 1 ივლისს ამოქმედებული ცვლილებებით არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესს წარმართავენ მხოლოდ ის მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადება გაიარეს.

ეს ნორმა მნიშვნელოვანი სიახლე იყო ქართულ კანონმდებლობაში, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ნორმას არ მოჰყვა ეფექტური აღსრულების სისტემა. არ არსებობს განმარტება იმისა, თუ რას ნიშნავს ,,სპეციალური კურსის გავლა პედაგოგიკას და ფსიქოლოგიაში''. პრაქტიკულად, აღნიშნულ თანამდებობებზე პირები მხოლოდ რამდენიმედღიან ტრენინგებს ესწრებიან.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ არის აუცილებელი ბავშვებთან (არასრულწლოვნებთან) მომუშვე პირებისთვის სპეციალური უნარ–ჩვევების განვითარება. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია სამართლის დოქტორის, მორის შალიკაშვილის მოსაზრება: ,,არასრულწლოვანი პირის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებების ცოდნა ხელს შეუწყობს როგორც კანონმდებელს, ახალი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარების კუთხით, ასევე მოსამართლეს, მისი (მოზარდის) პიროვნებისათვის შესაფერისი სასჯელის დანიშვნისას, რათა მიაღწიოს სასჯელის ერთ-ერთ მიზანს - მოზარდი დამნაშავის რესოციალიზაციას'' (შალიკაშვილი 2010:192).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად ,,სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, და დამნაშავის რესოციალიზაცია''. არასრულწლოვნებთან მიმართებაში სასჯელის მიზნების გაგების დროს ვიზიარებთ სამართლის დოქტორის, ალექსანდრე გიორგაძის შეხედულებას: ,,არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნების გაგება და მისი

თავისებურებების გათვალისწინება შეუძლებელია არასრულწლოვანის ასაკის და ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური, თუ სოციალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე'' (გიორგაძე 2011:78).

ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების კუთხით სახელმწიფოებისათვის ერგვარი სტანდარტს აწესებს: ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა იქნეს განხილული ფართო კომპონენტით, რომელიც დაფუძნებულია საზოგადოებაზე და მოიცავს არა მარტო პოლიციას, პროკურატურას და ზოგადად სამართალდამცავ ორგანოებს, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ფენას, მათ შორის, სკოლას, ოჯახს, სამეზობლოს და უშუალოდ ახალგაზრდების ჯგუფს, სადაც მოზარდი ატარებს დროის დიდ ნაწილს'' (Recommendation 2010:6).

ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ 2007 წელს შემუშავებული კომენტარების მიხედვით (პარაგრაფი IV, ქვებუნქტი b), ,,კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა უმრავლესობა მომავალში ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი, მაგალითად, როდესაც ისინი ცდილობენ განათლების მიღებას ან დასაქმების ბაზარზე სამუშაო ადგილის პოვნას. აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს მსგავსი დისკრიმინაციის აღმოფხვრას და არასრულწლოვანთა ინტეგრაციას საზოგადოებაში'' (committee 2007:2).

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები) ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნებისთვის სხვადასხვა, სპეციალური პირობები, კერძოდ: ,,წინასწარი პატიმრობის განმავლობაში არასრულწლოვნებზე უნდა ზრუნავდნენ, ისინი უნდა იყვნენ დაცულნი და მიიღონ სათანადო ინდივიდუალური დახმარება - სოციალური, საგანმანათლებლო, პროფესიული, სამედიცინო და ფიზიკური - რაც შეიძლება აუცილებელი იყოს მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით'' (პეკინური წესები, 1985. მუხლი: 13.5).

საქართველოში, პატიმრობის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვები ვერ სარგებლობენ განათლების სერვისებით (ამ დაწესებულებებში მოთავსებულნი არიან

ბრალდებულის სტატუსის მქონე ბავშვები). 2010 წლის 30 სექტემბრამდე საქართველოს კანონმდებლობა არაპირდაპირი ფორმით კრძალავდა კიდეც საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვების სწავლებას (დახურულ ინსტიტუციებში ყველაფერი აკრძალულია, რაც პირდაპირ ნებადართული არ არის). 2010 წლის 30 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს კანონი ,,პატიმრობის შესახებ'' საერთოდ არ არეგულირებდა არასრულწლოვან ბრალდებულთა განათლების უფლებას, მასში მხოლოდ უკვე სასჯელმისჯილი ადამიანების (მსჯავრდებულები) განათლების უფლებაზე იყო მითითებული. 2010 წლის 30 სექტემბრიდან ეს საკანონმდებლო ხარვეზი აღმოიფხვრა, თუმცა 2011 წლის თებერვლის მდგომარეობით, პატიმრობის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვები განათლებას ვერ ღებულობენ. საჭიროა როგორც შესაბამისი ნორმატიული ბაზის მომზადება, ასევე საგანმანათლებლო სისტემის (ინსტრუმენტის) ამოქმედება, შესაბამისი სასწავლო გეგმის (შემუშავება), ამ სასწავლო გეგმის პილოტირება, შემდგომში კი მისი დანერგვა საქართველოს ყველა პატიმრობის დაწესებულებებში.

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება პედაგოგიური საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

თავი მეორე

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის გამოყენებითი ასპექტი

§ 1. რეალური ვითარების ანალიზი

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის რეალური ვითარების შესწავლა დავიწყეთ ბავშვთა (არასრულწლოვანთა) დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების შეგროვებით. საქართველოში 1999-2010 წლების მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს:

წელი	დანაშაულის საერთო რაოდენობა	სქესი		ასაკი	
		ვაჟი	გოგონა	14-15	16-17
1999	383	381	2	56	327
2000	388	286	2	65	323
2001	525	520	5	99	426
2002	497	496	11	102	395
2003	459	450	9	122	337
2004	598	588	10	170	428
2005	475	469	6	127	348
2006	1002	979	23	323	679
2007	1060	1026	34	298	762
2008	1166	1119	47	299	865
2009	803	767	36	203	597
2010	834	805	29	206	628

როგორც წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, 1999 წლიდან - 2008 წლამდე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რიცხვი მკვეთრად იზრდება. ეს ეხება როგორც ვაჟებს, ასევე გოგონებს.

საინტერესოა, რომ წინა სამ წელთან შედარებით, 2009-2010 წლებში საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთგვარი კლება შეინიშნება, რის მიზეზადაც გამკაცრებული სასჯელი სახელდება. ეს, უპირველესად, გულისხმობს გრძელვადიან სასჯელებს, კერძოდ, წინა წლებში გასამართლებული ბავშვების გარკვეულ ნაწილს გრძელვადიანი საპატიმრო სახის სასჯელები შეეფარდათ, რასაც ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე და მკვლევარი დანაშაულის რაოდენობის შემცირების წინაპირობად მიიჩნევს. ადამიანთა დაპატიმრების მეთოდით ხელახალი დანაშაულის შემცირების მომხრენი არ აანალიზებენ ადამიანთა გრძელვადიანი პატიმრობის უკუშედეგს: კერძოდ, რა მოხდება, როდესაც ე.წ. ,,გრძელვადიანი სასჯელმისჯილი'' პატიმრები, განსაკუთრებით, ბავშვები, გათავისუფლდებიან პატიმრობიდან? ,,რისკჯგუფების'' ასე, ხელოვნურად მოცილებით, თუ პრობლემის გადავადებით გრძელვადინი შედეგები ვერ მიიღწევა. საჭიროა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაცია, საზოგადოებაში რეინტეგრაცია და არა ამ ,,რისკჯგუფის'' დაპატიმრებით პრობლემის ,,გადავადება''.

საინტერესოა სამართლის დოქტორის - მორის შალიკაშვილის შეხედულებები არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკური ანალიზის საკითხზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასაკობრივი და სქესის მიხედვით დანაშაულობების მატების შეფასება: ,,საინტერესოა, რომ მსჯავრდებული გოგონების რიცხვმა ბოლო ორი წლის განმავლობაში ორჯერ იმატა. მკვეთრად იმატა ასევე დანაშაულმა 14-15 წლის მოზარდებში, თუ 2000 წელს მათი პროცენტული რაოდენობა შეადგენდა მთლიანად არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 16,8%-ს, 2006-2008 წლებში ეს მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა. ეს ცვლილება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, რომელთა შორისაც არის სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებლების დახურვა, შსს ბაზაზე არსებული ,,არასრულწლოვანთა ინსპექტორების'' სტრუქტურის გაუქმება, აგრეთვე, ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც უფლებას აძლევს მოსამართლეებს ციხეში მოათავსონ 14-18

წლის მოზარდები, თუ მათ მირ ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს 3 წელზე მეტი დროით თავისუფლების აღკვეთას'' (შალიკაშვილი 2010:216).

მიუხედავად ცვალებადი სტატისტიკური მონაცემებისა, ფაქტია, რომ საქართველოში ცხოვრობს ასობით კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, რომელთაც ბრალად ედებათ სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევა, ანუ ისინი წარმოადგენენ ყველაზე რთული კატეგორიის ,,რისკჯგუფს'', რაც ნიშნავს იმას, რომ აუცილებელია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის მეთოდოლოგიის შემუშავება და განვითარება.

საქართველოში ბავშვთა მიერ კანონმდებლობის/ქცევის წესების დარღვევის ფაქტების კონკრეტული და ზუსტი სტატისტიკა ყველა სფეროში არ არსებობს. ყველაზე მეტად ზუსტი მონაცემები მოიპოვება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არასრულწლოვნების შემთხვევაში, რომელთა სტატისტიკასაც, საქმისწარმოების ოფიციალური ხასიათის გამო, რამდენიმე სახელმწიფო ორგანო აწარმოებს და შესაბამისად, არსებობს ოფიციალური წყაროები, საიდანაც შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემების აღება და გამოყენება.

როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სკოლებში ქცევის წესების დარღვევის ფაქტების რეგისტრაცია არ წარმოებს. 2010 წლის სექტემბრიდან თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის და ბათუმის საჯარო სკოლებში ამოქმედებული მანდატურის ინსტიტუტის შემდეგ, ამ სკოლებში აღირიცხება მოზარდთა მიერ გამოვლენილი ქცევის წესების დარღვევის ფაქტები.

საქართველოში რეალურად მხოლოდ 2006 წელს დაიწყო კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაციისათვის მუშაობა. ამ პროცესს უშუალოდ წარმართავდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. ამ საქმიანობის უმთავრესი მისია ბავშვთა ნორმალურ ცხოვრების გზაზე დაყენება, განათლება და განვითარების ხელშეწყობაა. საქართველოს ხელისუფლება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციის მიმართულებით 2008 წლიდან დაინტერესდა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციის მიმართულებით ერთ-ერთმა პირველმა არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოში – დემოკრატიის

ინსტიტუტმა ქ. ბათუმში დაიწყო მუშაობა სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის (ევროკავშირი, გაეროს ბავშვთა ფონდი, ციხის საერთაშორისო რეფორმა, ნიდერლანდების სამეფოს საელჩო) მხარდაჭერით.

დემოკრატიის ინსტიტუტის საქმიანობა მოიცავდა სამ ძირითად მიმართულებას:

- ბავშვთა უფლებების დაცვა პოლიციის განყოფილებაში მოხვედრისთანავე;
- პოლიციის განყოფილებებიდან და საპატიმრო დაწესებულებებიდან განთავისუფლებული ბავშვების რეაბილიტაციის ხელშეწყობა (განათლება, პროფესიული უნარების განვითარება, გადამზადება, დასაქმების ხელშეწყობა, ბავშვების ოჯახებთან მუშაობა და ა.შ.);
- საჯარო სკოლებში ძნელადაღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობის სისტემის განვითარების მხარდაჭერა.

დემოკრატიის ინსტიტუტის პედაგოგები და ფსიქოლოგები 2006-2009 წლებში აქტიურად მუშაობდნენ ქ. ბათუმის №3 საპყრობილეში მოთავსებული ბავშვების განათლების კუთხით, რაც, ძირითადად, გულისხმობდა წერა-კითხვის შესწავლას, ელემენტარული მათემატიკის შესწავლას და ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა საგნის შესწავლას.

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რეალურად (შესაბამისი პროგრამების ფარგლებში) მხოლოდ ,,არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულე-ბაში'' მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. ბრალდებულის სტატუსის მქონე პატიმარი ბავშვები მოკლებულნი არიან განათლების მიღების შესაძლებლობას. ამ სტატუსით კი ბავშვი შესაძლოა ერთი დღიდან - ცხრა თვემდე პერიოდის მანძილზე იმყოფებოდეს.

,,არასრულწლოვან მსჯავრდებულებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ერთიან ეროვნულ გამოცდებში. აღმზრდელობით დაწესებულებაში სხვადასხვა სახის ფსიქოსარეაბილიტაციო და პროფესიული გადამზადების პროგრამები ფუნქციონირებს. დაწესებულებაში გაიხსნა მინანქრის სახელოსნო, სადაც მსჯავრდებულები ტიხრული მინანქრის ხელობას სწავლობენ. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სახეობის, კომპიუტერისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. სახელმწიფო ყოველთვის აძლევს შესაძლებლობას

კანონდამრღვევს, რომ გამოსწორდეს და ჩამოყალიბდეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად'' (ალავიძე 2009:61)

არასრულწლოვანთა დანაშაულის მიმართ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, პროექტის ,,ახალგაზრდობა დანაშაულის წინააღმდეგ'' ფარგლებში, 2007 წელს ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა. გამოკითხული იქნა უფროსი თაობის 100 წარმომადგენელი, 100 სტუდენტი, სკოლის 100 მოსწავლე. კვლევის შედეგებიდან დავინტერესდით რამდენიმე მონაცემით (მასალა აღებულია ჟურნალიდან ,,კრიმინოლოგი'', №1(2), 2008:131).

რას მიიჩნევთ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის მთავარ მიზეზად?

	უფროსი თაობა	სტუდენტები	მოსწავლეები	სულ
არასწორი აღზრდა	52	54	58	164
არაჯანსაღი გარემო ოჯახში	54	35	49	138
ძალადობის პოპულარიზაცია ტელევიზიით	32	34	24	90
არარელიგიურობა	35	34	26	95
სასწავლო პროცესის არასწორი ორგანიზება	17	13	14	46
სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა	41	46	32	119
კომპიუტერული თამაშები	23	7	8	38
ქუჩური მენტალიტეტი	44	63	62	169
სახელმწიფო პოლიტიკა	7	12	3	22
საზოგადოების დამოკიდებულება	11	6	14	31
თავისუფალი დროის არასწორი განაწილება	38	37	42	117
მოქმედი კანონმდებლობა	6	1	1	8



რა აუცილებელი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა შემცირდეს არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის რიცხვი?

	უფროსი თაობა	სტუდენტები	მოსწავლეები	სულ
სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება	58	54	48	160
კანონის გამკაცრება	18	12	25	55
აღმზრდელობითი ინსტიტუტების გააქტიურება	77	79	62	218
სამართალდამცავი სტრუქტურების ეფექტური საქმიანობა	29	21	30	80
სხვა	2	1	7	10



პროექტის ,,ახალგაზრდობა დანაშაულის წინააღმდეგ'' ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ გამოკითხული ადამიანების უმრავლესობა (41%) არასრულწლოვანთა დანაშაულის რიცხვის შემცირებისათვის საჭიროდ მიიჩნევს აღმზრდელობითი ინსტიტუტების გააქტიურებას. გამოკითხულთა 31% მიიჩნევს, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით მიიღწევა ზემოთ აღნიშნული მიზანი. საგულისხმოა, რომ ამ თვალსაზრისით კანონის გამკაცრებას ასახელებს მხოლოდ 2%.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს შედეგები ახლოსაა პირველ პარაგრაფში აღწერილ შედეგებთან, რაც ერთგვრი დადასტურებაა იმისა, რომ საზოგადოებაში არსებობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სურვილი. რაც შეეხება კანონის გამკაცრებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას - ეს ლოგიკურია, რადგანაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ვითარების, პატიმრების რაოდენობის ზრდის და საჯარო დაპატიმრებების ფონზე საზოგადოება უფრო ლიბერალური ქმედებების მომხრეა, ვიდრე სასჯელების გამკაცრების და მინიმალური ტოლერანტობის.

მნიშვნელოვანი სიახლეა საქართველოს ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებში ფსიქოლოგის თანამდებობის შემოღება.

ფსიქოლოგისადმი ნდობა და მათი საჭიროება გაიზარდა მთელ მსოფლიოში. ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში, თითქმის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობს ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ბევრგან – კონფლიქტოლოგიც.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სკოლის ფსიქოლოგის საქმიანობის გასაცნობად 2010 წლის მაისში არასამთავრობო ორგანიზაცია ,,დემოკრატიის ინსტიტუტმა'' ჩაატარა კვლევა. აღმოჩნდა, რომ ბათუმის 20 სკოლიდან ფსიქოლოგი მუშაობდა 9 სკოლაში, ხელვაჩაურის 46 სკოლიდან – 5-ში, ქობულეთის 48 სკოლიდან – 4-ში, ქედის 29 სკოლიდან, შუახევის 43 სკოლიდან და ხულოს 49 სკოლიდან – არც ერთი. აღნიშნულის მიზეზად ასახელებენ ფსიქოლოგის თანამდებობისათვის სკოლის ბიუჯეტში შესაბამისი რესურსების უქონლობას და შესაბამისი კვალიფიციური რესურსების ნაკლებობას (კვლევა 2010).

აჭარის რეგიონის საჯარო სკოლებში 2010 წლის სექტემბრამდე (2010 წლის სექტემბრიდან ფსიქოლოგების საშტატო ერთეულები გაუქმდა) დასაქმებული 18 ფსიქოლოგის განათლება: ,,სკოლამდელი აღზრდა პედაგოგიკა-ფსიქოლოგია'' - 7; ,,ფსიქოლოგი''- 6; ,,განათლების ფსიქოლოგია'' – 1; ,,ექიმი ფსიქოლოგი'' – 1; სამედიცინო - 1; ,,სკოლის ფსიქოლოგი'' – 1'', ,,ბიოლოგი'' - 1.

სკოლაში ფსიქოლოგთა მუშაობის აუცილებლობას ადასტურებს ზემოთ აღნიშნული კვლევის შემდეგი მონაცემი: კვლევაში მონაწილე 54 საჯარო სკოლის ადმინისტრაციიდან (დირექტორი, მოადგილე), 54-ვე თვლის, რომ სკოლაში აუცილებელია ფსიქოლოგის თანამდებობა (დიდკონტინგენტიანი სკოლების ხელმძღვანელები 2/3 ფსიქოლოგის არსებობის საჭიროებაზეც მიუთითებენ).

სკოლის ფსიქოლოგებთან ჩატარებული კვლევის შემდეგ, საჭიროდ მივიჩნიეთ დაგვედგინა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სავარაუდო რაოდენობა. ამ მიზნით შევაგროვეთ მონაცემები: ა) საჯარო სკოლების მიხედვით; ბ) სკოლის გარეთ არსებული ვითარება.

მონაცემები კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების

შესახებ საჯარო სკოლების მიხედვით

მონაცემები აღებულია ბათუმის, ხელვაჩაურის, ოზურგეთის და ქუთაისის 45 საჯარო სკოლიდან (2010 წლის მაისის მდომარეობით).

	კატეგორია	საერთო რაოდენობა	კლასი
1	სკოლის მოსწავლეები, რომლებიც არღვევენ სკოლის შინაგანაწესს	675	VI-XII
2	პოლიციის განყოფილებებიდან, სასამართლოდან, პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან განთავისუფლებული ბავშვები	67	IX-XII
3	პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფი ბავშვები	56	X-XII
4	პატიმრობის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვები	9	IX-XII
5	მართლმსაჯულების სფეროს განრიდებული ბავშვები	0	---
სულ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რაოდენობა		807	---

შენიშვნა: პატიმრობის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვები კვლევის ჩატარების თარიღისთვის ახლად დაპატიმრებულნი იყვნენ, ამიტომაც ისინი კვლავ ირიცხებოდნენ სკოლის მოსწავლეთა სიაში.



არსებული ვითარების ანალიზი სკოლის გარეთ

მონაცემები აღებულია ა(ა)იპ დემოკრატიის ინსტიტუტის და ა(ა)იპ რეაბილიტაციის ცენტრის ოფისებიდან (2010 წლის მაისში აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარები)

1	კატეგორია	საერთო რაოდენობა	სწავლობენ საჯარო სკოლაში	სწავლობენ კერძო სკოლაში	აქვთ საცხოვრებელი	არ აქვთ საცხოვრებელი	ცხოვრობენ სპეციალურ დაწესებულებაში
2	სკოლის მოსწავლეები, რომლებიც არღვევენ სკოლის შინაგანაწესს	0	0	0	0	0	0
3	პოლიციის განყოფილებებიდან, სასამართლოდან, საპატიმრო დაწესებულებებიდან არააღმკვეთი ღონისძიების სახით განთავისუფლებული ბავშვები	45	24	0	42	2	1
4	პირობითი სასჯელის მქონე ბავშვები	14	10	0	10	0	0
5	სასჯელაღსრულების დაწესებულებებში	7	0	0	0	0	0

	მოთავსებული ბავშვები						
ჯამი:		66	34		52	2	1

რეალურ ვითარებაზე დაკვირვებით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები სკოლებში არიან, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული აღმზრდელობითი მუშაობა მათთან არ მიმდინარეობს. თუმცა არსებობს ზოგიერთი მასწავლებლის ან სკოლის დირექტორის მხრიდან მათ მიმართ ყურადღების გამოვლენის ცალკეული შემთხვევები. ძირითადად, კონტროლი და შენიშვნები მეტია, ვიდრე მიზანმიმართული აღმზრდელობითი მუშაობა.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბაშვებთან საქმიანობისადმი სკოლის პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულების შესწავლის მიზნით ჩავატარეთ კვლევა.

კვლევის მიზანი: კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესების საჭიროების დადგენა.

კვლევის მეთოდი: ანკეტური გამოკითხვა.

კვლევის პროცედურა ითვალისწინებდა სტუდენტების, მოსწავლეების და მშობლების ათი ფოკუსჯგუფის შექმნას (თითოეულ ჯგუფში 2 წევრი), რამაც განაპირობა კვლევის ერთდროულად ჩატარება, აამაღლა სანდოობის ხარისხი.

ფოკუსჯგუფების წევრებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი.

სამიზნე ჯგუფი: ბათუმის, ქუთაისის, ოზურგეთის, ხელვაჩაურის, ქედის საშუალო სკოლების 150 მოსწავლე, 180 პედაგოგი და 120 მშობელი.

რესპონდენტთა შერჩევა რაიმე განსაკუთრებული წესით არ მომხდარა. ანონომურობა დაცული იყო.

მონაცემთა დამუშავება: რაოდენობრივი კვლევის დამუშავება მოხდა პროგრამით Microsoft Office Excel.

გთავაზობთ მონაცემთა საბოლოო შედეგებს:

ცხრილი #1

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობა გაუმჯობესებას საჭიროებს თუ არა					
პედაგოგები		მოსწავლეები		მშობლები	
დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
136	44	87	63	112	8
76%	24%	58%	42%	93%	7%



ცხრილი #2

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობა გაუმჯობესებას საჭიროებს თუ არა	
საერთო შედეგები (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები)	
დიახ	არა
335	115
74%	26%



ცხრილი #3

ვის შეუძლია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან წარმატებული პედაგოგიური საქმიანობა				
სტატ./თანამდ.	პედაგოგი	მოსწავლე	მშობელი	სულ
კლასის დამრიგებელი	78	92	51	221
საგნის მასწავლებელი	45	16	6	67
სკოლის დირექტორი	14	9	11	34
სკოლის ფსიქოლოგი	24	17	29	70
სკოლის სოც. მუშაკი	4	2	14	20
სამართალდამცავი ორგანოები	6	4	2	12
სხვა ორგანოები	9	10	7	26
ჯამი	180	150	120	450



ცხრილი #4

შესაძლებელია თუ არა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეინტეგრაცია?				
სტატ./თანამდ.	პედაგოგი	მოსწავლე	მშობელი	სულ
შესაძლებელია	89	75	23	187
სრულიად შესაძლებელია	56	34	48	138
შეუძლებელია	6	15	13	34
სრულიად შეუძლებელია	9	19	10	38
მიჭირს პასუხის გაცემა	20	7	26	53
ჯამი	180	150	120	450



როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებენ პედაგოები, მოსწავლეები და მშობლებიც. ბუნებრივია, ყველაზე უფრო კრიტიკული სკოლის და პედაგოგიური საქმიანობის არსებული მდგომარეობის მიმართ არიან მშობლები. 120 გამოკითხული მშობლიდან 112-ს მიაჩნია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობა უნდა გაუმჯობესდეს. საინტერესო მონაცემები მოგვცა პედაგოგთა გამოკითხვამაც: 180 გამოკითხული პედაგოგიდან - 136-ს მიაჩნია,

რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობა გაუმჯობესებას საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ 450 გამოკითხულიდან - 335 კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს, განსხვავებულია მათი მოსაზრებები იმ საკითხზე, თუ ვის შეუძლია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან წარმატებული პედაგოგიური საქმიანობა.

კვლევის მიხედვით, გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი (221) ასეთ თანამდებობად კლასის დამრიგებელს ასახელებს, სხვები: საგნის მასწავლებელს (67), სკოლის დირექტორს (34), სკოლის ფსიქოლოგს (70), სკოლის სოციალურ მუშაკს (20). გამოკითხულთა მხოლოდ 3%-ს (12 ადამიანი) მიაჩნია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან წარმატებული პედაგოგიური საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ.

კვლევის ძალიან საინტერესო შედეგია იმის დადგენა, რამდენადაა შესაძლებელი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაცია. ამ კუთხით სახელმწიფო მიდგომა ბუნდოვანი, ხოლო საზოგადოებრივი აზრი – არაერთგვაროვანია. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 72%-ს (325) მიაჩნია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაცია შესაძლებელია. პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების ასეთი ოპტიმისტური განწყობა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციის საკითხისადმი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სკოლის სწორად ორგანიზებულ სასწავლო გარემოში განხორციელებული პედაგოგიური საქმიანობით კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების წარმატებული რეაბილიტაცია მიღწევადია.

§ 2. შეცვლილ სასკოლო გარემოში ქცევის, აღზრდისა და განვითარების პრობლემები

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სასკოლო გარემოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, უმნიშვნელოვანესია ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა. აქ ორი ვითარებაა გასათვალისწინებელი: სკოლაში, კლასში შექმნილი ქცევის, აღზრდის სისტემა გავლენას მოახდენს კანონთან კონფლიქტში მყოფი

ბავშვის ქცევის ახალი მიმართულებით აღზრდაზე თუ პირიქით, ეს უკანასკნელი შეძლებს დაარღვიოს არსებული წესრიგი.

პირველი ვითარება ბავშვის ქცევის სასურველი მიზნისკენ შემობრუნებას განაპირობებს, მეორე – ერთის ნაცვლად რამდენიმე უარყოფითი ქცევის ბავშვს შექმნის და სასკოლო ცხოვრების სიმშვიდის დარღვევის მიზეზი გახდება.

სასწავლო გარემო – ეს არის სკოლაში და კლასში არსებული ყველა სასწავლო საშუალებისა და რესურსების ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის პროცესის სწორად წარმართვას წინასწარ დაგეგმილი მიზნის მისაღწევად.

სასწავლო გარემო შედგება ფიზიკური და სოციალური ელემენტებისაგან. კერძოდ: მატერიალური რესურსებისა (სკოლის არქიტექტურა, მდებარეობა, ავეჯი, მოწყობილობები, ტექნიკური საშუალებები, ჰიგიენა და ა.შ.) და ადამიანური რესურსებისაგან (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, საზოგადოების წარმომადგენლები – ყველა, ვინც ჩართულია სკოლის ცხოვრებაში).

პროფესორ ალ. გობრონიძის აზრით, ,,გარემოს ცნება საკმაოდ რთულია, რამდენადაც თავისთავში მოიცავს ყოველივეს, რაც მუდმივად თან ახლავს ადამიანს დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე, დაწყებული ოჯახით, უახლოესი გარემოცვით, დამთავრებული სოციალური გარემოთი, რომელშიც იგი დაიბადა და ექმნება პირობები განვითარებისა და აღზრდისათვის'' (გობრონიძე, 2000:78).

შეცვლილ გარემოში ვგულისხმობთ ორ შემთხვევას: ა) როცა ბავშვი მიდის უცნობ კლასში, ბ) როცა ბავშვი ბრუნდება თავისივე კლასში. ორივე შემთხვევაში კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვისათვის მისი სტატუსი, მის დასახმარებლად გასაწევი საქმიანობა, კონტროლი, სპეციფიკურობა, მისით დაინტერესებულ სხვადასხვა პირთა მომსახურება შეცვლილ გარემოს ქმნის.

შეცვლილ გარემოში კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ქცევის განვითარების უკეთესი გზების ძიების პროცესში ჩნდება კითხვა: რა არის ქცევის ის ძირითადი ფორმები, რომელიც გარკვეულ ასაკობრივ საფეხურებზე დომინირებს, რა როლს ასრულებს იგი ადამიანის განვითარების პროცესში, როგორ მიმდინარეობს

მიუღებელი ქცევის მისაღებად გარდაქმნის პროცესი, რა საქმიანობაა განსახორციელებელი?

პიროვნების ზნეობრივი შეგნება ქცევის ნორმების შეგნებაა. ამ ნორმების მიხედვით წარმართული მოქმედება, გადაქცეული ჩვევად და მოთხოვნილებად, არის ზნეობრივი გრძნობა. მისაღებ ზნეობრივ გრძნობებს სათნოებები ეწოდება, ხოლო მათ საპირისპიროს – მანკიერებები. ზნეობის განვითარებაში უპირველესად იგულისხმება ზნეობრივი შეგნების განვითარება. ზნეობრივი ღირებულება სიკეთეში ხორციელდება, იგი პიროვნებისებულია, - მიიჩნევენ შუშანაშვილი (1980) და სხვები.

ადამიანის ქცევა მაშინ შეიძლება შეფასდეს, როგორც ობიექტური სიკეთე, როცა ამ ქცევის შედეგი სასარგებლოა ვინმესთვის და საზიანო არავისთვის (შუშანაშვილი: 1980).

ობიექტურ სიკეთეს გააჩნია თვისებრივი და რაოდენობრივი გარკვეულობა. რაც უფრო მეტი ადამიანისთვის არის ქცევა სასარგებლო, მით უფრო მეტ ობიექტურ სიკეთეს წარმოადგენს იგი. ქცევა ერთი ადამიანისთვისაც რომ საზიანო აღმოჩნდეს, იგი არ ჩაითვლება ობიექტურ სიკეთედ, რადგან ბევრი ადამიანის ინტერესი და კეთილდღეობა ვერაფრით ვერ დგას თუნდაც ერთი ადამიანის ინტერესსა და კეთილდღეობაზე მაღლა, თუ ეს ადამიანი თავისი ქცევითა და მოქმედებით არ იმსახურებს შევიწროებასა და დასჯას (ბანძელაძე 1969).

ქცევის საზოგადოებრივი სარგებლიანობა, როგორც ობიექტური სიკეთე, უპირველესი და ყველაზე არსებითი ნიშანია სუბიექტური სიკეთისა, ანუ პიროვნებების კეთილობისა. კეთილი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არავის ეხმარება და არ შეუძლია რაიმე გააკეთოს სხვა ადამიანის სასარგებლოდ.

დიდი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე წერდა: ბავშვის ფსიქოლოგიის წინაშე უაღრესად რთული ამოცანა დგას ქცევის თითოეული ცალკე ფორმის განვითარების გზის შესწავლისა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ქცევის იმ ფორმების გამორკვევას აქვს, რომლებიც ამა თუ იმ ასაკობრივ საფეხურზე განსაკუთრებით ნათელი სახით იჩენს თავს, წინა რიგებში დგება, წარმმართველ ადგილს იკავებს და ქცევის დანარჩენ ფორმებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს. ქცევის ეს ფორმა შესაძლებლობას მოგვცემს, ჯერ ერთი, თითოეული ასაკობრივი საფეხურის

სპეციფიკურობას შეუცდომლად ჩავწვდეთ და მერე ქცევის დანარჩენი ფორმის განვითარების დონეც ნათლად წარმოვიდგინოთ (უზნაძე 1998:15).

მიჩნეულია, რომ ქცევის ძირითადი ფორმა ბავშვებისთვის არის სწავლა (დ. უზნაძე, რ. ნათაძე, შ. ჩხარტიშვილი, ნ. ბარამიძე და სხვები).

სწავლაში ჩაბმა მიგვაჩნია გზასაცდენილი ბავშვის სიკეთისკენ შემობრუნების უმთავრეს პირობად. ამ მიმართულებით საქმიანობის წარმატებული შედეგისთვის განვიხილოთ, რა როლს ასრულებს ქცევის ფორმა – სწავლა ადამიანის განვითარების პროცესში და რა სახე, რა მნიშვნელობა აქვს ამ ფორმასთან მიმართებაში ქცევის დანარჩენ ფორმებს.

დიმიტრი უზნაძე ადამიანის ქცევის ფორმათა მსხვილ სახეებს ორ მთავარ ჯგუფში განალაგებს: ა) ექსტროგენური ქცევის ფორმები: მოხმარება, მომსახურება, მოვლა, შრომა, ცნობისმოყვარეობა, საქმე; ბ) ინტროგენური ფორმები: ესთეტიკური, ხელოვნება, შემოქმედება, თამაში, სპორტი, გართობა.

სწავლა მარტო გონებრივი შრომის შედეგი არ არის. სწავლას რაღაც ღირებულებების, ჩვევის ან ცოდნის მიღების მიზანი აქვს დასახული. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მიზანი განხორციელდეს, გარკვეულ აქტივობას უნდა მივმართოთ, რომელსაც შედეგად ამ ჩვევის ან ცოდნის შეძენა მოჰყვება (უზნაძე 1998:21).

ჩნდება კითხვა, – წერს დიმიტრი უზნაძე, – სწავლა აუცილებელია? ნუთუ არ შეიძლება, რომ მოზარდი საკუთარი თავისთვის მიგვენდო, მისი განვითარების ბედი ფუნქციური ტენდენციის ნიადაგზე აღმოცენებული ალღოს ხელმძღვანელობის ქვეშ დაგვეტოვებინა? - ამ კითხვაზე პასუხს თავადვე გვაძლევს: სწავლის პროცესში ადამიანის ძალების აქტივაცია არის არა ამ ძალების მიერ სპონტანურად გამონახული ან შექმნილი შესატყვისი საგნის ნიადაგზე წარმოება, არამედ მოზრდილის მიერ მიწოდებული მასალის ნიადაგზე. სწავლა ინტროგენურ ფორმადაც შეიძლება ჩაითვალოს და ექსტროგენურადაც.

რამდენადაც ქცევის ძირითადი ფორმა არის სწავლა, გასათვალისწინებელია ქცევის ამ ფორმის როლი ადამიანის განვითარების პროცესში და სხვა ფორმების გავლენა სწავლაზე (უზნაძე, 1998:23).

უპირველესი ადგილი ბავშვის ფიზიკურ განვითარებას ეკუთვნის, როგორც ძირითად პირობას, რომლის გარეშე ქცევის არც ერთი ფორმა არ შეიძლება მიმდინარეობდეს.

ფიზიკური ორგანიზმის ზრდა განსხვავებულია ინდივიდუალური, სქესობრივი და სოციალური ფაქტორების მიხედვით. კვლევებით დადასტურებულია, რომ განსხვავებული ტემპით მიმდინარეობს სხვადასხვა სოციალური წრის ბავშვთა ფიზიკური განვითარება. გერმანელმა მკვლევარმა შლეზინგერმა (1923) თავისი ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგად გააკეთა დასკვნა, რომ ,,მარტო იმის მიხედვით, თუ რა ანთროპომეტრული მონაცემები აქვს ამა თუ იმ ბავშვს, ადვილად შეიძლება დავასკვნათ, თუ რა სოციალურ წრეს ეკუთვნის იგი'' (უზნაძე 2005:456).

ამ დასკვნას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს:

შევისწავლეთ ფიზიკური მდგომარეობის სტატისტიკური მაჩვენებლები იმ ბავშვებისა, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოხვდნენ (შესწავლილ იქნა 16 ბავშვი. შესაბამისად, ციფრები გამოყვანილია საშუალო მაჩვენებლებით).

ასაკი	მდგომარეობა სასჯელამდე				მდგომარეობა სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ			
	სიმაღლე/სმ		წონა/კგ		სიმაღლე/სმ		წონა/კგ	
	ქალი	ვაჟი	ქალი	ვაჟი	ქალი	ვაჟი	ქალი	ვაჟი
15	104,5	105,3	44,5	42,3	105,6	105,8	42,1	41,1
16	107,4	106,4	47,4	45,4	107,9	107,2	43,3	42,3

ცხრილის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ცხოვრების პირობები ფიზიკურ განვითარებაზე გავლენას ახდენს. სიმაღლეში ერთი წლის მანძილზე მატება უმნიშვნელოა. სახეზეა წონაში კლება.

სწავლისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი ძალღონისა და შესაძლებლობების თვითგრძნობის განცდა და იდეალები. უნდა ჭარბობდეს ნათელი ფერები, ბავშვები თავს გრძნობდნენ ჯანსაღად, ძლიერად, მხიარულად, გარემო არაფერს სახიფათოს არ უნდა შეიცავდეს მათთვის.

ჩვენთვის საინტერესოა ადოლფ ბუზემანის კვლევები სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობათა სიხშირის შესახებ. ამ კვლევის შედეგების მიხედვით, სასკოლო ასაკის ბავშვებში უფრი ხშირად აქვს ადგილი სიამოვნებას, ვიდრე უსიამოვნებას, ანუ ისინი უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილი, ვიდრე პესიმისტურად.

ამ მიმართებით ჩავატარეთ კვლევა.

კვლევის მიზანი: სასწავლო გარემოში თანატოლთა ქცევით გამოწვეული სიამოვნების ხარისხის დადგენა.

კვლევის მეთოდი: ინტერვიუ.

ინტერვიუს ჩასატარებლად შევქმენით ფოკუსჯგუფები, რომელთაც გაიარეს სპეციალური ინსტრუქტაჟი. ფოკუსჯგუფებში საკუთარი ინიციატივით გაერთიანდა 10 სტუდენტი – თითო ჯგუფში ორი სტუდენტი.

მონაცემთა დამუშავება: მონაცემები გადმოწერილ იქნა დიქტოფონიდან სიტყვა-სიტყვით. თვისებრივი დამუშავება მოახდინა ორმა ,,ექსპერტმა'' სტუდენტმა და დისერტანტმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ხოლო შემდეგ შეჯერდა მონაცემები. ამ პროცედურამ მინიმუმამდე დაიყვანა მონაცემების სუბიექტურად შეფასების ხარისხი.

სამიზნე ჯგუფი: ა) 12-14 წლის 40 მოსწავლე; ბ) კანონთან კონფლიქტში მყოფი 13-15 წლის 30 ბავშვი.

მოსწავლეები შეირჩნენ იმ კლასებიდან, სადაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები სწავლობდნენ.

კვლევის ჩატარების ეტაპები: კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სწავლების პროცესში ჩაბმის ა) პირველი კვირა; ბ) 6 თვე.

კვლევის შედეგებით აღმოჩნდა, რომ პირველ კვირაში სასწავლო გარემო, თანა-ტოლთა ქცევა სიამოვნებას ანიჭებდა მოსწავლეთა 65%. ხოლო 6 თვის შემდეგ 53%.

თანატოლთა ქცევა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა 19% ანიჭებდა სიამოვნებას პირველ კვირაში, 6 თვის შემდეგ 33%.

შედეგები ცხადყოფს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ქცევის უარყოფითად გავლენა დამხდურ მოსწავლეთა სიამოვნების განცდაზე შემცირდა, ხოლო კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან თანატოლთა ქცევისგან მიღებული

სიამოვნების განცდა გაიზარდა, რაც ქცევის სასიკეთოდ განვითარების ოპტიმიზაციის საშუალებას ქმნის. აქვე წარმოჩნდა დამხვდურთა ქცევის უარყოფითად წარმართვის რისკიც, რის დასაძლევად გასათვალისწინებელია პირველი დღიდანვე სასურველი მიზანმიმართული საქმიანობის წარმართვა, რათა მოსალოდნელი საფრთხეები და დაბრკოლებები თავიდან იქნას აცილებული. საამისოდ კი საჭიროა გავარკვიოთ, ქცევის რა ფორმებია ეფექტური.

კვლევის შემდეგი საფეხური ამ მიმართულებით წარიმართა.

ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ინტერესები. სასკოლო ასაკის ბავშვის ძირითადი ინტერესი მარტო სწავლის, მარტო ინტელექტუალური აქტივობე-ბის იმპულსებით არ განისაზღვრება, დიდ როლს ასრულებს მოტორული აქტივობა.

მოტორული აქტივობა ქცევის ფორმებში ვლინდება.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს განვითარებული აქვთ ისეთი მოტორული აქტივობა, როგორიცაა სიმარდე, მოხერხებულობა, სიმარჯვე. ამ ქცევების განვითარება და გაძლიერება ბავშვისთვის მიმზიდველი და საინტერესოა, რაც მიზნობრივად უნდა იქნეს გამოყენებული წარმატებული შედეგის მისაღწევად.

ადამიანის განვითარება ქცევაში მიმდინარეობს. ,,ყოველი ცალკე ფუნქცია, მოტორული იქნება იგი, სენსორული თუ ინტელექტუალური, რეალურად მხოლოდ ინტერფუნქციონალურ კომპლექსებშია მოცემული, რომელიც ქცევის ამა თუ იმ ფორმის ნიადაგზე ყალიბდება (უზნაძე 1998:42).

სასკოლო ასაკის ბავშვის ქცევის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფორმა, როგორც აღვნიშნეთ, არის სწავლა. სასკოლო გარემოში ქცევის განვითარების საუკეთესო საშუალებაა სპორტი.

სპორტი წესისა და რიგის დაცვას, გარკვეული მიმართულებით მოძრაობათა სიზუსტეს და ძალისხმევას მოითხოვს. ბავშვის ქცევებს არა მარტო მოძრაობის იმპულსი, არამედ მასთან ერთად დასახული მიზანიც განსაზღვრავს.

სპორტი შეჯობრებისა და შეცილების მოტივებს მოიცავს, რითაც, ასე თუ ისე, მაინც მოზარდის განწყობას ეთანხმება. სპორტული თამაშების განსაკუთრებულობა მდგომარეობს შეჯიბრების ხასიათში, ინტერესის ამაღლებაში, გუნდურ

თანამშრომლობაში, გარკვეული წესების დაცვაში, გუნდის წევრებისა და მოწინააღმდეგის შესაძლებლობების გათვალისწინებაში (ალექსანდროვა 2007).

სპორტულ თამაშებში კარგად ვლინდება პიროვნული თვისებები.

სპორტული თამაშები ხელს უწყობს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა:

- მზადყოფნა დაიცვას გარკვეული წესები;
- ურთიერთობა თანატოლებთან, უფროსებთან, მოწინააღმდეგესთან;
- ადეკვატური რეაგირება სხვის შეხედულებებზე, პოზიციაზე, გადაწყვეტი-ლებაზე;
- შეუფარდოს თავისი მოთხოვნილება და სურვილი წესების დაცვას;
- სიტუაციის შესაფერისი ქმედება განახორციელოს ისე, რომ არ დაარღვიოს გუნდის ინტერესები;
- პატივი სცეს გუნდის ყოველი წევრის პიროვნებას, წარმატების ან წარუმატებლობის შემთხვევაში;
- საკუთარი ფიზიკური და ფსიქიკური ძალების მობილიზება გუნდის ინტერესების დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ იაპონიაში მნიშვნელოვნად შეამცირეს ბავშვთა შორის ძალადობა არა სასჯელითა და რეპრესიებით, არამედ შესანიშნავად ორგანიზებული ფიზიკური აღზრდის სისტემის წყალობით. ამასთან, ,,ისინი გულმოდგინედ ასწავლიან ბავშვებს განათლებისა და ცოდნის პატივისცემას, ისე, რომ მოზარდთა ლიდერებად იქცნენ არა ჩხუბისთავები, არამედ წარჩინებული მოსწავლეები'' (ცუცქირიძე 2005:94).

ბავშვის პრობლემურ ქცევას ყოველთვის რაღაც მიზეზი აქვს, რაც შეიძლება ზედაპირზე არ ჩანდეს, მაგრამ დაკვირვება და ამოცნობა იმისა, თუ რა უსწრებს წინ პრობლემურ ქცევას და რა შედეგი მოაქვს ამ პრობლემურ ქცევას - აუცილებელია.

ბერეს ფრედერიკ სკინერის მიხედვით, არასასურველი ქცევის მომავალში სასურველად გარდაქმნის ალბათობა დიდია.

სკინერი დასჯის წინააღმდეგია, ის თვლის, რომ დროთა განმავლობაში დასჯა არაეფექტური ხდება. ის მხოლოდ ახშობს არასასურველ ქცევას. როცა დასჯის შიში გაივლის, ქცევა უბრუნდება პირვანდელ დონეს.

დასჯა მიუთითებს მხოლოდ იმაზე, თუ რა არ უნდა გააკეთო, და არა იმაზე, რისი გაკეთება იქნებოდა მისაღები და კარგი.

დასჯა ხშირად მიუღებელი ქცევის განვითარების მიზეზიც ხდება, თუ ბავშვი რაიმე ქცევის გამო დაისაჯა (გაილახა), იგი ჩათვლის, რომ არის შემთხვევა, როცა ცემა, სხვისთვის ტკივილის მიყენება დასაშვებია.

ამასთან, დასჯას აქვს მრავალი ალტერნატივა და მათი გამოყენება უფრო ეფექტურია, მაგალითად, სიტუაციის ცვლილება არასასურველი ქცევის თავიდან აცილების მიზნით.

ჩავატარეთ კვლევა.

კვლევის მიზანი: უარყოფითი და დადებითი დასჯის რომელი ტიპი გამოიყენება სკოლაში.

კვლევის ჩატარების დრო: 2009 წლის ნოემბერი.

კვლევაში მონაწილეები: ქალაქისა და სოფლის სკოლების 40 მოსწავლე.

კვლევის მეთოდი: ინტერვიუ.

კვლევის პროცედურა: ინტერვიუ ითვალისწინებდა ორ კითხვას (კითხვებზე პასუხის ჩაწერა ხდებოდა დიქტოფონით):

1. დაასახელეთ უარყოფითი დასჯის გამოყენების მაგალითი;
2. დაასახელეთ დადებითი დასჯის გამოყენების მაგალითი;

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა მიერ სკოლებში უარყოფითი და დადებითი დასჯა ნაკლებად გამოიყენება. უფრო ხშირია მკაცრი დასჯის შემთხვევები, თუმცა შედეგები სასურველი არ არის.

სკოლის მოსწავლეებმა თავიანთი ბავშვობიდან დაასახელეს მაგალითები, რომლებიც თავისი შინაარსით დადებით დასჯას განეკუთვნება, მაგალითად, ერთ მოსწავლეს გიმნაზიის დირექტორთან უხმეს გოგონასადმი ცუდად მოპყრობის გამო. ის შიშითა და მორიდებით მივიდა კაბინეტამდე. 10-15 წუთი კარებთან იდგა, შემდეგ იხმეს კაბინეტში. დირექტორმა გვერდით დაისვა და კანფეტი შესთავაზა, გაესაუბრა.

ბავშვის (მე-6 კლასელი) ქცევაზე სიტყვაც არ დაუძრავს. იმ დღის შემდეგ მსგავსი რამ მის ცხოვრებაში აღარ განმეორებულა.

დასახელდა ასეთი მაგალითიც: მასწავლებელმა ხელი ჩაავლო მოსწავლის კაბის საყელოს და მიმართა: ამით აპირებთ ღონისძიებაზე წამოსვლას? მაშინდელი უარყოფითი განცდა ამ მოსწავლეს დღემდე მოჰყვება. იქნებ საკამათოა - ეს შეურაცხყოფაა თუ დასჯა, მაგრამ მოგონების ავტორი დასჯად თვლის.

დასახელდა მაგალითი, როდესაც ერთ-ერთ მოსწავლეზე გაბრაზებულმა პედაგოგმა საღეჭი რეზინი ჩააწება თმებში მოსწავლეს. ეს ფაქტი მოსწავლეებმა შეაფასეს, როგორც დასჯა, მაგრამ იგი უფრო შეურაცხყოფის ნიშნებს შეიცავს.

მოსწავლეებმა რამდენჯერმე დასჯის მაგალითად დაასახელეს პედაგოგის მიერ მოსწავლის კლასიდან გაძევება, როგორც ,,ანცი'' მოსწავლის დასჯის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა. დასჯის ეს მეთოდი თავისი შინაარსის გამო ჩაღრმავებას მოითხოვს: პედაგოგი, ნაცვლად იმისა, რომ სხვადასხვა მეთოდებით დააინტერესოს მოსწავლე სწავლის პროცესით, ირჩევს ძალიან პრიმიტიულ გზას, ახდენს მოსწავლის ჩამოცილებას სწავლის პროცესიდან, რაც ცალსახად არასწორია.

სკინერის თეორიისა და პრაქტიკული გამოცდილების ანალიზით ცხადი ხდება, რომ ქცევის გამომწვევი მიზეზების ანალიზი, ქცევის გამოსწორების ფორმების ცოდნა და გამოყენება სასურველი შედეგის ერთადერთი პირობაა.

ქცევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, საყურადღებოა ისეთი მიმდინარეობა, როგორიცაა ,,ბიჰევიორიზმი'' (ქცევათმეცნიერება). ბიჰევიორიზმმა დიდი გავლენა მოახდინა საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტექნოლოგიებზე ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ქცევითი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა სასწავლო გეგმაში, სწავლებისადმი ინდივიდუალური მიდგომა, კომპიუტრული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, სწავლებისადმი სისტემური მიდგომა, სწავლების მეთოდოლოგია.

ბიჰევიორიზმს ხშირად განიხილავენ კონსტრუქციულ და სოციალურ-კონსტრუქციულ მიმართულებებთან დაპირისპირებაში, მაგრამ უდავოა, რომ მოსწავლეთა ქცევის, განსაკუთრებით, ინდივიდუალური ქცევის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ბიჰევიორიზმის როლი მნიშვნელოვანია.

სკოლა თავის აღმზრდელობით ფუნქციას ხშირად შემოფარგლავს სხვადასხვა წესის შემოღებით, რომელიც განაპირობებს შინაგანი ყოფაქცევის დაცვას. ეს ყურადღება მოსწავლის შინაგანი ქცევისადმი არასაიმედოა. ცხადია, არ შეიძლება შემთხვევითი რეკომენდაცია დაწესდეს ცხოვრებასა და ქცევაში. ყველაზე სათუთი სიყვარული ბავშვებისადმი უნდა ვლინდებოდეს წესრიგისა და სიმკაცრის ცნობილი კანონების თანხლებით. ამ მხარეების შეთანაწყობა იძლევა საჭირო აღმზრდელობით ხაზს, რომლის მეშვეობით ბავშვები ადვილად ითვისებენ ყველა აუცილებელ წესს, ისე, რომ არ ფარავენ მას აღმზრდელისაგან. შინაგანი წესების მიხედვით, სკოლა ზოგჯერ გამოხატავს ინტერესს თავისი აღსაზრდელის მიმართ, მაგრამ ეს შემთხვევა განსაკუთრებით იშვიათია. საყურადღებოა, რომ სკოლას, ჩვეულებრივ, აქვს ტენდენცია განავრცოს თავისი გავლენა მოსწავლის მთელ ცხოვრებაზე: კითხვა, თეატრში დასწრება, ნაცნობობა და ა.შ.

,,სკოლამ აღმზრდელობითი ამოცანა პირველ რიგში უნდა დააყენოს. შეიძლება ისიც ითქვას, რომ სასკოლო რეჟიმი ხშირად თვითონ ფანტავს აღმზრდელობით ძალას, აღზრდის არსის მიხედვით, სკოლა უნდა დაეხმაროს ბავშვს იქ, სადაც მას არ შეუძლია თავის თავს თვითონ დაეხმაროს. ამ თვალთახედვით გამოვყოფთ ფორმულას ,,სწავლებით აღზრდა''. აღზრდა უნდა დადგეს პირველ რიგში და მოიცავდეს თავისთავში სწავლებას და არ იყოს სწავლებაში რაღაც დამატებითი'' (ზენიკოვსკი, 1996:98).

აღმზრდელობითი გავლენა სწავლების გარდაუვალი თანამგზავრია. სწავლება ყოველთვის აყალიბებს მოსწავლის პიროვნებას, მის ზნეობრივ გრძნობებს. თითოეული სასწავლო საგნის შინაარსი განისაზღვრება სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის პრინციპით. იაკობ გოგებაშვილი სწავლების დიდაქტიკურ პრინციპებს აღზრდას უკავშირდებდა. „პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნით“ (გოგებაშვილი 1989).

ქცევის აღზრდაში წარმატების მიღწევა ოდითგანვე იყო დაკავშირებული ალაგმვის, აკრძალვის მეთოდებთან. მეოთხე საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწე იოანე ოქროპირი წერდა, რომ ,,გულმოდგინედ უნდა გესწავლებინა, დაგესაჯა

სულიერი მანკიერების გამო. ყოველგვარი ეკალი ბავშვს ხელსაყრელ დროს უნდა ამოვაძროთ, სათუთ ასაკში ის უფრო ადვილად მოსაცილებელი და მოსაშუშებელია, რათა უყურადღებოდ დატოვებული ვნებები არ გაძლიერდნენ და არ გახდნენ ძნელად გამოსასწორებლები'' (წმინდა იოანე ოქროპირი, 1990:129).

შევაკავოთ, ავლაგმოთ, ვურჩიოთ, დავარწმუნოთ, შევამოწმოთ, ვუსაყვედუროთ, რათა განვდევნოთ ბავშვის სულისგან ავი ზნე-ჩვეულებანი - ასეთია საეკლესიო წმინდა მამათა რჩევა.

ფრიად საყურადღებოა წმინდა მამათა ისეთი რჩევის გამოყენებაც, როგორიცაა: სიყვარულით გავასწოროთ ერთმანეთის შეცდომა-შეცოდებანი, რომელიც თავის თავში შეცდომების, არასწორი ქცევის, ნაკლის დანახვასთან ერთად, მის გამოსწორებაში დახმარებასაც გულისხმობს.

მნიშვნელოვანია თავის თავზე დაკვირვების მეთოდი, რომელსაც საეკლესიო მამები ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნიდან გვთავაზობდნენ (წმინდა ბასილი, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმინდა იოანე ოქროპირი) თავიანთ ქადაგებებში და მიიჩნევდნენ, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს დაკვირვება, საითკენ მიდის მისი საქციელი - სიკეთისკენ თუ ბოროტებისკენ.

ცუდი საქმისა და ცუდი ადამიანებისაგან თავის მორიდებას გვირჩევს წმინდა ეფრემ ასური.

მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემაში ქცევის აღზრდისათვის შენარჩუნე-ბულია აღზრდის მკაცრი ფორმები, რომლის დარღვევისათვის გათვალისწინებულია სასჯელი, მაგალითად, კუთხეში დაყენება, იძულება, უაზრო ტექსტების მრავალგზის გადაწერა, დასაშვებია ფიზიკური დასჯაც. ასე მაგალითად: აშშ-ში 38 შტატში ოფიციალურად არის დაშვებული დასჯა. დიდი ბრიტანეთის სკოლებშიც ასევე მიღებულია დასჯის ფორმები. საფრანგეთში დასჯა კანონით აკრძალულია, მაგრამ გამოკითხვების მიხედვით, სკოლის ხელმძღვანელები დასჯას მიიჩნევენ აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად.

მეცნიერთა ერთი ნაწილი (ა. ჯურინსკი: 1999) მიიჩნევს, რომ სასკოლო ქცევის რეგლამენტაცია არცთუ უსარგებლოა. მაგ.: იაპონიის მრავალკონტინგენტიან კერძო

სკოლებში მოსწავლეებს მკერდზე მიკრული აქვთ პლასტიკური ბარათები, სახლისა და კლასის მითითებით. ზოგან კლასების მიხედვით განსხვავებულია ფორმა.

იაპონიის სკოლებში აღიარებულია კოლექტიურობის იდეა, რომლის მთავარი აზრი ისაა, რომ ცელქ მოსწავლეებს ეკრძალებათ კოლექტიური საქმიანობა.

ქცევის აღზრდაში აშშ-ში დადებით შედეგად მიიჩნიეს კლასებისა და მასწავლებლების ხშირი შეცვლა. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ამგვარ სისტემას აქვს ნაკლი: სტრესების აღმოცენების საფრთხე, დისციპლინის დონის დაქვეითება და სხვა. პოზიტიურ მხარედ მიიჩნიეს ის, რომ ახალ მასწავლებელთან ან კლასში მოსწავლეს ეძლევა შანსი უფრო ხელსაყრელი პოზიცია დაიკავოს თანაკლასელთა შორის, მაგალითად, ბავშვებს, რომლებსაც ადრე უარყოფითი იმიჯი ჰქონდათ, შეუძლიათ მოიცილონ უარყოფითი იარლიყი (მასალა აღებულია ზ. ცუცქურიძის და ნ. ორჯონიკიძის წიგნიდან ,, განათლების თანამედროვე თეორიები'', თბილისი, 2005:95).

ეს მოსაზრება საკამათოა, რადგან შეცვლილ გარემოში ან შეცვლილ მოსწავლეებთან სასწავლო გარემო ყოველთვის მოწესრიგებული როდი იქნება.

კომპეტენციის მაღალ ფორმადაა მიჩნეული თანამშრომლობასა და პარტნიორობაზე დაფუძნებული აღზრდა, რომელსაც ,,თანამშრომლობის პედაგო-გიკას'' უწოდებენ. თანამშრომლობის პედაგოგიკის ამოსავალი პრინციპია ,,გავხა-დოთ მოსწავლე ჩვენს მეკავშირედ მისსავე აღზრდაში'' (ბიბილეიშვილი 1993:15).

დასავლეთ ევროპის საგანმანათლებლო სისტემაში გავრცელებულია ე. წ. ,,ქცევის აღზრდის მეთოდიკა''. იგი ითვალისწინებს სათამაშო სიტუაციებს, მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანამშრომლობას. ეს მეთოდიკა აშშ-ს სკოლებში ხორციელდება ე.წ. „კომუნიკაბელობის აღზრდის“ პროცესში, რომლის მიზანია მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის შემეცნებითი და ემოციური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

სასწავლო გარემოს მნიშვნელობის გაძლიერებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასწავლებლის მიერ უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნის შესახებ მოთხოვნები შეტანილია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებში.

სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია, რომ მასწავლებელი:

- აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლეთა განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგებზე;

- იცის, როგორ მართოს მოსწავლეების ქცევა წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში, როგორ ასწავლოს თანამშრომლობითი ურთიერთობები და ხელი შეუწყოს აზრის გაბედულად გამოხატვას;

- იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი ქცევის დამოუკიდებლად შეფასებასა და მართვის უნარის ჩამოყალიბებაში.

შეცვლილ გარემოში ქცევის გარდაქმნის, განვითარების საფუძველს ქმნის ამერიკელი ფსიქოლოგის – ალბერტ ბანდურას (1997) სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია, რომლის მიხედვით, ადამიანის ქცევა თვითრეგულირებადია. სხვა ადამიანების ქცევის დაკვირვების და საკუთარი გამოცდილების შედეგად ადამიანს უყალიბდება ე.წ. ქცევის სტანდარტები, რომლებიც ქმნის თვითრეგულაციის და სხვა ადამიანების ქცევის შეფასების ძირითად ბაზას. თუკი სხვა ადამიანის ქცევა აღემატება საკუთარი თავისათვის დასახულ ქცევის სტანდარტებს, ქცევა ფასდება დადებითად, ხოლო თუ ის სტანდარტზე ბევრად უფრო ნაკლებია ან შეუსაბამოა, მაშინ უარყოფითად. ანალოგიურია ვითარება საკუთარი ქცევების შეფასების თვალსაზრისითაც. ქცევა, რომელიც ადამიანის მიერ შეფასებულია, როგორც სტანდარტის შესატყვისი, უფრო თავდაჯერებულს ხდის მას. და პირიქით, ქცევამ, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის მორალურ პრინციპებს, სტანდარტებს, შეიძლება გამოიწვიოს უპატივცემულობა საკუთარი თავის მიმართ. ამ იდეის განვითარების პროცესში ბანდურა აღნიშნავს, რომ ადამიანის ქცევა სიტუაციური ბუნებისაა, გარკვეული მექანიზმების გამოყენებით, ადამიანი ადვილად ახერხებს აარიდოს თავი ამ უსიამოვნო განცდას. ბანდურა ასახელებს შვიდ ასეთ მექანიზმს.

ალბერტ ბანდურას თეორიაზე დაყრდნობით ჩავატარეთ კვლევა.

კვლევის მიზანი: კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიერ საკუთარი ქცევების შეფასების ხარისხის დადგენა.

საკვლევი ფაქტორები: რამდენად სწორად აფასებს ბავშვი თავის ქცევას; ახერხებს თუ არა აარიდოს თავი თავისივე ქცევით გამოწვეულ უსიამოვნებას.

სამიზნე ჯგუფი: კანონთან კონფლიქტში მყოფი 10-16 წლის 40 ბავშვი.

კვლევის ჩატარების დრო: 2008 წლის ნოემბერი.

კვლევის მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ცხრილების ანალიზი, რეგრესიული ანალიზი.

კვლევის პროცედურა: ინსტრუქტაჟისა და რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა ბავშვის მიერ თავისივე ქცევით გამოწვეული უსიამოვნებისთვის თავის არიდება რამდენად ახდენს გავლენას საკუთარი ქცევის სწორად შეფასებაზე. კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა ინსტრუქტაჟი. ინსტრუქტაჟის პროცესში გამოვიყენეთ ა. ბანდურას მიერ შემუშავებული რვა მექანიზმი:

1. მორალური გამართლება (იმიტომ მოვიპარე, რომ ჩემს . . . . . შიოდა);
2. წარმოდგენების შეცვლა (თუ სიტუაციას თამაშის, ხუმრობის სახე აქვს, მაშინ საზოგადოებაში აგრესიის გამოვლენა მიუღებელ ქცევად არ ჩაითვლება);
3. მომგებიანი შედარება (მე ცუდად მოვიქეცი, მაგრამ მან უარესი ჩაიდინა, ასე რომ, ჩემი ქცევა ამის ფონზე სრულიად უწყინარია);
4. პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარება (იმიტომ გავაკეთე, რომ ასე მიბრძანეს, დამავალეს და ა.შ.);
5. პასუხისმგებლობის გადანაწილება (გადაწყვეტილება ჯგუფმა მიიღო და არა მე, მე დავემორჩილე);
6. შედეგების იგნორირება ან დამახინჯება (მე მხოლოდ ფეხი დავუდე, ის დაეცა, მაგრამ არაფერი უტკენია, წამოხტა და გაიქცა);
7. დეჰუმანიზაცია (თუ ადამიანს განიხილავ ადამიანური თვისებების არქმონედ, ანუ უღირსად, მაშინ მისგან ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა უფრო მარტივი ხდება);
8. დანაშაულის სხვაზე მიწერა (მართალია, დავარტყი, მაგრამ მისი ბრალი იყო. თვითონ გამომიწვია, მე სულაც არ ვაპირებდი მის ცემას).

ინსტრუქტაჟის შემდეგ ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა. ანკეტას თითოეული რესპონდენტი ავსებდა ცალ-ცალკე. მონაცემების გადამუშავებით მივიღეთ შემდეგი შედეგი:

ცხრილი 1

№	**მახასიათებლები, რომლითაც ბავშვი ცდილობს გაამართლოს თავისი ქცევა**	**ვცდილობ ხანდახან/ იშვიათად**	**ვცდილობ ხშირად/ ყოველთვის**	**არ ვცდილობ**
1	მორალური გამართლება	26%	52%	22%
2	წარმოდგენების შეცვლა	35%	36%	29%
3	მოგებიანი შედარება	21%	64%	15%
4	პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბრალება	28%	63%	9%
5	პასუხისმგებლობის განაწილება	36%	52%	12%
6	შედეგების იგნორირება, დამახინჯება	25%	62%	13%
7	დეჰუმანიზაცია	29%	67%	4%
8	დანაშაულის სხვაზე მიწერა	32%	54%	14%

ცხრილი 2

№	**საკუთარი ქცევის შეფასების მახასიათებლები**	**ხანდახან/ იშვიათად**	**ხშირად/ ყოველთვის**	**არასდროს**
1	ქურდობის ნებისმიერი ფაქტი შეცდომად მიმაჩნია	24%	58%	18%
2	ხუმრობით თქმულზე აგრესიას არ ვავლენ	31%	49%	20%
3	ჩემს ქცევას ვადარებ ჩემზე უკეთესს	26%	25%	49%
4	ჩემს ქცევას ვადარებ ჩემზე უარესს	27%	56%	17%
5	ვიქცევი სხვების გავლენის შესაბამისად	30%	61%	9%
6	ჩემს ქცევაზე პასუხისმგებლობას თავად მე ვიღებ	31%	56%	13%
	ჩემს ქცევაზე პასუხისმგებლობას არ ვიღებ	28%	59%	13%

7	შეუბრალებლად ვიქცევი იმათ მიმართ, ვინც ღირსებას მილახავს	21%	71%	8%
8	ჩემი ქცევის უარყოფით შედეგებს სხვებს ვაბრალებ	35%	46%	19%

ცხრილების ანალიზი ცხადყოფს, რომ მაღალია ღირსების შელახვის დროის ქცევის შეუბრალებლობის, სხვების გავლენის შესაბამისი ქცევის მაჩვენებლები. ერთმანეთს უახლოვდება ქცევის პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალებისა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღიარების მაჩვენებლები. ასევე, ერთმანეთს უახლოვდება შედეგების იგნორირებისა და აღიარების მაჩვენებლები. უკეთესზე თავის შედარებას სჭარბობს უარყოფითისთვის თავის შედარება.

კვლევით მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით, შევიმუშავეთ რეკომენდაციები:

- შევქმნათ პირობები, რომ ბავშვმა ქურდობის ნებისმიერი ფაქტი ნებაყოფლობით აღიაროს, როგორც მცდარი ქცევა და არ ეცადოს თავის მართლებას;

- ვასწავლოთ არ გამოავლინოს აგრესია ხუმრობით თქმულზე, თამაშის პროცესში, სურვილებისა და აზრების შეუთანხმებლობის დროს;

- ვასწავლოთ, რომ თავისი ქცევა შეადაროს მასზე უკეთესს, ამით უკეთ დაინახავს, რა აკლია მას, რისკენ ისწრაფვის, რა უნდა გამოასწოროს;

- ვიხსნათ ბავშვები სხვისი უარყოფითი გავლენისაგან;

- ჩამოვუყალიბოთ პასუხისმგებლობის აღების გრძნობა;

- ვასწავლოთ, როგორ გაიაზროს საკუთარი ქცევის შედეგი;

- არასოდეს შევლახოთ ბავშვის ღირსება, პატივი ვცეთ მის პიროვნებას, ვეძიოთ დადებითი;

- ვასწავლოთ თავისი ქცევის უარყოფითი შედეგების აღიარება და ანალიზი.

რეკომენდაციების შინაარსი, ცხადია, ახალი აღმოჩენა არ არის და პედაგოგიურ შრომებშია განფენილი, მაგრამ იგი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ქცევის გარდაქმნისა და უკეთესობისკენ განვითარების მიზნითაა შერჩეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო პროცესებზე დაკვირვების ანალიზმა (დაკვირვება ჩატარდა 6 სკოლის 36 კლასში) გამოავლინა, რომ თითქმის არსად არ

ხდებოდა მოსწავლეთა მიერ საკუთარი ქცევის შეფასება ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით, თუმცა იშვიათად გვხვდება ცალკეული მახასიათებლის მსჯელობის ფაქტი.

ჩავატარეთ სემინარი, სადაც სკოლის კლასის დამრიგებლებს, სკოლის დირექტორებს, ფსიქოლოგებს გავაცანით კვლევის შედეგები და რეკომენდაციები. კლასის დამრიგებლებმა გაიზიარეს ჩვენი რეკომენდაციები და აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით ყურადღების მიქცევა აუცილებელია, მით უმეტეს, რომ მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდები ითვალისწინებს ა. ბანდურას თეორიის ცოდნას და პრაქტიკულ გამოყენებას. მეორე მხრივ, სკოლის პრაქტიკა მოითხოვს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებას.

სემინარის მსვლელობაში პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ წამოიჭრა პრობლემა მოსწავლეთა ქცევის შესახებ მეტი ინფორმაციის, სიახლეების გაცნობის აუცილებლობის შესახებ. შეგონებას ,,კარგად მოიქეცი'' გავლენა არა აქვს, რადგან ბავშვმა არ იცის, რა არის ,,კარგად მოქცევა''. ზოგჯერ ის, რაც მას ,,კარგი ქცევა'' ჰგონია, უფროსებისათვის სრულიად მიუღებელია.

ამ მიმართულებით საინტერესო კვლევები არსებობს, რომლებიც ინტერნეტ-რესურსებშიც არის ასახული.

არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, გთავაზობთ კლასის დამრიგებლებისათვის განკუთვნილი **შეხვედრის მოდელს**.

შეხვედრის მიზანია: პროფესიული კომპეტენციის ამაღლება სკოლის დონეზე.

შეხვედრის ფორმა: ლექცია–ვორკშოფი, რომელიც მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების საშუალებით პრაქტიკული სწავლის შესაძლებლობას იძლევა და განაპირობებს შედეგის მიღწევას: თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ხარისხის ამაღლებას.

თემა: მოდელირების მაგალითის გავლენა ქცევის აღზრდაზე.

განმარტებისათვის: მაგალითის მეთოდი ფართოდაა ცნობილი პედაგოგიურ მეცნიერებაში. ჯერ კიდევ პაულო ვერჯერიო (1350-1444), როცა სკოლის საფუძველს განიხილავდა, სამთაგან ერთ-ერთ აღმზრდელობით ფუნქციად მაგალითის გამოყენებას თვლიდა: რადგან ბავშვის ცოცხალ, მკვირცხლ და ადვილად აღმბეჭდავ

გონებაზედ მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედებს, ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება. ამიტომაც ყველაზე უკეთესი ღონე ის არის, მოწაფეს წინ გადაუშალოს ოსტატმა ცხოვრება დიდბუნოვან კაცთა, რომელიც ასე ბევრნი მოგვეპოვება ძველ დროში.

მაგალითის მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს წინაპრების, უფროსებისადმი ქართველი კაცის მორიდებას და პატივისცემას, ასევე, ოჯახთან, უფროსებთან, მეზობლებთან, თანატოლებთან, სხვა ერის წარმომადგენლებთან კეთილ დამოკიდებულებას, ტრადიციის დაცვას, მოვალეობის გრძნობის განვითარებას.

მაგალითის გავლენის სხვადასხვა სახე არსებობს: მაგალითი მშობლისა, რომელიც მიჩნეულია ბავშვის ზნე-ხასიათის ჩამოყალიბების უმთავრეს საწყისად, მასწავლებლის პირადი მაგალითი, ყველა იმ ადამიანის მაგალითი, ვისთანაც ბავშვს ურთიერთობა აქვს.

აღზრდაზე მაგალითის ზეგავლენის მრავალი შეხედულება არსებობს. ყურადღებას იპყრობს ფსიქოლოგ ალბერტ ბანდურას თეორია, რომელიც შეეხება მოდელირებას, ანუ სხვა ადამიანის მოქმედების იმიტაციას. ბანდურა თვლიდა, რომ ადამიანები ეფექტურად სწავლობენ სხვა ადამიანებზე, ანუ მოდელზე დაკვირვებით. ადამიანებს სხვისი იმიტაციის/მიბაძვის უნარი დაბადებიდან მოსდევთ. ისინი სწავლობენ ქცევებს სხვა ადამიანებზე დაკვირვებით.

ბევრი მოდელი, რომელთაგან ადამიანები სწავლობენ, ცოცხალი მოდელები არიან, რეალური ადამიანები, რომელთაც შეიძლება დააკვირდნენ, თვალყური ადევნონ. აგრეთვე, ადამიანები სწავლობენ სიმბოლური მოდელებისაგან: წიგნები, კინოფილმები, მედიაში ან ინტერნეტში ასახული რეალური ან გამოგონილი ფიგურებისაგან ან პერსონაჟებისაგან.

მოდელირების ზეგავლენა შეიძლება გამოვლინდეს მოქმედების იმიტაციაში ან მოქმედების დემონსტრაციაში (აღწერა იმისა, თუ რას და როგორ აკეთებს მოდელი).

ეფექტური მოდელის დამახასიათებელ თვისებად მიჩნეულია კომპეტენტურობა, პიროვნების, მისი გაკეთებული საქმეების, შემოქმედების პრესტიჟი და ძალაუფლება; მისთვის შესაფერისი საქციელი; მოქმედება, რომელიც მოსწავლის სიტუაციისათვის არის რელევანტური (მნიშვნელოვანი, სასარგებლო).

ბანდურა თვლის, რომ სამაგალითო ქცევის სწავლისათვის საჭიროა ოთხი პირობა: ყურადღება, შენარჩუნება, გამეორება, მოტივაცია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქცევის მოტივის პრობლემასთან დაკავშირებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ფსიქოლოგ შალვა ჩხარტიშვილის (1958) გამოკვლევები.

მოსწავლეებზე გავლენას ახდენს არა მარტო მოდელის ქცევა, არამედ ის შედეგებიც, რომლებიც მოდელის მოქმედებას მოსდევს.

ა. ბანდურას თეორიას განვიხილავთ აღმზრდელობით საქმიანობასთან მიმართებაში.

შეხვედრა I

შეხვედრის მონაწილეები დაყოფილია ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს დაურიგდება ბარათები, რომელზეც აღწერილია ბანდურას მოსაზრება მოდელირების მოსწავლის ქცევაზე გავლენის ზემოქმედების სხვადასხვა ფორმის შესახებ. ჯგუფებმა შესაბამისი მაგალითების ჩვენებით უნდა შექმნან მათ სადამრიგებლო კლასში განსახორციელებელი საქმიანობის ნიმუშები.

ბარათი I – დაკვირვებით გამომუშავებული ქცევა.

მოსწავლე, რომელიც თვალს ადევნებს მოდელს, იძენს ქცევას, რომელსაც მოდელი ამჟღავნებს.

ბარათი II – საპასუხო ქცევის წახალისება.

მოსწავლე უფრო ხშირად გამოამჟღავნებს ადრე ნასწავლ ქცევას, თუ ის დაინახავს, როგორ წაახალისეს მოდელი იგივე ქმედებისათვის.

ბარათი III – საპასუხო ქცევის შეკავება.

მოსწავლე უფრო იშვიათად გამოამჟღავნებს ადრე ნასწავლ ქცევას, თუ დაინახავს, როგორ დასაჯეს მოდელი იმავე ქცევისთვის.

ბარათი IV – საპასუხო ქცევის გამოვლენა.

მოსწავლე უფრო ხშირად გამოამჟღავნებს იმ ქმედებას, რომელიც ადრე აკრძალული იყო და ისჯებოდა, თუ დაინახავს, რომ მოდელისათვის ამ ქმედებას უარყოფითი შედეგი აღარ მოაქვს.

ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ნიმუშების პრეზენტაციის შემდეგ შემუშავდება ერთიანი სამოქმედო პროგრამის ვარიანტები.

პროგრამის ერთ-ერთი საკითხი შეიძლება იყოს: ,,კლასის საათი'', ,,ვის მივბაძავდი და რატომ?'' მოსწავლეები გამოიყენებენ ორმხრივი ჩანაწერის მეთოდს. ფურცლის ერთ მხარეს ჩამოწერენ იმ ადამიანების სახელებს, რომელთაც დიდ პატივს სცემენ და სურთ მიბაძონ, ფურცლის მეორე მხარეს მიუწერენ კომენტარს, თუ რატომ სცემენ პატივს და რატომ მიბაძავენ. აუცილებელია მოსწავლეებისათვის თავიანთი მოსაზრების თავისუფლად და გულწრფელად გამომჟღავნების პირობების შექმნა, რადგან ბავშვები ყოველთვის ცნობილ და დადებით ადამიანებს როდი ბაძავენ. ამასთან გამომჟღავნდება კლასში ვინ მიაჩნიათ მისაბაძად და რატომ.

ერთი შეხედვით, ნაცნობი და ახლობელი მაგალითის მეთოდი ახალი მიდგომის გამოყენებით კლასის დამრიგებლის წინაშე დიაგნოსტირების ნათელ სურათს ქმნის, რაც სამომავლო საქმიანობის დაგეგმვაში დაეხმარება.

შეხვედრა II. კვლევითი სემინარი.

სემინარი ჩატარდა 40 კლასის დამრიგებელთან. მათი სემინარზე წარდგენა სკოლის დირექტორის მიერ მოხდა.

თემა: მოთხოვნები, რომელთა შეცვლილ გარემოში გათვალისწინება აუცილებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მისაღები ქცევის ჩამოყალიბებისათვის.

სემინარის მონაწილეებს დაურიგდათ კითხვარი, რომლის მიხედვითაც მათ დაწერეს ანგარიშები. ანგარიშების პრეზენტაცია ჩატარდა კვლევითი სემინარის პროცესში. ანგარიშის შესადგენად გამოყენებულ იქნა კითხვარის შემდეგი ვარიანტები:

I. ასაკი და სქესი

- განსხვავდება თუ არა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის კითხვარის შემდეგ ვარიანტში ბავშვის ასაკი კლასის სხვა მოსწავლეთა ასაკისგან?
- როგორ ფიქრობთ, უმჯობესია ერთი ასაკისანი იყვნენ, თუ დამხდვური მოსწავლეები უფროსები იყვნენ?
- კლასის რომელ ადგილზე განათავსებთ ბავშვს? რატომ?

II. ემოციური ვითარება.

- ბავშვმა წარსულში ხომ არ გადაიტანა ახლობლისაგან უარყოფა და მზუნველობის მოკლება?
- ბავშვი სხვების მიმართ ხომ არ არის აგრესიული და მტრულად განწყობილი?
- ბავშვი განმარტოებულია თუ პირიქით ცელქი?
- ხომ არ გადაიტანა ბავშვმა რომელიმე დაწესებულებაში, ან ვინმესგან ძალადობა?
- რამდენად არის კლასი მზად მიიღოს მძიმე ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვი, როგორ დაეხმარებიან, რომ განთავისუფლდეს უარყოფითი ემოციებისგან?

III. ჯანმრთელობის მდგომარეობა.

- ბავშვებს ხომ არ აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემები? თუ აქვს, ვისი დახმარების იმედი გაქვთ?
- ბავშვს ხომ არ აქვს შეფერხებული განვითარება? როგორ შეძლებთ დახმარებას?
- ხომ არ აქვს ბავშვს რაიმე ფიზიკური ნაკლი? თითონ როგორ განიცდის ამას?

IV. განათლება.

- გამოავლინეთ სწავლაში ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები?
- როგორ წაახაალისებთ წარმატების შემთხვევაში და რითი დაეხმარებით ჩამორჩენილ ბავშვს?

V. ოჯახური მდგომარეობა.

- ვინ ჰყავს ოჯახში, ვინ არის მარჩენალი?
- ოჯახს გააზრებული აქვს ბავშვის მდგომარეობა? როგორ ხედავენ მის მომავალს?
- ოჯახი ბავშვის მდგომარეობის გამო გულგრილია, განიცდის, თუ თავს თვლის დამნაშავედ და ნანობს?
- ოჯახის ირგვლივ არსებობს უარყოფითი ინფორმაცია?
- ოჯახს შეუძლია კლასის დამრიგებლის გვერდით დადგეს ბავშვის დახმარების მიზნით?

VI. კონტაქტი (ეს კითხვარი მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს ეხება).

- ვისთან ჰქონდა კონტაქტი ბავშვს მართლმსაჯულებაში მოხვედრამდე?
- ვის დაუმეგობრდა კლასში?
- მეზობლებს შორის ვისთან მეგობრობს?
- სკოლის გარეთ მეგობრები ჰყავს?

VII. ბავშვის განსაკუთრებული ნიჭი, მიდრეკილებები.

- აქვს ბავშვს რაიმე განსაკუთრებული ნიჭი (მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, სპორტული თამაშები, ფოტოგადაღება ან სხვა)?
- რისკენ აქვს მიდრეკილება (კინო, კომპიუტერი, თამაშები, კითხვა, გართობა და ა.შ.)?
- როგორ ფიქრობთ განსაკუთრებული ნიჭისა და მიდრეკილებების გამოყენებას ბავშვის სიკეთისკენ შემობრუნებაში?

შეხვედრის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მცირე კვლევის შედეგების პრეზენტაციის დროს საინტერესო სურათი წარმოდგა. იყო შემთხვევები, ოჯახს სრულად არ აინტერესებდა ბავშვის მდგომარეობა, ოჯახური უსიამოვნებების გამო ბავშვი სახლში არ ჩერდებოდა, კომპიუტერულ თამაშებზე დადიოდა. იქ გვიანამდე რჩებოდა, სწავლა ეზარებოდა და გაკვეთილზე არ ჩერდებოდა, ქუჩა-ქუჩა დახეტიალობდა. სწავლის ძლიერი მხარეებიც გამოვლინდა, განსაკუთრებით, მათემატიკურ საგნებში, რამდენიმე ძალიან კარგად მღეროდა, ყველაზე დამაფიქრებელი კონტაქტი იყო: უმეტესობა თანაკლასელებთან არ მეგობრობდა, არც მეზობლებთან, ყველანი შეთანხმდნენ, რომ სჯობს ერთი ასაკისანი იყვნენ, რადგან სხვადასხვა ასაკს სხვადასხვა თავისებურება ახასიათებს და ახალი პრობლემები შეიქმნება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კლასის დამრიგებელთა კეთილგანყობა, ისინიც კი, ვინც წინააღმდეგი იყო მის კლასში ,,დამნაშავე'' ბავშვის მიღებისა, დიდი ინტერესით მოეკიდნენ კვლევას და განაცხადეს, რომ სხვა თვალით შეხედეს ბავშვსაც და პრობლემასაც, გაუჩნდათ ინტერესი და მოტივაცია იზრუნონ ბავშვზე. პირველი ნაბიჯიც აირჩიეს: ბავშვის ნდობის მოპოვება. აღინიშნა, რომ ჩატარებული მცირე

კვლევის შედეგებმა ძირითადად წარმოაჩინა გარემო, მათ შორის, შეცვლილი გარემო, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და სწავლობს. ამასთან, გამოითქვა სურვილი, მეტი იცოდნენ პრაქტიკულად განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ.

სემინარის მონაწილეებმა აუცილებლად მიიჩნიეს სამოქმედო გეგმის შედგენა. ჩნდება კითხვა, როგორ უნდა აისახოს სკოლის საქმიანობაში კლასის დამრიგებელთა მიზნობრივი საქმიანობა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან?

ამ მიმართებით საინტერესოა პაატა პაპავას (2005) გზამკვლევი სკოლის განვითარებისათვის ,,სკოლების განახლება საქართველოში''. ავტორი სკოლის განახლების ძირითადი საფეხურების განხილვისას მნიშვნელოვნად მიიჩნევს არსებული მდგომარეობის კრიტიკულ ანალიზს, რომელშიც ერთ-ერთი მოთხოვნაა: ,,ჩამოაყალიბეთ და გააანალიზეთ სამიზნე პრობლემები. პრობლემების გასაანალიზებელად გამოიყენეთ ტექნოლოგია ,,პრობლემის ხე'' (პაპავა, 2005:85).

არსებული ვითარების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დგება სკოლის განახლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მათში ასახვას ჰპოვებს კლასის დამრიგებლის შემუშავებული გეგმაც.

პაატა პაპავა გვთავაზობს სამოქმედო გეგმის შემუშავების ნაბიჯებს, რომლის შესაბამისად, კლასის დამრიგებელს შეუძლია შეადგინოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან სამოქმედო გეგმა. ეს ნაბიჯები იქნება:

1. ჩამოთვალეთ და ჩამოწერეთ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის მიზნები;
2. თითოეული მიზნის ქვეშ ჩამოწერეთ ამოცანები;
3. ჩამოწერეთ ქმედებები, რომლებიც საჭიროა თითოეული ამოცანის შესასრულებლად;
4. დაალაგეთ თითოეული მიზნის შესაბამისი ამოცანები და ქმედებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. გაწერეთ საქმიანობები დროში;
5. განსაზღვრეთ თითოეული საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი;
6. სასურველია სამოქმედო ვადების განსაზღვა;
7. განსაზღვრეთ, როგორ შეფასდება ამოცანებისა და ქმედებების შესრულება.

ამ ნაბიჯების მიხედვით, კლასის დამრიგებლის მიერ შედგენილი გეგმა აისახება სკოლის სამოქმედო გეგმაში. თუ სკოლაში რამდენიმე კლასია, სადაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები სწავლობენ, გეგმა შემუშავდება კლასის დამრიგებელთა კათედრის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან კლასის დამრიგებელთა შეკრებაზე.

განხორციელებული საქმიანობით მიღწეული შედეგები შეფასდება დაგეგმვისა და შეფასების რუბრიკის მეორე მახასიათებლის გრაფაში. სასურველი დადებითი შედეგი სკოლის საერთო მიღწევად ჩაითვლება, რადგან სკოლის მთავარი მისიაა ,,ყველა ბავშვი მოამზადოს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობისათვის'' (პაპავა, 2005:7).

შეცვლილ გარემოში კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ქცევის გარდაქმნის და საჭირო მიმართულებით განვითარების უკეთესი გზების პოვნისათვის მართებულად მივიჩნიეთ განვიხილოთ ისეთი პრობლემები, როგორიცაა: რა გზით შეიძლება შევქმნათ ისეთი სასწავლო გარემო, სადაც წესრიგის დარღვევა იშვიათი მოვლენა იქნება? რა გზები იქნას მიღებული მასწავლებლის მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში? რა სტრატეგიები გამოიყენოს ქცევის წესებისა და პროცედურების დაცვისათვის? როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ქცევის თვითმართვა?

ამ პრობლემებზე საინტერესო პასუხს იძლევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო ,,სასწავლო და პროფესიული გარემო'' (თბილისი, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე'', 2008).

კლასში ქცევის წესების შემუშავება არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ჯერ კიდევ იან ამოს კომენსკიმ შეიმუშავა ,,მოსწავლის ყოფაქცევის წესები'', რომელიც მოიცავს ქცევის იმ ნორმებს, რომლებიც მოსწავლის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება:

- გიყვარდეს მასწავლებელი და ყველაზე მეტად მისი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა გსიამოვნებდეს;
- თუ მაინც ისეთ რამეს ჩაიდენ, რომ დასჯას დაიმსახურებ, ნურავის დაემდურები; თუ შეგაქებენ სათნოობისათვის, გიხაროდეს და ეცადე კიდევ უფრო მეტი ქება დაიმსახურო;

- მეტად გიყვარდეს უფრო განსწავლული და უფრო თავმდაბალი ამხანაგები და მათთან მეტად იმეგობრე;
- ვით საწამლავს, მოერიდე ქარაფშუტა ამხანაგებს, ცუდი ლაპარაკი აფუჭებს კარგ ზნეს;
- შეეჯიბრე კეთილ ადამიანებს მოვალეობის შესრულებაში, ნურავისთან ჩაებმები ჩხუბსა და დავიდარაბაში.
- ნუ გაჯიუტდები, თუ შეცდომას დაუშვებ, გამოტყდი და პატიება ითხოვე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ წესებმა უნდა არეგულიროს მოსწავლეთა მოქმედებები გარკვეული დროის განმავლობაში. ამიტომ ლოგიკურია, რომ მათ შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ მოსწავლეებმა შეასრულონ. ქცევის წესები ყველაზე შედეგიანია მაშინ, როცა ისინი მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის პროდუქტია. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს უჩნდებათ პასუხისმგებლობის შეგრძნება. წესების შემუშავების პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია გვახსოვდეს, რომ:

1. სასურველია, წესების რაოდენობა არ აღემატებოდეს 4 – 6-ს. ამაზე მეტი უკვე ძნელად დასამახსოვრებელია მოსწავლეებისათვის და ძნელად გასატარებელი მასწავლებლისათვის;

2. წესები უნდა ჩამოყალიბდეს პოზიტიური ფორმით, ანუ მოვერიდოთ სიტყვებს ”ნუ”, ”არ”, ”აკრძალულია”. ასევე სასურველია, წესი მასწავლებელზეც ვრცელდებოდეს. მაგალითად, ნაცვლად წესისა ”ნუ იჩხუბებთ”, ფორმულირება ასეთი უნდა იყოს: ”კონფლიქტები მშვიდობიანად მოვაგვაროთ”;

3. წესები ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს ფორმულირებული. მაგალითად, ფრაზები, როგორიცაა ”კარგი საქციელი”, ”უწესრიგო”, ”ხშირი დარღვევა” შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს, რადგან, შესაძლოა, მოსწავლეებმა მათ სხვადასხვა ინტერპრეტაცია მისცენ. თუმცა, შესაძლებელია, კონკრეტულ წესებს დავამატოთ ერთი საკმაოდ ზოგადიც, რომელიც მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რომლებიც დანარჩენი წესების მიღმა დარჩა. მაგალითად, ”პატივი ვცეთ როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებს”;

4. როგორიც არ უნდა იყოს წესი, კონკრეტული თუ ზოგადი, მას აუცილებლად სჭირდება განმარტება და სერიოზული განხილვა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მისი გათავისება. მათ აუცილებლად ზუსტად უნდა ესმოდეთ, რას გულისხმობს ეს წესი და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის დარღვევას;

5. მოსწავლეები არ დაემორჩილებიან წესს, თუ მას უმნიშვნელოდ მიიჩნევენ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს წესი არსებობს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასწავლებელმა ასე მოისურვა, არამედ უნდა დავუსაბუთოთ მოსწავლეებს, რომ კლასში ქცევის წესები ემსახურება მათივე მიზნების მიღწევას. ეს მიზნები კი შეიძლება იყოს როგორც სასწავლო (მაგალითად, მასალის ან კონკრეტული უნარ-ჩვევის დაუფლება), ასევე სოციალური ხასიათისა (მაგალითად, თანაკლასელთა პატივისცემა);

6. წესები უნდა გამოვაკრათ თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეებს ეს ჩამონათვალი მუდამ თვალწინ ჰქონდეთ და საჭიროების შემთხვევაში, ხელის უბრალო მოძრაობით შეგვეძლოს მათზე მინიშნება.

ქცევის წესების დარღვევა და დისციპლინის პრობლემები ნაკლებად მოსალოდ-ნელია კლასში, სადაც საქმიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ატმოსფეროა შექმნილი. ამგვარი გარემოს შექმნისათვის კი უნდა გვახსოვდეს, რომ:

- მოსწავლე მეტი ხალისით ემორჩილება მასწავლებელს, რომელიც უყვარს და რომელსაც პატივს სცემს;
- მოსწავლეს არ სცალია წესების დასარღვევად, როცა იგი საქმითაა დაკავებული. ამიტომ დეტალურად დავგეგმოთ გაკვეთილი და შევეცადოთ, მთელი დრო საინტერესო, მნიშვნელოვანი დავალებებით შევავსოთ;
- მოსწავლის ქცევაზე დადებითად აისახება, როცა მან იცის, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ მის მშობლებთან და ოჯახის წევრებთან;
- მასწავლებლის მაგალითს ხშირად მეტი ძალა აქვს, ვიდრე ათეულობით წესს და მკაცრ მოთხოვნას. წესს, რომელსაც მასწავლებელი თავად ემორჩილება, სამართლიანად და აუცილებლად მიიჩნევენ მოსწავლეებიც.

რეკომენდაციები:

- გაკვეთილის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მისი სტრუქტურის დადგენა, რაც ყოველდღიური ქცევის წესების შემუშავებას და მათ თანმიმდევრულ გატარებას გულისხმობს;
- ქცევის წესები უნდა იყოს ადვილად გასაგები და დასამახსოვრებელი, პოზიტიური ფორმით, ნათლად და კონკრეტულად ჩამოყალიბებული;
- პროცედურა განსაზღვრავს ქცევის წესის განხორციელების კონკრეტულ გზებს;
- ქცევის წესებსა და პროცედურებზე მუშაობას მასწავლებელმა დიდი დრო უნდა დაუთმოს, განსაკუთრებით, სწავლის დაწყებიდან 2-3 კვირის განმავლობაში;
- წესების დაცვის გამო მოსწავლის წახალისება გაცილებით უფრო ეფექტური სტრატეგიაა დისციპლინის დაცვისათვის, ვიდრე წესის დარღვევის გამო მისი დასჯა. ამდენად, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ როგორი ზომები მიიღოს წესის დარღვევის შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა გზით შეიძლება დარღვევების თავიდან აცილება, როგორ შესძლოს საკუთარი თავის მართვა.

თვითმართვა არის ადამიანის უნარი, გააცნობიეროს და მართოს საკუთარი ქცევა. აქ იგულისხმება მოსწავლის უნარი, თავად დაისახოს მიზანი (მაგალითად, რომელიმე კონკრეტული ქცევის შეცვლა), ხოლო შემდეგ დაგეგმოს და განახორციელოს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. იმის გადასაწყვეტად, რომელი ქცევა უნდა შევცვალოთ და რომელი შევინარჩუნოთ, აუცილებელია ზუსტად ვაფასებდეთ ჩვენს ქმედებებს. მოსწავლეებს საკმაოდ უჭირთ საკუთარი ქცევის ობიექტურად შეფასება. ქცევის თვითმართვის სხვადასხვა ასპექტს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის უნარები და სტრატეგიები, რომლებსაც მოსწავლე იყენებს საკუთარ ქცევაზე დაკვირვებისა და საჭირო ცვლილებების განხორციელებისათვის. ამ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის მოსწავლემ და მასწავლებელმა ერთად უნდა იმუშაონ. ეს არის საკმაოდ რთული პროცესი, რომელიც რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

- მიზნის(სამიზნე ქცევის) განსაზღვრა;
- თვითდაკვირვების მეთოდის შემუშავება;

- წახალისების ფორმების შერჩევა;
- თვითდაკვირვების სისტემის გამოყენება;
- თვითგანმტკიცება.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

- ქცევის თვითმართვა არის მოსწავლის უნარი, შეაფასოს საკუთარი ქცევა, განსაზღვროს მიზანი ქცევის შეცვლის თუ შენარჩუნების თვალსაზრისით, დაგეგმოს და განახორციელოს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები;
- თვითმართვის უნარის ჩამოყალიბებისათვის მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს სამიზნე ქცევის განსაზღვრასა და თვითდაკვირვების მეთოდის შემუშავებაში;
- თვითმართვის მნიშვნელოვანი კომპონენტია განმტკიცება, ხოლო განმტკიცების ფორმების შერჩევა დამოკიდებულია მოსწავლის ასაკობრივ მახასიათებელსა და მისი განვითარების საფეხურზე;
- თვითმართვის უნარის ჩამოყალიბების პროცესში მასწავლებელმა დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლეს თვითდაკვირვების სისტემის სწორად გამოყენებასა და რეალურ თვითშეფასებაში.

შეცვლილ გარემოში უნდა იყოს ჯანსაღი სოციალური გარემო. აუცილებელია, რომ ბავშვს მიეცეს ენერგიის სხვადასხვა ფორმით გამოხატვის შესაძლებლობა და ამ სახით გაიხსნას მისი შესაძლებლობების გამომჟღავნების გზა და შექმნას მისი სულიერების თვითმართვის პირობები.

ამ მიმართებით საკლასო, სასკოლო გარემოსთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახის საგნობრივ წესს, ექსკურსიებს, მოკლევადიან (რამდენიმედღიან) დასვენებას თანატოლებთან და მასწავლებლებთან ერთად. ამ საქმეში სკოლის დამხმარედ შეიძლება დადგეს სხვადასხვა ალტერნატიული, საზოგადოებრივი (არასამთავრობო) ორგანიზაციები.

,,თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლა არა მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცეა, არამედ ბავშვის/მოზარდის სოციალიზაციის გარემოც არის, სადაც ის ურთიერთობებს სწავლობს, საკუთარ სოციალურ როლებს იაზრებს და

პასუხისმგებლობას აცნობიერებს, სადაც ბავშვს მორალური ფასეულობები უყალიბდება და ა.შ. დავინახავთ იმის აუცილებლობას, რომ სკოლა მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს ბავშვის ოჯახთან, ასევე, ბავშვზე ორიენტირებულ სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებთან'' (ცირამუა 2011:67).

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან საქმიანობისათვის, შესაძლებელია, შეიქმნას სასკოლო საგრანტო სისტემა, რაც გულისხმობს ცალკეული საქმიანობების განსახორციელებლად პროექტების შემუშავებას, დაფინანსების წყაროების მოძიებას და, პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, სწორი მენეჯმენტის პირობებში განხორციელებას.

დონორი (დაფინანსების წყარო) შესაძლოა იყოს სკოლის, მუნიციპალიტეტის, სხვა სახელმწიფო ორგანოს ბიუჯეტი ან საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდები, რომლებიც საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საინიციატივო ჯგუფებზე გასცემენ გრანტებს.

სასწავლო საგრანტო პროგრამის (განაცხადის) შედგენისას, გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები:

- ნათლად ჩამოყალიბდეს მიზანი და ამოცანები, რომლებიც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სოციალური და აღმზრდელობითი პრობლემების მოგვარებას;
- გამოიკვეთოს დაგეგმილი, მოსალოდნელი შედეგები, რომლიც შექმნის ბავშვებისათვის ჯანსაღ სოციალურ გარემოს, რაც ხელს შეუწყობს სწავლებაში მათ ჩაბმას და სწავლის ხარისხის ამაღლებას;
- ზუსტად განისაზღვროს მიზნობრივი ჯგუფი (რაოდენობა, კატეგორია);
- ზუსტად მიეთითოს ის ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა ამოცანის გადაწყვეტისა და შედეგების მიღწევისათვის;
- მიეთითოს საქმიანობები, რომლებსაც მოიცავს პროექტის შესრულებისთვის საჭირო ესა თუ ის ღონისძიება;
- ჩამოყალიბდეს დაგეგმილი საქმიანობების შესრულების განრიგი;
- განისაზღვროს პროექტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი ან პირთა ჯგუფი;

- დეტალურად აღიწეროს ბიუჯეტი (ხარჯები);
- მიეთითოს პროექტის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა (მეთოდოლოგია, ინდიკატორები, მონიტორინგისა და შეფასების ვადები და ა.შ.).

საგრანტო პროგრამა განაპირობებს საქმიანობაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, ავტორიტეტული და ცნობილი პიროვნებების ჩაბმას, თუმცა ეს თხოვნის და სურვილის შემთხვევაშიც არის შესაძლებელი.

გავესაუბრეთ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, მწერლებს, მხატვრებს, პროფესორებს, პენსიონერ მასწავლებლებს, მათ გამოთქვეს თანხმობა და გამოხატეს სურვილი – მხარში დაუდგნენ სკოლას, კლასის დამრიგებელს გზასაცდენილი, იმ ბავშვების შემობრუნებაში, რომელთა ცხოვრებაც ცუდად დაიწყო და უთუოდ უნდა შემობრუნდეს უკეთესისკენ.

სკოლასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაინტერესებულ ფიზიკურ პირებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა შეიძლება იყოს სკოლაში სემინარების, ტრენინგების, ლექციების ჩატარება, რაც 2010 წლის 12 ნოემბრიდან გარკვეულწილად შეიზღუდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს №837 ბრძანების თანახმად საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ლექციები, სემინარები, ტრენინგები, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უნდა ჩატარდეს მხოლოდ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით.

ზემოთაღნიშნული შეზღუდვა მნიშვნელოვნად ამცირებს საჯარო სკოლებში დაინტერესებული პირების მხრიდან სასიკეთო საქმის, გზასაცდენილი ბავშვების შემობრუნების, ჯანსაღი ქცევის ხელშეწყობისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას. უმჯობესია, თუკი საჯარო სკოლა მიიღებს ლექციების, სემინარების, ტრენინგების ჩატარების მიზნით თანამშრომლობის შესახებ გადაწყვეტილებას.

შეცვლილ სასკოლო გარემოში შედეგიანი პედაგოგიური საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა, რათა კლასში შექმნილი ქცევის აღზრდის სისტემამ მოახდინოს დადებითი გავლენა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ქცევის ახალი მიმართულებით წარმართვაზე და არა

პირიქით. ამ მიმართებით სასურველია ქცევის მართვის სწორი სტილის არჩევა, კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავალებელთა მიერ სპეციალური გეგმის შემუშავება, რომელიც აისახება სკოლის სამოქმედო გეგმაში. სასურველია სასკოლო გრანტების ამოქმედება, საქმიანობაში ავტორიტეტული, ცნობილი პირების ჩაბმა.

თავი მესამე

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის პრაქტიკული ასპექტი

§ 1. სკოლაში რეინტეგრაცია

პრაქტიკული საქმიანობის წარმატებული შედეგის მიღწევისათვის აუცილებელია იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც: ა) ხელს უწყობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის დადებითი შედეგების მიღწევას; ბ) აბრკოლებენ დადებითი შედეგების მიღწევას. ამასთან, გასარკვევია, რა უნდა შეიცვალოს სკოლის საქმიანობაში სასურველი შედეგის მიღწევისათვის. საფიქრალია ისიც, ზედმეტ პრობლემას ხომ არ ვუქმნით სკოლას.

წინა პარაგრაფში განვიხილეთ შეცვლილ გარემოში ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები. ამჯერად გასაანალიზებელია პედაგოგიური გარემო, რომელიც არის ის პირველადი სოციალური გარემო, სადაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი ამყარებს ურთიერთობებს თანატოლებთან, პედაგოგებთან და უნდა გარდაიქმნას უკეთესობისაკენ. დადებითი პედაგოგიური გარემო ხელს უწყობს დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ზრდის წარმატებული შედეგისაკენ სწრაფვის მოტივაციას, ქმნის პირობებს, რომ ბავშვმა თავი იგრძნოს უსაფრთხოდ, დაცულად, განიცადოს საკუთარი მიღწევებით სიხარული და ნათლად წარმოისახოს მომავალი.

დადებითი პედაგოგიური გარემოს ძირითადი მახასიათებლებია:

- **ფსიქოლოგიური უსაფრთხოება**: მზრუნველი, გულწრფელი, ნდობით აღსავსე, მოსწავლის პიროვნულ ღირსებებს პატივს სცემენ, ეხმარებიან სიძნელის, მძიმე მდგომარეობის გადალახვაში;
- **ფიზიკური უსაფრთხოება:** მოსწავლის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ფიზიკური ძალადობისაგან დაცულობა, ფიზიკური განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- **ინტერაქტიური უსაფრთხოება:** უახლესი მეთოდებით, სტრატეგიებით სწავლა/სწავლება, თანამშრომლობა, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, სწავლის წახალისება.

მოწესრიგებული სასწავლო გარემო ერთ-ერთი ძირითადი პირობაა იმ მისიის შესასრულებლად, რაც სკოლას აკისრია.

დამაბრკოლებელი ნეგატიური პედაგოგიური გარემოს მახასიათებლებია:

- მოუწესრიგებელი მატერიალური ბაზა;
- მართვის ერთპიროვნული ცენტრალიზებული სტილი;
- არ არსებობს მიზანმიმართული საქმიანობის ნორმები, ან არსებობს, მაგრამ გადატვირთულია უამრავი წესითა და ნორმებით, რომლებიც ხელს უშლის შემოქმედებით საქმიანობას;
- ნებისმიერი დარღვევისათვის ხშირად უსამართლო სიმკაცრით კიცხავენ მოსწავლეებს და იყენებენ დასჯის მკაცრ ზომებს;
- ნაკლებია თანამშრომლობა;
- ხშირია დაპირისპირება ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და მოსწავლეებს შორის;
- ხშირია კონფლიქტი მოსწავლეებს შორის, რაც საფრთხეს უქმნის სხვა ბავშვების სიმშვიდეს;
- ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვთა უფლებების დაცვას.

პედაგოგიური გარემოს შექმნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკლასო ოთახის ფიზიკურ გარემოს. წიგნში ,,სასწავლო და პროფესიული გარემო" (2008) აღწერილია საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს მოწყობა შემდეგი დაგეგმვით: შემოსასვლელი ზონა, საკიდები, გაკვეთილების ცხრილი, კედლის გაზეთი (ამ ზონაში მოსწავლე ერთი გარემოდან გადაერთვება მეორეში), საგამოფენო ზონა (ატარებს ესთეთიკური აღზრდის დატვირთვას და ემსახურება სასწავლო მასალის ვიზუალურ განმტკიცებას. გამოფენა ხშირად უნდა შეიცვალოს), ბიბლიოთეკის ზონა (ხელს უწყობს მოსწავლეს დამოუკიდებლად შეძლოს სასურველი მასალის მოძიება), სათავსო ზონა (გამოყენებული მასალის მოწესრიგებულად შენახვა ხელს უწყობს თვითმომსახურების უნარის განვითარებას), სამუშაო ზონა (გათვალისწინებულია ინდივიდუალური და მცირე ჯგუფებში მუშაობისათვის), ტექნოლოგიური ზონა (კომპიუტერული, აუდიო/ვიდეო ტექნიკა

და სხვა), საკლასო ოთახის მოცულობა და ავეჯი (ავეჯი უნდა იყოს მსუბუქი და მოსწავლის ზომის შესაფერისი).

ფიზიკური გარემო დიდ გავლენას ახდენს აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებზე. მოუწესრიგებელი, შეუფერებელი, კეთილმოუწყობელი საკლასო გარემო ქმნის უხერხულობის, უსიამოვნების განცდას, ბავშვები თავს ვიწროდ გრძნობენ, არა აქვთ თავისუფალი მოძრაობის საშუალება. ასეთ საკლასო გარემოში დისციპლინის დარღვევაც ადვილია და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასაც ხელი ეშლება. შესვენების პერიოდში ბავშვებს ერთმანეთთან კონტაქტიც უძნელდებათ.

პრაქტიკოსი პედაგოგები (ნ. ნიჟარაძე, ნ. ბერიძე და სხვები) თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ საკლასო ოთახში არსებული ავეჯის გადაადგილება კარგ განწყობას ქმნის. ეს ბავშვებსაც მოსწონთ. ასევე მისაღებია მაგიდასთან (მერხთან) ადგილის მონაცვლეობა. ამით შესაძლებელია კლასის ყველა მოსწავლესთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის გაბმა. ეს კი ძალიან სასარგებლოა ბავშვების ერთმანეთის მიმართ კეთილი გავლენის გამოყენებისათვის. შეცვლილ გარემოში მისული ბავშვი ამგვარი მიდგომით უფრო ადვილად იპოვის საერთოს თანაკლასელებთან, თანაც თავიდან არის აცილებული პოზიცია: ,,თუ მაგას ვერ შეეწყვე, სხვაგან გადაგსვამ", რასაც არც თუ იშვიათად მოსწავლე შეურაცხყოფად აღიქვამს და მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კონფლიქტის საბაბიც ხდება. პრაქტიკულად, მერხების მონაცვლეობის საკითხი ძალიან ადვილად მოსაგვარებელია იქ, სადაც ყველა მაგიდა ერთადგილიანია.

ჩავატარეთ კვლევა.

კვლევის მიზანი: რაში ხედავენ ბავშვები სასწავლო გარემოს შექმნაში თავიანთ როლს და ადგილს.

კვლევა განხორციელდა 10 სკოლაში, მათ შორის, 5 სოფლის და 5 ქალაქის სკოლაში. მონაწილობდა VI-XII კლასის 42 მოსწავლე, მათ შორის, 21 კანონთან კონფლიქტში მყოფი.

კვლევის ჩატარების თარიღი: 2009 წლის მაისი.

კვლევის მეთოდი: ინტერვიუ.

კვლევის პროცედურა: კვლევაში ჩაერთო ათი ფოკუსჯგუფი. თითოეულ ჯგუფში შედიოდა 2 პირი (1 სტუდენტი, 1 მოსწავლე). მათ ერთდროულად აიღეს ინტერვიუ. ანონიმურობა დაცული იყო. ინტერვიუ დიქტოფონზე სიტყვა-სიტყვით ჩავიწერეთ. მონაცემები დამუშავდა სპეციალური პროგრამით.

კვლევის შედეგები აისახა ცხრილში.

#	სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში რაში ხედავთ თქვენს როლს და ადგილს	მოსწავლეები		კანონთან კონფლიქტში მყოფი მოსწავლეები	
		დიახ	არა	დიახ	არა
1	მოსწავლეებს შორის ურთიერთობების მოწესრიგებაში	58%	42%	55%	45%
2	მასწავლებლებთან თანამშრომლობაში	60%	40%	67%	33%
3	თვალსაჩინო მასალების შექმნაში მონაწილეობით	40%	60%	38%	62%
4	გამოფენების მოწყობაში	70%	30%	75%	25%
5	კლასის წესების შემუშავებასა და დაცვაში	60%	40%	55%	45%
6	სხვადასხვა შეჯიბრების მოწყობაში	55%	45%	40%	60%
7	სწავლის მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებაში	72%	28%	63%	37%
8	სიძნელეების დაძლევაში, სხვისთვის დახმარებაში	49%	51%	52%	48%
9	შენი და სხვისი უფლებების დაცვაში	60%	40%	58%	42%
10	სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში	65%	35%	68%	22%

ცხრილის მიხედვით, შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები სასწავლო გარემოს შექმნაში თავის როლს და ადგილს უმეტესად ხედავენ გამოფენის მოწყობაში, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მასწავლებელთან თანამშრომლობაში.

მოულოდნელი აღმოჩნდა გამოფენის მოწყობისათვის უპირატესობის მინიჭება, მით უმეტეს, რომ საქმიანობის ეს ფორმა არც ისე ხშირია სასკოლო, განსაკუთრებით, საკლასო ცხოვრებაში.

გამოფენის ძირითადი მიზნებია: საინტერესო და მიმზიდველი გარემოს შექმნა, იდეებისა და ინფორმაციების მკაფიოდ ჩამოყალიბება, კითხვების დასმის სურვილისა და ინტერესების გაზრდა, ჩატარებული სამუშაოს მიმართ პატივისცემის გამოხატვა, ინტერესების დაკმაყოფილება, სტიმული.

გამოფენის საგანი შეიძლება იყოს სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ნივთები, ნახატები, ნაქარგები, კარგი კალიგრაფიით შესრულებული ხელნაწერები, ღია ბარათები...

მოსწავლეებისათვის საინტერესოა გამოფენის მოწყობის პროცესი: კლასის მოწყობა, გალამაზება, სტუმრების მიწვევა.

კვლევის შედეგები შევამოწმეთ პრაქტიკაში, მე-8 კლასში, სადაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ორი ბავშვი სწავლობდა. სკოლის სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს ვთხოვეთ მოსწავლეებთან ერთად დაეგეგმათ სხვადასხვა სახის გამოფენების მოწყობა:

ა) ნახატების გამოფენა თემაზე: ,,ადგილი, სადაც შენ მომაგონდები'';

ბ) ღია ბარათების - ადრესატი ,,ადამიანი, რომელიც მეიმედება'';

გ) სხვადასხვა ფიგურათა თემაზე - ,,გირჩების საოცრებანი'';

დ) კალიგრაფიის - ,,ღია წერილი მასწავლებელს'';

ე) სასწავლო მასალასთან დაკავშირებული თვალსაჩინოებების - ,,ეს ჩემი ქვეყანაა'' (მაკეტები, მოდელები, ნახატები).

გამოფენების ჩატარების შემდეგ გავესაუბრეთ ბავშვებს და შევეკითხეთ, ,,რა შესძინა მათ გამოფენებში მონაწილეობამ''.

მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ გამოფენის მზადების პროცესში დამეგობრდნენ ახალ მოსწავლეებთან, ერთად ემზადებოდნენ, ერთად ქმნიდნენ და მოწონებაც ერთად დაიმსახურეს.

ერთი შეხედვით, ეს მარტივი, უბრალო და ადვილად განსახორციელებელი საქმიანობა ეფექტური გზა აღმოჩნდა დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან შედეგიანი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კლასის შემადგენლობა. ვ. ზენკოვსკის (1996) მიხედვით, სკოლა და კლასი ძირითადად წარმოადგენს სოციალურ ორგანიზმს. მისთვის დამახასიათებელია: სოციალური აქტიურობა, სოციალური პასიურობა, ფსევდოსოციალური აქტიურობა, ანტისოციალური აქტიურობა.

სოციალური აქტიურობა მჟღავნდება მოსწავლის სხვისდამი აქტიურ დახმარებაში. ყოველთვის, არის თუ არა საჭირო, ზოგჯერ მათთვის მთავარია არა სწავლა, არამედ მასწავლებლის გემოვნების მიხედვით მოქმედება, მასთან დაახლოება.

ბავშვები ზოგადად თაყვანს სცემენ თავისი გარემოდან სხვადასხვა საკითხის მცოდნეს, მაგრამ დაფარული თუ დაუფარავი ბრძოლის ელემენტი ქმნის ძნელ და მძიმე პრობლემას. წესრიგისადმი გადამეტებული სიყვარული და მუდამ წესრიგი-საკენ მოწოდება შეიძლება გარშემომყოფთათვის გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს.

კლასში უმრავლესობის საყვარელი პოზიციაა სოციალური პასიურობა. ვ. ზენკოვ-სკი მათ უწოდებს ,,ნედლ შეშას", რომელსაც შეუძლია დაიწვას, მაგრამ საჭიროა მისი ანთება, თუნდაც ძალის გამოყენებით. ზოგჯერ კლასში აქტიურის სტილი იწვევს პასიურობას. მაგალითად, ბავშვები, რომელთაც შეუძლიათ ვითარების შესაბამისად ან კითხვაზე პასუხი მოიფიქრონ, იმეორებენ სხვისას მხოლოდ იმიტომ, რომ იმათ უფრო ადრე გასცეს პასუხი.

ფსევდოსოციალური აქტიურობაა, როცა ბავშვი თითქოს სხვაზე ზრუნვით ან მეცადინეობით არის დაკავებული, სინამდვილეში კი ფარულად თავისი მიზნის მიღწევა აქვს განზრახული.

ანტისოციალური აქტიურობის გამოხატულებაა არსებული წესრიგით უკმაყოფილება, მოცემული ყოფის რღვევა ზოგჯერ ატარებს პროგრესულ ხასიათს. იგი უკეთესს მოასწავებს, ზოგჯერ ვლინდება გაუაზრებელი ნგრევის მცდელობაში. ისინი ცდილობენ ყველაფერში ჩაერიონ და ყველაფერი აურიონ.

კლასი არის სოციალური ორგანიზმი და მასში არის სოციალური პოზიცია, რომ-ლის მიხედვითაც იყოფიან ბავშვები, მაგრამ კლასს აქვს მეორე, თავისი ერთიანი სახე.

გასათვალისწინებელია, რომ თითოეული მოსწავლე ისეთია, როგორიც არის მისი აქტიურობა გარემოში არსებულ სოციალურ სიტუაციაში.

კლასის სოციალური ორგანულობა და ინდივიდუალურობა ყურადღებით მისაღები და გამოსაყენებელია.

კლასის დამრიგებელთა და საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი გამოყოფენ და აფასებენ კიდეც ბავშვების აქტიურობას და პასიურობას, მაგრამ ამ პრობლემისათვის სოციალური კუთხით არ შეუხედავთ. ერთთვიანი დაკვირვების შემდეგ, მათ ჰქონდათ სურათი კლასში ოთხივე პოზიციის არსებობისა. საინტერესოა ერთი დეტალი - კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები 30 კლასიდან მხოლოდ სამში იყო მიკუთვნებული ანტისოციალური აქტიურობის პოზიციას. 16 შემთხვევაში ისინი პასიურ აქტიურობას განეკუთვნებოდნენ, 9 შემთხვევაში – ფსევდოსოციალურ აქტიურობას, 2 შემთხვევაში – სოციალურ აქტიურობას.

ეს დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ ,,გამოუსწორებელი" ბავშვი არ არსებობს. მას სჭირდება დახმარება იმ მხრიდან, საიდანაც უჭირს. მთავარია, სწორად განისაზღვროს, რა უჭირს და როგორი დახმარება სჭირდება.

(აქვე აღვნიშნავთ, რომ დაკვირვების მონაწილეთა შერჩევა რაიმე განსაკუთრებული ნიშნით არ მომხდარა. ეს იმ ჯგუფის ნაწილია, ვისთანაც კვლევის პერიოდში სემინარებს ვატარებდით).

ბავშვის ყოველმხრივი შესწავლისათვის ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა ბავშვის შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა. მონაცემთა ჩამონათვალი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სკოლის, ადგილმდებარეობის, კონტინგენტის შემადგენლობის მიხედვით.

გთავაზობთ გამოცდილებით შემოწმებულ ერთ-ერთ ვარიანტს:

- ასაკობრივი განვითარება და პიროვნული დახასიათება;
- ჯანმრთელობა;
- განათლება;
- სოციალური კონტაქტები;
- თავისუფალი დრო და დასვენება;
- შეფასება მშობლებისაგან;

- შეფასება მეზობლებისაგან;
- შეფასება მეგობრებისაგან;
- ბავშვის შეხედულება მომავალზე.

განვიხილოთ ნიმუში (ნიმუში შემუშავებულია რეალურ მაგალითზე. ამიტომაც, კონფიდენციალურობის დაცვის გამო, შეცვლილია ბავშვის სახელი, გვარი და ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა):

ინფორმაცია ბავშვის შესახებ:

ლევანი, დაბადებული 1992 წ. 7 დეკემბერი.

მისამართი: ბათუმი, თამარ მეფის დასახლება.

ეროვნება - ქართველი

კლასი - IX

ინფორმაცია ოჯახის შესახებ:

ოჯახის წევრები	დაბადების თარიღი	მისამართი	საქმიანობა	ოჯახის შემოსავალი
მამა-ნიკოლოზი	28.03.1952 წ	ბათუმი, თამარ მეფის დასახლება	უმუშევარი	დედა მკერავია და აქვთ მცირედი შემოსავალი
დედა-ლიუბოვ	01.11.1973 წ		დიასახლისი	
და-ელვირა	27.07.1995		X კლ. მოსწ.	
და-ირინა	03.05.2002		III კლ. მოსწ.	

ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა - სოციალურად დაუცველი.

ასაკობრივი განვითარება და პიროვნული დახასიათება:

ლევანი ფიზიკურად და გონებრივად, ასაკის შესაბამისად, არის განვითარებული. მეტყველებს კარგად. არის მოწესრიგებული და ზრდილობიანი.

მძიმე სოციალური მდგომარეობის და ოჯახური პირობების გამო, სწავლობს საშუალოდ, თუმცა შეუძლია იყოს კარგი მოსწავლე. შექებას დადებითი ზეგავლენა აქვს. განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე, ხშირად ეუფლება უიმედობა, თუმცა ურთიერთობაში ნდობის მოპოვების შემთხვევაში, ნებისმიერ დავალებას კარგად ასრულებს. დიდი სურვილი აქვს უკეთესობისკენ შეცვალოს თავისი მომავალი.

ჯანმრთელობა: სამედიცინო შემოწმების შედეგად – ჯანმრთელი.

თავისუფალი დრო: კითხულობს, აგროვებს ჯართს, ერთობა მეგობრებთან.

შეფასება მშობლებისგან - თბილი, ყურადღებიანი, არ უყვარს მბრძანებლობა, ვერ ეგუება უსამართლობას, გააჩნია სინანულის გრძნობა.

შეფასება მეზობლებისგან - კეთილი, ზრდილობიანი, შრომისმოყვარე.

შეფასება მეგობრებისგან - კეთილი, შემლებისდაგვარად ცდილობს დაეხმაროს ყველას, მეგობრის გამო შეუძლია თავი განსაცდელში ჩაიგდოს.

შეხედულება მომავალზე - სურს გახდეს მეზღვაური, რათა ნორმალურად მოიწყოს ცხოვრების პირობები და დაეხმაროს ოჯახს.

დანაშაული - ყველის
ქურდობა



არასამთავრობო ორგანიზაცია ,,დემოკრატიის ინსტიტუტის'' პრაქტიკიდან აღებული, რეალურ მაგალითზე შექმნილი ნიმუში, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის დროს. ნიმუშში აღწერილი ინფორმაცია (მონაცემთა ბანკი, სოციალური მუშაკის მიერ ჩატარებული სამუშაო) ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ იქნა სასურველი შედეგი მიღწეული კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის რეაბილიტაციის კუთხით სწორად დაგეგმილი და შესრულებული სამუშაოების შედეგად. წარმოდგენილი ნიმუში, სხვა შემთხვევებში, სახეშეცვლილი ფორმითაც გვხვდება, რაც განპირობებულია ცალკეულ ბავშვებთან მიმდინარე ან დაგეგმილი სამუშაოების სპეციფიკური საჭიროებებით და მოთხოვნილებებით.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია სკოლის ფსიქოლოგის დახმარება. მას შეუძლია დაეხმაროს ბავშვს ფსიქიკური თვითრეგულირების ჩვევების განვითარებაში, თავისი თავის შეცნობაში, საკუთარი ქმედების ორგანიზებაში, შექმნილი დაბრკოლებების დაძლევაში.

,,სკოლის ფსიქოლოგი არის უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლების მქონე პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს, მოზარდებს და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის სხვა თანამშრომლებს (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პედაგოგი, მანდატური) სასკოლო სივრცეში წამოჭრილი ისეთი ტიპის პრობლემების შემცირებაში, რომლებიც უკავშირდება ბავშვის/მოზარდის შემეცნებით, პიროვნულ, ემოციურ, ქცევით პრობლემებსა და საჭიროებებს'' (ცირამუა 2011:69).

ბავშვისადმი ფსიქოპედაგოგიური კუთხით დამხმარება სასურველია შემდეგი თანმიმდევრობით:

- პრობლემის გამოვლენა;
- მონაცემთა შეგროვება;
- მოპოვებული ინფორმაციის სიღრმისეული შეფასება;
- მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა და განხორციელება;
- მიღწეული შედეგების შეფასება და მისი შედარება პირველ მონაცემებთან;
- შეწყვეტა ან საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის გაგრძელება.

სკოლის ფსიქოლოგის საქმიანობის სასურველი შედეგის მიღწევაში უკეთესი შედეგი იქნება მიღწეული, როცა ბავშვები გაერთიანდებიან პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ჯგუფებში გარკვეული მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად:

ა) ბავშვები, რომლებიც განიცდიან სტრესის გავლენას;

ბ) აგრესიამოჭარბებული ბავშვები;

გ) ბავშვები, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა (ნებისმიერი ფორმით);

დ) ბავშვები, რომელთაც უჭირთ თანაკლასელებთან შეგუება;

ე) ბავშვები, რომელთაც კონფლიქტი აქვთ მშობლებთან;

ვ) ბავშვები, რომელთაც კონფლიქტი აქვთ მასწავლებლებთან;

ზ) ბავშვები, რომელთაც აწუხებთ შფოთი და აქვთ შიშები.

გასათვალისწინებელია პირადი გამოცდილებით შემოწმებული შემდეგი რეკომენდაცია: პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს არა მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები, არამედ სხვებიც, რომლებიც, მონაცემთა ბანკის მიხედვით, ექვემდებარებიან გარკვეულ ჯგუფს. ჯგუფში მუშაობა მიმდინარეობს ურთიერთპატივისცემის საინტერესო ფორმით, ძირითადად, სავარჯიშოების, სიტუაციათა განხილვის, მსჯელობის მეშვეობით. ჯგუფში ბავშვი ხალისით უნდა მიდიოდეს.

სკოლის ფსიქოლოგთან ერთად, მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია სკოლის ექიმსა და ექთანს. რამდენადაც სკოლებში, ძირითადად, ექთანი მუშაობს, მოვიხმობთ ევროპაში საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობისათვის პროექტ ,,თუნინგის" (2005:367) მიერ განსაზღვრულ ექთნის კომპეტენციებს:

შეუძლია კომუნიკაციის ტექნიკის გამოყენება პაციენტის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, შეუძლია შესაბამისი:

- კონსულტირება;
- პრობლემური ქცევის განსაზღვრა და მართვა;
- შფოთვის, სტრესისა და დეპრესიის ამოცნობა;
- ემოციური მხარდაჭერის ამოცნობა და კონსულტაციისა და სხვა სახის ჩართვის საჭიროების ამოცნობა;

- ხელს უწყობს პაციენტს და მის მომვლელს (ჩვენ შემთხვევაში, კლასის დამრიგებელს) გამოხატონ საკუთარი აზრები, შიშები; შეუძლია ადეკვატურად გასცეს პასუხი ემოციური, სოციალური, ფსიქოლოგიური, სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;

აღნიშნულის თაობაზე დიალოგი გავმართეთ სკოლის 35 ექთანთან. მათ თავდაპირველად გაიღიმეს და ,,ეს ჩვენი საქმე არ არის" - პოზიცია დაიჭირეს. დიალოგის მსვლელობაში, კვალიფიციური მსჯელობის შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციების მიღწევა აუცილებელია, საკუთარი შესაძლებლობების იმედი აქვთ, ოღონდ სჭირდებათ სპეციალური გადამზადება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის სოციალური მუშაკის როლი. სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემებში ფართოდ არის გავრცელებული ბავშთა სოციალური დაცვის საკითხების კოორდინატორი სკოლის სოციალური მუშაკის სახით. მისი მეშვეობით ხდება საკითხების შესწავლა, განხილვა, ღონისძიებათა გატარება, სოციალურად დაუცველი ბავშვებისადმის თანადგომა, ალტერნატიულ ორგანიზაციებთან კავშირი და ა.შ.

მნიშვნელოვანია რელიგიური ფაქტორის გამოყენება. ყველა რელიგია პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ჩვენ შევჩერდებით ქრისტიანულ რელიგიაზე, რამეთუ ქართველი ერის ფესვები ქრისტიანობაშია, მასზეა დაფუძნებული ქართული კულტურა, ქართული ყოფა, ქართული ზნეობა. სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში ეკლესიის ჩაბმის კეთილისმყოფელი გავლენის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა.

,,არასრულწლოვან დამნაშავეებთან მუშაობის გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში მათ დაკარგული აქვთ ან ეკარგებათ საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. ამბობენ კიდეც, რომ მათგან ახლა არაფერი გამოვა, რომ ისინი უკვე ხელიდან წასულები არიან და ა.შ. საჭიროა აღმზრდელობითი მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ დავუბრუნოთ მათ ეს რწმენა, რომლის დაკარგვაშიც, ალბათ, თავის დროზე არანაკლები როლი შეასრულა მასწავლებელთა უტაქტობამ, მოსწავლის პიროვნების სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის ხანგრძლივმა

პრაქტიკამ, მშობელთა პედაგოგიურმა მოუმზადებლობამ და ბავშვისგან დამოუკიდებელმა სხვა ფაქტორებმა'' (ბარამიძე 1999:97). პროფესორ ნოდარ ბარამიძის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება დღესაც აქტუალურია. შესაბამისად, სასურველია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის დროს მისი გათვალისწინება.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიურ-პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას, მნიშვნელოვანია სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში მოსწავლეები თავის როლს და ადგილს მნიშვნელოვნად თვლიან, რადგან იგი ეხმარება ურთიერთობების მოწესრიგებაში, მაგალითად:

გადაწყვეტილების მიღების უნარი - სხვადასხვა ვარიანტებიდან სიტუაციისა და მიზნის შესაფერისი, ეფექტური, მისაღები არჩევანის გაკეთება.

პრობლემებთან გამკლავება - პრობლემის დანახვის, მის მიმართ შიშის დაძლევის, გადაჭრის, ალტერნატიული გზებიდან ყველაზე სასარგებლოს პოვნა.

კრიტიკული აზროვნება - უნარი, რომელსაც შეაქვს წვლილი როგორც გადაწყვეტილების მიღებაში, ისე პრობლემების გადაჭრისა და ახალი იდეების წარმოქმნაში, საგნებისა და მოვლენების სხვადასხვა მხრიდან დანახვა, მათზე მსჯელობა.

კომუნიკაცია და თანამშრომლობა - უნარი, რომ ვერბალურად გამოხატო საკუთარი თავი, შეხედულებები, საჭიროებები, პატივი ვცეთ განსხვავებულ აზრს და შეხედულებებს.

მოლაპარაკება და კონფლიქტის მოგვარება - უნარი, პოზიტიური გზით დავუკავშირდეთ ადამიანებს, თავიდან ავიცილოთ დაძაბულობა და შევინარჩუნოთ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებები. აუცილებლობის შემთხვევაში, შევწყვიტოთ ურთიერთობები კონსტრუქციულად.

თვითშეგნება და თვითორგანიზაცია - უნარი, შევიცნოთ საკუთარი თავი, გავერკვეთ საკუთარ პიროვნულ მახასიათებლებში, დავინახოთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, ობიექტურად შევაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები და ჩვენი ცოდნა გარემოში ავაგოთ აღნიშნული ცოდნის საფუძველზე.

ემოციების მართვა და სტრესის დაძლევა - უნარი, შევიცნოთ საკუთარი და სხვისი ემოციები, გავიაზროთ ჩვენივე ემოციების გაავლენა საკუთარ ქცევაზე და შევძლოთ ადეკვატური რეაგირება, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი გართულებები ურთიერთობებში. სტრესის დაძლევა გულისხმობს სტრესის წყაროს დანახვას და მისი ზემოქმედების შეზღუდვის მექანიზმის გამომუშავებას.

მავნე ჩვევების დაძლევა - უნარი მავნე ჩვევების დანახვისა და შეფასებისა, იმისათვის, რომ თავი შევიკავოთ იმპულსური ქცევისგან და ჩვენი მოქმედება დავუქვემდებაროთ ნებისყოფას.

თანაგანცდა-თანაგრძნობა - უნარი, წარმოიდგინო – როგორია ცხოვრება სხვა ადამიანებისათვის ისეთ სიტუაციებშიც კი, რომლებიც თქვენთვის უჩვეულოა. იგი გვეხმარება გავუგოთ და მივიღოთ ჩვენგან განსხვავებული ადამიანები, აღმოვუჩინოთ მათ მხარდაჭერა და თანადგომა. საყურადღებოა, რომ სიძნელეების დაძლევაში, სხვისთვის დახმარებაში თავის როლს და ადგილს უფრო მეტად ხედავენ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები. ეს, ერთი მხრივ, მათი თვითდაჯერებულობის გამოხატულებაა, მეორე მხრივ, მათდამი დახმარების სურვილითაცაა განპირობებული.

ადამიანურ ღირებულებათა და მარადიულ, ტრადიციულ ფასეულობათა გაგება-გათავისება - უნარი, გავიაზროთ ადამიანის როლი და დანიშნულება სამყაროში, მივიღოთ და გავითავისოთ საუკუნეების მანძილზე აღიარებული ფასეულობები და ავსახოთ ისინი ჩვენს საქმიანობაში.

ინფორმაციის მენეჯმენტი - უნარი, მოვიპოვოთ, გადავამუშაოთ, გონივრულად გამოვიყენოთ, გავცეთ ინფორმაცია, შევძლოთ ინფორმაციის სიმრავლესა და სიჭრელეში სასარგებლოს ამორჩევა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა - უნარი, საკუთარი ქცევა საზოგადოებრივ ინტერესებს დავუქვემდებაროთ, ვიყოთ სასარგებლო ჩვენი ქმედებით;

საგანგებო სიტუაციებში ადეკვატური მოქმედება - უნარი, შევინარჩუნოთ წონასწორობაა ექტრემალურ სიტუაციაში და ავირჩიოთ ამ სიტუაციის შესაბამისი ქცევის ფორმა.

დავინტერესდით სასიცოცხლო უნარების დაუფლებისა და განვითარებისათვის მიმდინარე საქმიანობით. საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ ამ მიმართებით თითქმის ყველა საგანში (IV-X კლასებში) არის გათვალისწინებული აქტივობები. სწავლება-სწავლის მეთოდებში ფიგურირებს ისეთი უნარების განვითარება, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღების უნარი (წყვილებში და ჯგუფებში მუშაობისას), კრიტიკული აზროვნების უნარი (პრეზენტაციების, შეფასების, ანალიზის წარმოდგენისას). განსაკუთრებით ეფექტური იყო ამ მიმართებით ისეთი საგნების გაკვეთილები, როგორიცაა ,,გზა უფლებებისაკენ'', ,,სამოქალაქო განათლება'', ,,ტოლერანტობა''.

კვლევის პერიოდში განხორციელებულ საქმიანობაში გამოვიყენეთ აღზრდის თეორიაში, თანამშრომლობის პედაგოგიკაში, ხალხურ პედაგოგიკაში, ქრისტიანულ პედაგოგიკაში, იურიდიულ პედაგოგიკაში, სოციალურ პედაგოგიკაში, განათლების ფილოსოფიაში განსაზღვრული აღზრდის მეთოდები.

მრავალფეროვანი მეთოდებიდან, გამოცდილებაზე დაყრდნობით, შევარჩიეთ შემდეგი მეთოდები: მოსმენა, შეგონება, ქადაგება, ალაგმვა, აკრძალვა, პრაქტიკული ვარჯიშები, ურთიერთგაგება, თანამშრომლობა და კეთილურთიერთობა, საკუთარი პოზიციის შექმნა და გამოხატვა, თავის თავზე დაკვირვება, თავის მორიდება, ტესტირება, ექსკურსიები, წიგნების განხილვა, სატელევიზიო გადაცემების შესახებ დებატები, ახსნა, განმარტება, შთაგონება, მაგალითების მოყვანა, ვარჯიში, კონსულტაციის გაწევა, სიტუაციის გარჩევა, რეკომენდაციები, რჩევები, მოთხოვნები, დასაქმება, აქტიურ ცხოვრებაში ჩართვა, გარემოს გამოცვლა, გამხნევება, გვერდში დგომა, წახალისება, კრიტიკა, დასჯა, თავმოყვარეობის შეგნება, ინტერესების გაღვივება, აზროვნების განვითარება, ნებისყოფის გაძლიერება, პირად შესაძლებლობათა დემონსტრირება.

პედაგოგიური პრევენცია გვთავაზობს მეთოდებისა და ხერხების კომპლექსურ გამოყენებას, მოცემული სიტუაციისადმი, პიროვნებისადმი, ადამიანთა ჯგუფები-სადმი მაქსიმალურ შესაბამისობას.

პოპულარობა მოიპოვა უძველესი ფსიქოთერაპიული მეთოდის – არტთერაპიის გამოყენებამ, რომელიც ფართო მნიშვნელობით, ხელოვნების სხვადასხვა დარგის

მეშვეობით (სახვითი ხელოვნება, მუსიკა, თეატრი და ა.შ.) ადამიანის ,,სულის მკურნალობას" გულისხმობს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არტთერაპევტები აქტიურად არიან ჩაბმულნი ფსიქიკური და ემოციური აშლილობის, ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების, ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ არტთერაპია უშუალოდ არის დაკავშირებული სამკურნალო და სარეაბილიტაციო პრაქტიკასთან, მისი ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდების გამოყენება მიზანშეწონილია, როგორც დანაშაულისადმი მიდრეკილთა და რისკის ჯგუფის წარმომადგენელთა ფსიქოკორექციის, ასევე ფსიქოპროფილაქტიკის პრევენციის მიზნით.

არტთერაპიის მნიშვნელობას და ეფექტურობას რეაბილიტაციის პროცესში განსაზღვრავს ის ფაქტორი, რომ არტთერაპიული მეთოდები გრძნობების არავერბალურ გამოხატვაზეა დაფუძნებული, რაც, ვერბალურ ფსიქოთერაპიასთან შედარებით, მოზარდის შინაგანი სამყაროს თავისუფალ გახსნასა და მისი ფსიქოლოგიური დაცვისა და კომფორტის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

არტთერაპიის საფუძველს შემოქმედებითი პროცესი წარმოადგენს. არტ-თერაპევტის თანდასწრებით ,,უსაფრთხო" ფსიქოლოგიურ გარემოში (კაბინეტი ან სტუდია), სახვითი მასალების (საღებავი, თიხა და ა.შ.) მეშვეობით იქმნება ვიზუალური სახეები, რომლებიც მოზარდის პოტენციალის, პიროვნული თავისებურებების, ინტერესების, შინაგანი პრობლემების და კონფლიქტების, როგორც ადრეული, ასევე აქტუალური გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი გრძნობების, მიდრეკილებების, მოთხოვნილებების, სურვილების განსახიერებას წარმოადგენს (მათ შორის, ისეთი შეგრძნებებისა, რომელთა ვერბალიზაცია საკმაოდ რთულია). მოზარდის შინაგანი სამყაროს თავისებურებების წარმოჩენის მიზნით, არტთერაპიულ პროცესში პრიორიტეტული მნიშვნელობა მოზარდის მონაცემების - ხატვის, ძერწვის განსაკუთრებული შესაძლებლობების ნაცვლად, თვითგამოხატვის ინდივიდუალურ სტილს ენიჭება, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებაა, ვიდრე პროდუქტის ესთეტიკური მხარე. მეცადინეობების დროს მიუღებელია დირექტივები, ნამუშევრებს შედარება და შეფასება, მოზარდთა კრიტიკა და დასჯა,

რაც თანაბარ უფლებებს ანიჭებს არტთერაპიული პროცესის მონაწილე თითოეულ მოზარდს, მათში უხერხულობის, სირცხვილის, წყენის გრძნობის გაჩენას გამორიცხავს და დადებითად მოქმედებს მათივე თვითშეფასებაზე, ემოციურ მდგომარეობაზე, ხელს უწყობს მოზარდთა შემოქმედებითი პოტენციის გამოვლენას და დაცვითი მექნიზმების აქტივიზირებას.

შინაგანი კონფლიქტების ვიზუალურ ფორმებში, მხატვრულ სახეებში რეალიზების პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია მთელ რიგ თერაპიულ მექანიზმებთან (რელაქსაცია, კათარზისი, თვითორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება და ა.შ.).

არტთერაპია საშუალებას აძლევს მოზარდს:

- ✓ გამოხატოს აგრესიული გრძნობები სოციალურად მისაღები ფორმით (ხატვა, ძერწვა და ა.შ. დაძაბულობისაგან განმუხტვის უსაფრთხო მეთოდებია);
- ✓ ასახოს ქვეცნობიერი კონფლიქტები და შინაგანი დაძაბულობა (ამ შეგრძნებების ვიზუალიზაცია უფრო იოლია, ვიდრე სიტყვების მეშვეობით გადმოცემა);
- ✓ განვითარების შინაგანი კონტროლის და წესრიგის გრძნობა (ხატვის, ძერწვის დროს აუცილებელია ფორმის, ფერის ორგანიზება), ყურადღების კონცენტრაციის, თვითგამორკვევის უნარი;
- ✓ დააკვირდეს საკუთარ გრძნობებსა და დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ;
- ✓ გააძლიეროს საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნება;
- ✓ გადაჭრას ,,შინაგანი კონფლიქტები", პრობლემები სახვითი საშუალებების მეშვეობით იოლად და ესთეტიკურად;
- ✓ სიამოვნება მიანიჭოს საკუთარ თავსაც და სხვებსაც.

არტთერაპიის დროს, საკუთარი თავისა და გარემოსადმი მოზარდთა დამოკიდებულების კორექციის აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს ნამუშევრების შექმნა თემაზე: ,,ავტოპორტრეტი", ,,ჩემი მიზნები", ,,ჩემი მეგობრები". ავტოპორტრეტზე მუშაობის პროცესში მოზარდები აცნობიერებენ პირად დამოკიდებულებას საკუთარი გარეგნობის, თავისებურებების მიმართ (მეთოდები

ხშირად სიტყვებით რთულად ასახსნელ ემოციურ ასპექტებს ასახავს). კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით, მოზარდები ერთობლივ ნამუშევრებს ქმნიან (ჯგუფის ნახატი, ფრესკა).

განსაკუთრებით შედეგიანია წარმოდგენების გამართვის არტთერაპია. პატარ-პატარა სცენებში, სპექტაკლის ფრაგმენტებში მონაწილეობა კულტურასთან მიახლოებით და სულიერი ამაღლებით ხასიათდება. ამის მშვენიერი მაგალითია გოგა პიპინაშვილის რეჟისორობით დიაბეტით დაავადებული ბავშვების მიერ დადგმული სპექტაკლები, რომლებმაც მთელი საქართველო ააცრემლა და აღაფრთოვანა, რაც მთავარია, თვითონ ბავშვები გააბედნიერა.

ჩვენი თხოვნით, ბათუმის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მასწავლებელმა გამართა სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის მოთხრობის – ,,ჰელადოს" მიხედვით, რომელშიც ჩართული იყო პრობლემური ბავშვიც. სპექტაკლის მომზადების პერიოდში ერთი თვის მანძილზე მის მიერ წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. სპექტალის შემდეგ ძალიან შეიცვალა ბავშვი, რომელიც საერთოდ არ იცინოდა – ახლა ის ყველას უღიმოდა.

ცხადია, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები რთული ბუნების გამო ყოველთვის არ დათანხმდებიან სპექტაკლში მონაწილეობაზე, მაგრამ ბევრისათვის შედეგიანი იქნება. ჩვენი გამოკითხვით, 35-დან 22-მა განაცხადა თანხმობა, რომ თუ საშუალება მიეცემათ, მიიღებენ სპექტაკლში მონაწილეობას.

ადამიანის განვითარებაში სოციალურ-კულტურულ ფაქტორს არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა ლ. ვიგოდსკი (1967) და მიაჩნდა, რომ ინდივიდები ვითარდებიან იმ სოციალური, ისტორიული და კულტურული გამოცდილებით, რომელშიც ცხოვრობენ.

თვითგანვითარების პროცესი წარმოადგენს რთულ დიალექტიკურ პროცესს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მრავალმხრივობა და სტრუქტურის პერიოდული ცვალებადობა. ეს ყოველივე გამოწვეულია, ერთი მხრივ, რთული გარეგანი და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით, ხოლო მეორე მხრივ – გარემოსთან ადაპტაციით, ან ამ უკანასკნელთან ურთიერთობისას წარმოქმნილ წინააღმდეგო-ბათა გადალახვის პროცესების გავლენით.

ამ პროცესში ორივე შემთხვევაში სოციალურის მნიშვნელობა არსებითია, ინდივიდუალურის - მეორეხარისხოვანი.

§ 2. პედაგოგიური საქმიანობა არასასკოლო გარემოში

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები ზოგჯერ სკოლაში არ ბრუნდებიან, მათი ყურადღების გარეშე დატოვება დაუშვებელია, რადგან დანაშაულის განმეორების რისკის ქვეშ იმყოფებიან. ამასთან, არის ისეთი ვითარება, როცა ბავშვის ქცევიდან გამომდინარე, მისი სკოლაში რეინტეგრაცია სასურველი არ არის, ვინაიდან არც ბავშვს სურს სწავლის გაგრძელება და დამხვდურ მოსწავლეებზე უარყოფითი ზეგავლენაა მოსალოდნელი, განსაკუთრებით, VIII-XII კლასის ფარგლებში. თუმცა, ვერც სპეციალურ დაწესებულებებში მათი გაგზავნით მიიღწევა დადებითი შედეგი.

არასასკოლო გარემოში პედაგოგიური საქმიანობა გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან სკოლის გარეთ (კლასგარეშე) მუშაობას სხვადასხვა დაწესებულებასა და ორგანიზაციებში (მაგალითად, საზოგადოებრივი ორგანიზაცები, სასწავლო ცენტრები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, სასპორტო დაწესებულებები და ა.შ.).

,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა იქნეს განხილული ფართო კომპონენტით, რომელიც დაფუძნებულია საზოგადოებაზე და მოიცავს არა მარტო პოლიციას, პროკურატურას და ზოგადად სამართალდამცავ ორგანოებს, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ფენას, როგორიცაა სკოლა, ოჯახი, სამეზობლო და უშუალოდ ახალგაზრდების ჯგუფი, სადაც მოზარდი ატარებს დროის დიდ ნაწილს'' - აღნიშნულია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში (Recommendation 2003:2).

,,კლასგარეშე მუშაობა, პირველ ყოვლისა, ეს არის ბავშვის ცხოვრების თავისუფალი და მის მიერვე არჩეული ემოციური ცხოვრების ფორმა, რომლის დროსაც დასვენების, გართობის და თავისუფალი მოქმედების პროცესში კმაყოფილდება ბავშვთა ინტელექტუალურ–შემეცნებითი, ესთეტიკური, შრომითი, ფიზიკურ-სპორტული და ა. შ. მოთხოვნილებანი'' (გობრონიძე, 2000:272).

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის დროს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საჭიროა პედაგოგიური საქმიანობის სხვა ფორმების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად: ტრენინგების, დებატების, დისკუსიების მოწყობა, ფილმების ჩვენება-განხილვა, ბავშვების უნარ-ჩვევების განვითარება დასაქმებაზე ორიენტირებული პროფესიების კუთხით (კომპიუტერის ოპერატორი, ხელოსანი, სასტურმოს საქმე, მიმტანი, სტილისტი და ა.შ.).

ერთ-ერთ ფორმად მიგვაჩნია ,,მიმღები (ფოსტერ) ოჯახები'', სადაც განთავსდება კანონთან კონფლიქტში მყოფი ის ბავშვები, რომელთა სკოლაში რეინტერგაცია მათივე ქცევისა და ფსიქიკური მდგომარეობის გამო მიზანშეწონილი არ არის, არც ბავშვს აქვს სწავლის სურვილი და, რაც მთავარია, ოჯახს არ აქვს ნორმალურად ცხოვრების და განვითარების პირობები.

ამ მხრივ საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, რომლებშიც ,,მიმღები ოჯახის'' ინსტიტუტი მეტ-ნაკლებად სხვადასხვა მოდელებით არის განვითარებული.

სიტყვა ,,Foster'' (ფოსტერ) ნიშნავს დაეხმარო ვიღაცას ან რაღაცას აღზრდასა და განვითარებაში. ეს ტერმინი ასევე აღნიშნავს ვიღაცის საჭიროებებზე რეაგირებას. ფოსტერ მშობლები არიან ადამიანები, რომლებიც სთავაზობენ უსაფრთხო ადგილს ბავშვებს და მათ მზრუნველობას უწევენ. მიმღებ მშობლებს აჰყავთ ბავშვები თავიანთ სახლებში და საშუალებას აძლევენ მათ, რომ გარკვეული პერიოდი მათთან იცხოვრონ. ასეთ ოჯახს ხშირად ,,მიმღებ (ფოსტერ) ოჯახს'' უწოდებენ.

,,ასეთ ოჯახებში მყოფი ბავშვები უზრუნველყოფილი არიან საძინებელი ადგილით, ჯანსაღი საკვებით, ტანსაცმლით, სათამაშოებით, ჯანმრთელობის დაცვით და ჰიგიენური საშუალებებით'' (მიმღები ოჯახი - 1).

ოფისები, რომლებიც ახდენენ ,,მიმღები ოჯახების'' მოძიებას, თავადვე ახორციელებენ ამ ოჯახების შეფასებას. ფოსტერ მშობლები, ანუ მიმღები ოჯახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: პასუხისმგებლიანობა, კანონმორჩილება, უნდა გააჩნდეს შესაბამისი საცხოვრებელი პირობები.

,,მიმღები იჯახი'' განსაკუთრებულ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს. დასაშვებია ახალგაზრდა ან ასაკოვანი ,,მშობლები'', საკუთარი შვილებით ან შვილების გარეშე,

დასაქმებულები ან სამსახურის გარეშე დარჩენილები. მშობლები ბავშვების აყვანამდე გადიან ტრენინგებს.

საინტერესოა აშშ-ში ჩამოყალიბებული პრაქტიკა ფოსტერ ოჯახების ბენეფიციართა კატეგორიის განსაზღვრის კუთხით. კერძოდ: ,,ფოსტერ ოჯახებში ხშირ შემთხვევაში გხვდება ისეთი ბავშვები, რომელთა მშობლები არიან ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მომხმარებლები. ფოსტერ ოჯახებში თავსდებიან ასევე ისეთი ბავშვები, რომელთა მშობლები ან ძალიან მძიმედ ავად არიან, ან ციხეში იმყოფებიან, ან სხვა რაიმე სირთულეს განიცდიან; ფოსტერ ოჯახებში შეიძლება მოხვდნენ ასევე ის ბავშვები, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლი ან განეკუთვნებიან მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა კატეგორიას'' (მიმღები ოჯახი - 1).

სახელმწიფო შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ზედამხედველობენ მიმღები ოჯახების პროგრამის მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს ოჯახში ბავშვის დაბრუნების მიზნით, თუკი, რა თქმა უნდა ბიოლოგიური მშობლები მოაგვარებენ პრობლემებს და მზად იქნებიან ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებისათვის.

სასამართლოსა და ბავშვთა დაცვის სააგენტოების მეშვეობით, სახელმწიფო აგვარებს ყველა იურიდიულ პროცედურას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ბავშვი იმყოფება მიმღებ ოჯახში. სახელმწიფო ანაზღაურებს ფოსტერ მშობლის ,,მომსახურებას'', ანუ მიმღები ოჯახები ბავშვის მოვლის და მზრუნველობისთვის ღებულობენ ანაზღაურებას.

,,ფოსტერ მზრუნველობა'' არის მოკლევადიანი პროგრამა, რომლის დასრულება ნიშნავს რამდენიმე, სხვადასხვა შედეგის მიღებას ბავშვის ინტერესების შესაბამისად: ა) ბავშვის დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახში; ბ) ბავშვის გაშვილება მშობლების ახლო ნათესავებზე; გ) ბავშვის გაშვილება მიმღებ ოჯახებზე, ან სხვა პირებზე, ვისთანაც ბავშვს აქვს ურთიერთობა (მაგალითად, მასწავლებელი); დ) ბავშვის გაშვილება ნებისმიერ სხვა პიროვნებაზე.

თუ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ან გაშვილება არ მოხერხდა, ბავშვი ერთვება სხვა პროექტში, რომელიც ბავშვის სხვა საცხოვრებელში მოთავსებას გულისხმობს. ამ პროექტის ფარგლებში ბავშვი შეიძლება დარჩეს ასეთ

საცხოვრებელში ხანგრძლივი პერიოდით, ან განთავსდეს სხვა მიმღებ ოჯახში, ან კიდევ ისარგებლოს სხვა სპეციალური გრძელვადიანი პროგრამით, რომელიც გათვლილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე.

გთავაზობთ დიაგრამას, რომელშიც ნაჩვენებია აშშ-ში მიმღებ ოჯახებში ბავშვების ცხოვრების ხანგრძლივობა. სტატისტიკა შედგენილია 1990 წელს.



სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების მსგავსად, საქართველოში ,,მიმღები ოჯახის" ინსტიტუტი უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს. საქართველოში ეს პროცესი ,,მინდობით აღზრდად'' იწოდება და ეს ინსტიტუტი უკვე ათეული წელია საკანონმდებლო რეგულირების საგანია. საქართველოს კანონი ,,სოციალური დახმარების შესახებ'' (მუხლი 4, ნაწილი ,,ტ'') განმარტავს: ,,მინდობით აღზრდა – ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მოვლისა და აღზრდის მიზნით, სახელმწიფოსა და დედობილ-მამობილს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის განხორციელებითაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაიცვას და უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის კანონიერი უფლება''.

ამავე კანონის მიხედვით, მიმღები ოჯახი ნიშნავს ოჯახს, რომელიც ,,სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს ამ

ოჯახის არაწევრი, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის თავისთან ცხოვრებასა და მასზე ზრუნვას'' (მინდობით აღზრდა, 3).

საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, მინდობით აღზრდა ანაზღაურებადია. მიმღებ ოჯახს (დედობილს/მამობილს) გადაეცემა ფულადი ანაზღაურება შვილობილის მოსავლელად და აღსაზრდელად. მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

,,დედობილი/მამობილი შეიძლება იყოს სრულწლოვანი პირი – საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე, გარდა: ა) იმ პირისა, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ; ბ) იმ პირისა, რომელსაც შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს მშობლის ან მეურვის/მზრუნველის უფლებები და მოვალეობები კანონით განსაზღვრულ მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო; გ) იმ პირისა, რომელსაც აღენიშნება შემდეგი დაავადებები: გ.ა) ტუბერკულოზი (აქტიური და ქრონიკული) ნებისმიერი ლოკალიზაციის; გ.ბ) შინაგანი ორგანოების დაავადებები დეკომპენსაციის სტადიაში; გ.გ) ნერვული სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მყარი, მნიშვნელოვნად გამოხატული დაავადებები და დაზიანებები, რაც გამოიწვევს მოძრაობასა და კოორდინაციის მნიშვნელოვან დარღვევას; გ.დ) ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიანი, ონკოლოგიური დაავადებები; გ.ე) ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი; გ.ვ) ინფექციური დაავადებები მათი დისპანსერული აღრიცხვიდან მოხსნამდე; გ.ზ) ფსიქიკური დაავადებები, რომლის დროსაც ავადმყოფი, არსებული წესების გათვალისწინებით, მიჩნეულია ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად; გ.თ) ყველა დაავადება და ტრამვა, რომელმაც გამოიწვია მკვეთრად მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება (ეს შეზღუდვა არ ვრცელდება, თუ დედობილი/მამობილის არსებობისას მხოლოდ ერთს გააჩნია მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი). დ) იმ პირისა, რომელსაც ან რომლის ოჯახის წევრსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ე) მინდობით აღსაზრდელის მშობლისა, მეურვისა/მზრუნველისა და სხვა პირებისა, რომლებსაც აკისრიათ მინდობით აღსაზრდელი ბავშვის რჩენის ვალდებულება; ვ) იმ პირისა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობითა და სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულიმოვალეობების შეუსრულებლობის გამო ჩამოერთვა მინდობით აღსაზრდელი'' (მინდობით აღზრდა 1).

საქართველოში მინდობით აღზრდას ექვემდებარება 18 წლამდე პირი, თუ: ა) მისი დატოვება მშობელთან (მშობლებთან) ან მეურვესთან/მზრუნველთან, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ბავშვისთვის საზიანოა და მშობელი და მეურვე/მზრუნველი ამის თაობაზე მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს; ბ) მშობლის (მშობლების) უფლება, გადაწყვიტოს (გადაწყვიტონ), ვისთან იცხოვროს ბავშვმა, შეზღუდულია და ბავშვი უნდა განთავსდეს თავისი ოჯახის გარეთ; გ) მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) ან შეეზღუდა (შეეზღუდათ) მშობლის უფლებები და მოვალეობები და ბავშვი უნდა განთავსდეს თავისი ოჯახის გარეთ.

მინდობით აღზრდის ქართული მოდელი საერთოდ არ ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს. ეს მოდელი უფრო იმ კატეგორიაზეა გათვლილი, რომელსაც არა კანონთან კონფლიქტი, არამედ ოჯახური პრობლემები აწუხებთ.

ცალკე მსჯელობის საგანია, რამდენად მზად არის ქართული სახელმწიფო და საზოგადოება, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მინდობით აღზრდაზე დაიწყოს მუშაობა, არადა, ფაქტია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ზოგიერთი კატეგორიის (სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემული, სკოლაში წესრიგის ხშირი და უხეშად დამრღვევი და სხვა) ბავშვების ამ მდგომარეობაში ჩაყენების მიზეზი სწორედ არასწორი აღზრდაა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობა მინდობითი აღზრდის სამიზნე ჯგუფებს შორის კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს პირდაპირ არ ითვალისწინებს, შესაბამისი ნორმების ანალიზით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი შეიძლება გახდეს მინდობით აღზრდის

სამიზნე, თუ მისი მდგომარეობა აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთს.

მიუხედავად აღნიშნულისა, აუცილებელია მინდობით აღზრდის პროცედურებში განხორციელდეს ცვლილებები და მასში უშუალოდ აღინიშნოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მინდობით აღზრდის პროცედურა.

საინტერესო მოდელია ასევე ე.წ. ,,უფროსი ძმები და უფროსი დების'' პროექტი, რომელიც თავდაპირველად დაარსდა აშშ-ში, ნიუ–იორკში, 1904 წელს, და რომელიც მიზნად ისახავდა ,,რისკჯგუფს'' მიკუთვნებული არასრულწლოვნებისთვის დახმარებას, რათა მათთვის თავიდან აერიდებინათ მოსალოდნელი სირთულეები და საფრთხეები. ორგანიზაცია დაფუძნების დროს ,,უფროსი ძმების'' სახელწოდებით მუშაობდა (უფროსი ძმები - 1).

ორგანიზაცია დააფუძნა აქტიურმა მოქალაქე ერნესტ კოლტერმა, რომელმაც დაიწყო მოხალისეების მოძიება, ვინც დაეხმარებოდა მას მიზნის მიიღწევაში.

ამ პერიოდში ამერიკაში ჩამოყალიბდა ცალკე ჯგუფი სახელწოდებით ,,ქველმოქმედი ქალბატონები'', რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა ,,უფროსი დების'' სახელწოდებით. ორივე ჯგუფი 1977 წლამდე დამოუკიდებლად მუშაობდა, ხოლო 1977 წელს გაერთიანდნენ და ჩამოყალიბდა ორგანიზაცია ,,უფროსი ძმები და უფროსი დების'' სახელწოდებით.

ეს ორგანიზაცია მოქმედებს აშშ-ს ორმოცდაათივე შტატში და მსოფლიოს 12 ქვეყანაში (ავსტრალია, კანადა, ისრაელი, პოლონეთი, ბერმუდა, გერმანია, ნიდერლანდები, რუსეთი, ბულგარეთი, ირლანდია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა).

ორგანიზაციის მუშაობა ბავშვებთან ხორციელდება შემდეგი ფორმულით: ერთი მზრუნველი (ორგანიზაციის თანამშრომელი) და ერთი ,,რისკჯგუფს'' მიკუთვნებული ბავშვი.

მზრუნველი მეგობრობასა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობებით ცდილობს ბავშვის დახმარებას განათლების მიღების, განვითარების და ზოგადად რეაბილიტაციის კუთხით.

1994-1995 წლებში აშშ-ში მოქმედმა დამოუკიდებელმა კვლევითმა ცენტრმა ჩაატარა ,,დიდი ძმების და დიდი დების'' საქმიანობის და მიღწეული შედეგების კვლევა-შეფასება. ამ მიზნით საკვლევი ორგანიზაციის რვა ოფისში შეირჩა 950 ბენეფიციარი (ვაჟი, გოგონა). გამოკითხულ იქნენ ბავშვები, მათი მშობლები და ორგანიზაციის თანამშრომლები.

კვლევების თანახმად, ბავშვებში, რომლებიც 18 თვის განმავლობაში ჩართულნი იყვნენ პროგრამაში - იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც არ იყვნენ პროგრამის ბენეფიციარები:



კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ პროგრამაში ჩართული ბავშვები უფრო თავდაჯერებულნი იყვნენ თავიანთ სასკოლო მუშაობის პროცესის დროს, უკეთესი ურთიერთობები ჰქონდათ ოჯახის წევრებთან.

''ჩვენ ვიცოდით, რომ ,,დიდი ძმების და დიდი დების'' მზრუნველობას ახასიათებს გრძელვადიანი, დადებითი ეფექტი ბავშვების თავდაჯერებულობაზე,

გაბედულებაზე, შეფასებაზე, ნიშნებზე და სოციალურ უნარებზე, ხოლო ამ კვლევის შედეგებმა მეცნიერულად დაადასტურა ჩვენი რწმენა,'' - აცხადებს ,,დიდი ძმების და დიდი დების'' პრეზიდენტი კარენ ჯეი მატისი.

,,ეს დრამატული აღმოჩენები ძალიან კარგი მონაპოვარია, განსაკუთრებით, იმ დროს, როცა ბევრი ამტკიცებს, რომ ასეთ მოზარდებთან მუშაობის დროს მაინც არაფერი გამოვა'', - ამბობს კვლევის ცენტრის იმდროინდელი ხელმძღვანელი გერი უოლკერი. გერი უოლკერი აცხადებს ასევე, რომ ,,ამ პროგრამებით გათვალისწინებული სტრატეგიები შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ მოზარდების დახმარებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მარტოხელა მშობელთა ოჯახებში ცხოვრობენ''.

,,უფროსი ძმების და დების პროექტის'' მსგავსად, მცირედ სახეშეცვლილი ფორმით, 2011 წლის იანვრიდან საქართველოშიც დაიწყო პროექტი ,,ჩემი უფროსი მეგობარი'' (უფროსი ძმები - 2).

„ჩემი უფროსი მეგობარი" იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს გაეროს ასოციაციამ ერთობლივად შეიმუშავეს. პროექტი 2011 წლის იანვრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს სხვადასხვა ტიპის პრობლემების მქონე (მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფ) არასრულწლოვნებზე ზრუნვას, რომლებიც საჭიროებენ დამატებით პოზიტიურ ზეგავლენას.

პროგრამის ფარგლებში ხდება არასრულწლოვანის და ზრდასრული მონაწილეების შერჩევა კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. პროგრამის კოორდინატორი უმცროს და უფროს მეგობარს არჩევს მათ საერთო ინტერესებზე და ხასიათზე დაყრდნობით. შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ, ხელი ეწერება ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც უფროსი მეგობარი ყოველ კვირა გარკვეულ დროს უთმობს თავის უმცროს მეგობარს, აძლევს მას რჩევა-დარიგებებს, მონაწილეობს მასთან ერთად სპორტულ და გასართობ ღონისძიებებში.

პროექტის მიზანია არასრულწლოვანის ნდობის ამაღლება უფროსების მიმართ, სწავლის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა, მეგობრების შეძენა, კონტაქტების დამყარება და წარმატებისკენ სწრაფვა, საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება.

პროგრამის ფარგლებში მოზარდსა და უფროს მეგობარს საშუალება აქვთ, სურვილსამებრ, მეგობრული ურთიერთობა ჩამოაყალიბონ. პროგრამის მიხედვით, უფროს მეგობარსა და არასრულწლოვანს შორის ურთიერთობა ერთი წელი გრძელდება. უფროსი მეგობრის პროგრამაში მონაწილეობის მსურველები შემდეგ პროცედურებს გადიან: პროგრამის ინიციატორები უზრუნველყოფენ არასრულწლოვანის, მისი ოჯახის წევრებისა და ზრდასრული მონაწილის პირველ შეხვედრას და აცნობენ პროგრამის წესებს. სურვილისამებრ, ამ შეხვედრაზე მხარეები ხელს აწერენ ხელშეკრულებას. უფროსი მეგობრისა და მოზარდის ურთიერთობა მათთვის სასურველ და კომფორტულ პირობებში მიმდინარეობს: მათ შეუძლიათ ერთად მიიღონ მონაწილეობა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სპორტულ თუ გასართობ ღონისძიებაში. უფროსი მეგობარი ყოველთვიურად გარკვეულ დროს უთმობს თავის უმცროს მეგობარს, ეხმარება მოზარდს გაკვეთილების მომზადებაში, აძლევს მას რჩევა-დარიგებებს. თვის ბოლოს ორივე მეგობარი ავსებს ანგარიშს და უგზავნის მას პროგრამის თანამშრომელს, რომელიც მეთვალყურეობს არასრულწლოვანისა და მისი უფროსი მეგობრის ურთიერთობას. პროგრამის მიზანია, უფროსი მეგობრის დახმარებით, არასრულწლოვანს გამოუმუშავდეს საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა, აუმაღლდეს უფროსებისადმი ნდობა, გახდეს უფრო ბეჯითი, კონტაქტური, უფროსი მეგობრისგან ისწავლოს წარმატებისაკენ სწრაფვა (ჩემი უფროსი მეგობარი, 2011).

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საზოგადოებაში რეინტეგრაციის კუთხით, 2010 წლიდან საქართველოში ამოქმედდა კიდევ ერთი პილოტური პროექტი, რომელიც ბავშვების ,,მედიაციას და განრიდებას'' გულისხმობს.

,,განრიდება საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობით წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიულ მექანიზმს. ამ პროგრამის მიზანია არასრულწლოვანი ჩართოს იმ ზიანის ანაზღაურების პროცესში, რომელიც მისმა დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია, ასევე მოახდინოს მისი სოციალური რეაბილიტაცია და ხელი შეუწყოს მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი თავისი

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მაშინ, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. შემდგომ პროკურორი საქმის მასალებს უგზავნის სათანადოდ მომზადებულ პრობაციის სამსახურის ოფიცერს, რომელიც მუნიციპალიტეტის და/ან არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით შეიმუშავებს საზოგადოებისათვის სასარგებლო პროგრამას სამართალდამრღვევი არასრულწლოვანისათვის'' (განრიდება - 2010).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად (მუხლი 105): ,, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო. გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი''.

მუხედავად პროექტის დადებითი მხარეებისა, მასში გათვალისწინებული წესებით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის განრიდება პროკურორის ინდივიდუალურ ნება-სურვილზეა დამოკიდებული და ბავშვის განრიდების შესახებ ინიციატივის დაყენების უფლება არ აქვს მშობელს, ადვოკატს, პედაგოგს, სოციალურ მუშაკს.

პროექტის წარმატებულობისა და ფართოდ გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ ბავშვის ბედი არა რომელიმე სახელმწიფო მოხელის ნებაზე, არამედ სისტემაზე იყოს დამოკიდებული. ანუ, უფრო დეტალურად უნდა დაიხვეწოს განრიდების და მედიაციის პროცედურა და ამ პროცესში ბავშვის მონაწილეობის შესახებ ინიციატივის დაყენების უფლება უნდა მიენიჭოს ყველა იმ პირს, ვისაც ამ კატეგორიის ბავშვებთან უწევთ მუშაობა.

განრიდების და მედიაციის პროექტში აქტიურად არის ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქ. ბათუმში არსებული გამოცდილება, სადაც არასრულწლოვანთა განრიდების პროცესში საქართველოს მთავარი პროკურატურის თანხმობით ჩართულია ,,რეაბილიტაციის ცენტრი''. აღნიშნული ორგანიზაცია ახდენს განრიდებული ბავშვების საზოგადოებაში რეინტეგრაციისკენ მიმართულ საქმიანობებს (სწავლება, ტრენინგები, სემინარები, სპორტული ღონისძიებები და ა.შ.).

რადგანაც პროექტი პილოტური ხასიათისაა, ამიტომაც მის საფუძვლიან შეფასებას დრო ჭირდება. ამიტომაც ამ ეტაპზე მხოლოდ საერთო ანალიზით და ზოგადი შეფასებებით შემოვიფარგლებით.

გასათვალისწინებელია შემთხვევა, როცა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი გარბის ოჯახიდან, არც სწავლა უნდა და არც ოჯახი. კვლევის პროცესში ასეთი ოთხი შემთხვევა გამოვლინდა, მაგრამ ერთიც რომ იყოს, საჭიროა მასთან მუშაობის ფორ-მის მოძებნა, თორემ რისკი, რომ ხვალ ერთის ნაცვლად რამდენიმე გაჩნდეს, დიდია.

როგორც ფრანგი მეცნიერი ფრანსუაზა დალტო აღნიშნავს (1995), პირველად გაქცეულ ბავშვთა პრობლემით დაინტერესდნენ იურისტები, შემდეგ ჩაერთვნენ ექიმები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, პედაგოგები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გაქცევას, როგორც სამართალდარღვევას, არ განიხილავს, მაგრამ გაქცეულ ბავშვს თუ პოლიცია იპოვის, აუცილებლად დააკავებს და განიხილავს, როგორც პოტენციურ სამართალდამრღვევს.

გაქცევა თავისთავში მოიცავს საშიშროებას: გაქცეული ბავშვის წინაშე დგება საცხოვრებლისა და საკვების პრობლემა. ხშირად იგი ჩადის დანაშაულს: იპარავს, იწყებს პროსტიტუციას, ექცევა ცუდ წრეში, მაწანწალობს.

გამქცევი ბავშვების მიმართ პრევენციული ღონისძიებების დიდი გამოცდილებაა უცხოეთში, ესაა: ნდობის ტელეფონი, მოკლევადიანი თავშესაფარის ორგანიზაცია, საცხოვრებელი ცენტრი და სხვა. ეს ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან – დაეხმარონ ბავშვს კრიზისის დაძლევაში, მოუხსნან კონფლიქტური სიტუაცია, რომელმაც შეიძლება გამოუსწორებელი ნგრევა გამოიწვიოს.

არის ქვეყნები, სადაც კანონი ცნობს შესაძლებლობას, გაიგზავნოს არასრულწლოვანი ბუნებაში, კეთილმოწყობილ თავშესაფარში, რათა იქ იპოვოს სულიერი სიმშვიდე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1968 წლიდან იწყება თავშესაფრების გაფართოება, სადაც ბავშვს 24 საათის განმავლობაში ანონიმურობის გარანტიას აძლევენ. იქ არის თბილი, ოჯახური გარემო. ასეთი 200-ზე მეტი ცენტრი მოქმედებს, რომლებსაც ურთიერთობა აქვს საზოგადოებასთან, პოლიციასთან, სასამართლოსთან, მთავრობასთან, სოციალურ სამსახურებთან. ცენტრში მოქმედების თავისუფლება შეზღუდულია, მაგრამ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ გზაარეული ბავშვის სამომავლო ცხოვრება კარგად წარიმართოს.

ოჯახიდან გაქცევის მიზეზი მრავალგვარია: მშობლების მხრიდან ძალადობა, დედის სიმკაცრე, პირადული არასრულყოფილების შეგრძნება, მამინაცვალთან ვერშეგუება, აუტანელი სიდუხჭირე, შიმშილი, დაცინვა.

ჩვენს მიერ შემჩნეული გაქცევის ოთხი შემთხვევიდან (10-12 წლის ბავშვები) გაქცევის მიზეზად ასახელებდნენ: სურს შორს იყვნენ იქიდან, სადაც ყოველ წუთს თვალს ადევნებენ, სურს სოფელში ბებიასთან წასვლა, მობეზრდა მამობილისგან საყვედურები, არ უნდა შეხვდეს თანაკლასელებს.

მიზეზები, ერთი შეხედვით, მარტივია, მაგრამ რაკი გაქცევის გადაწყვეტილების საბაბი გახდა, მდგომარეობა ბავშვისთვის ურთულესია და დახმარებას საჭიროებს.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ აჭარის რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ,,რეაბილიტაციის ცენტრს'' და ,,დემოკრატიის ინსტიტუტს''.

,,დემოკრატიის ინსტიტუტში შექმნილი პედაგოგებისა და ფსიქოლოგებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ შედგენილი პროგრამა უზრუნველყოფს განუვითაროს მოზარდს საჭირო უნარ-ჩვევები, ურთიერთობის კულტურა, მისცეს ელემენტარული სასკოლო საგნობრივი ცოდნა, დააუფლოს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებას, სტილისტის, დურგლის, ავტოზეინკლის და სხვა პრფესიას'' (შეროზია 2008:8).

დემოკრატიის ინსტიტუტი 2006 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში მუშაობდა პოლიციის განყოფილებებიდან და პატიმრობიდან განთავისუფლებულ 200-ზე მეტ ბავშვთან. ამ ორგანიზაციაში ჩამოყალიბებული ბავშვთა რეაბილიტაციის პრაქტიკა გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

- პოლიციის განყოფილებებიდან, საპატიმრო დაწესებულებიდან ბავშვის გათავისუფლებისთანავე სოციალური მუშაკი სპეციალური კითხვარის გამოყენებით სწავლობს ბავშის პირად ინფორმაციას, განათლების დონეს (მონაცემებს ღებულობს სკოლიდან), სოციალურ სტატუსს, ზოგად ინტერესებს და სურვილებს;

- მომდევნო ეტაპზე ბავშვთან მუშაობას იწყებს ფსიქოლოგი, რომელიც შეისწავლის ბავშვის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს (ზოგადი ცნობები, მოზარდის ფიზიკური განვითარება, ოჯახური გარემო, შემეცნებითი პროცესები, ემოციები და გრძნობები, ტემპერამენტი, ნებისყოფა და ხასიათი, დამოკიდებულება შრომითი საქმისადმი, მოზარდის პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებანი და ა.შ.);

- სოციალური მუშაკი ადგენს ბავშვის რეაბილიტაციის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც მოიცავს: ა) სხვადასხვა საგნის სწავლის პროცესში ჩართვას; ბ) სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას; გ) გასვლით ღონისძიებებში (ექსკურსია, პიკნიკი) ჩართვას; დ) ბავშვის და მისი ოჯახისთვის ერთდროულ დახმარებას (საკვები, ტანსაცმელი); ე) სამედიცინო დახმარებას; ვ) ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მუშაობას ბავშვთან და მის ოჯახთან და ა.შ.

- ბავშვის რეაბილიტაციის პროცესის შეფასება, რაც გულისხმობს: სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, პედაგოგის, მშობლის საქმიანობის შეფასებას, ბავშვის თვითშეფასებას. შეფასებისა და თვითშეფასებისთვის გამოიყენება სპეციალური კითხვარები.

საპატიმროში მოთავსებულ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის თვალსაზრისით, საინტერესოა დემოკრატიის ინსტიტუტის გამოცდილება. დემოკრატიის ინსტიტუტის პედაგოგები და ფსიქოლოგები 2006-2009 წლებში კვირაში ორჯერ ხვდებოდნენ ქ. ბათუმის №3 საპყრობილეში მოთავსებულ არასრულწლოვნებს. ფსიქოლოგები ახდენდნენ ამ ბავშვების ასაკობრივი და

ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლას, რაც შემდგომში მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ადვოკატებს ბავშვების უფლებების დაცვის პროცესში. პედაგოგები ახორციელებდნენ შემდეგ სამუშაოებს: ა) წერა-კითხვის შესწავლა; ბ) ელემენტარული მათემატიკის შესწავლა; გ) ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა საგნის შესწავლა.

ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციის მიხედვით: ,,საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულოვნების ყოველდღიური ცხოვრება უნდა იყოს მიმართული განათლებაზე, პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე, პროფესიულ გადამზადებაზე, რეაბილიტაციაზე და პატიმრობიდან განთავისუფლებისთვის მომზადებაზე (Recommendation, 2008).

ეს საქმიანობები მოიცავს შემდეგს:

- ✓ სწავლება;
- ✓ პროფესიული გადამზადება;
- ✓ შრომითი უნარების გამომუშავება;
- ✓ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება;
- ✓ სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება;
- ✓ აგრესიის მართვა;
- ✓ წამალდამოკიდებულების თერაპია;
- ✓ ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპია;
- ✓ ფიზიკური განათლება და სპორტი;
- ✓ პატიმრობიდან განთავისუფლებისთვის მომზადება და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვა''.

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,დემოკრატიის ინსტიტუტი''-ს ინიციატივით, 2009 წლის 1 მარტიდან - 2009 წლის 31 დეკემბრამდე, ქ. ბათუმის მერიის დაფინანსებით ამოქმედდა მიზნობრივი პროგრამა: ,,კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნების რეაბილიტაცია'', რომელიც განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,რეაბილიტაციის ცენტრმა''.

ბენეფიციართა კატეგორია: პოლიციის განყოფილებებიდან/პატიმრობიდან გათავისუფლებული არასრულწლოვნები.

პროგრამის მიზანი: პოლიციის განყოფილებიდან/პატიმრობიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის ხელშეწყობა;

პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნების საერთო რაოდენობა: 18, აქედან ვაჟი – 16, გოგონა – 2.

18 მოზარდიდან 1 გოგონა პროგრამაში ჩაერთო საჯარო სკოლის ინიციატივით (შუამდგომლობით), რომელიც სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით განეკუთვნებოდა ,,რისკჯგუფს'', იყო მიდრეკილი დანაშაულისაკენ და იმყოფებოდა აღრიცხვაზე პოლიციის განყოფილებაში. დანარჩენი 17 არასრულწლოვანი იყო პოლიციიდან და პატიმრობიდან გათავისუფლებული.

წყაროების ანალიზის და პირადი გამოცდილების მიხედვით, არასასკოლო გარემოში კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების დროს, გასათვალისწინებელია ნებაყოფლობითობის, პიროვნული ორიენტირების და აღმზრდელობითი მუშაობის სისტემატურობის პრინციპები.

ნებაყოფლობითობის პრინციპი ბავშვს აძლევს არჩევანის თავისუფლებას. კერძოდ, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მომუშავე პირი (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ა. შ. ბავშვს სთავაზობს სხვადასხვა სახის საქმიანობაში, პროგრამაში ჩართვას, რომელთაგანაც ბავშვი, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ირჩევს სასურველს.

პიროვნული ორიენტირებულობის პრინციპი გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას (ჯანმრთელობა, ინტელექტი, ზნეობრივ-ესთეტიკური განვითარების დონე, ინტერესები, ნიჭი და ა.შ.). აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა დაიგეგმოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთან არა მარტო მასობრივი (ფრონტალური), არამედ ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ფორმები.

აღმზრდელობითი მუშაობის სისტემატურობის პრინციპი გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში პრაქტიკაში გამოყენებული და აპრობირებული სხვადასხვა მეთოდების სისტემატურ გამოყენებას.

საქართველოში, 2008 წლის შემდეგ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ზოგიერთი კატეგორიის (ძირითადად პირობითი მსჯავრის მქონე ბავშვები) რეაბილიტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის კუთხით, ცალკეულ ღონისძიებათა სახით ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით აქტიურობენ სახელმწიფო დაწესებულებები. მაგალითად, 2010 წლის დეკემბერში პირობითი მსჯავრის მქონე სამმა არასრულწლოვანმა მთავარი როლები შესარულეს სპექტაკლში ,,უფლისწული და მათხოვარი''. რეჟისორ კოტე რევიშვილის მიერ დადგმული წარმოდგენა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა (პრობაცია 2010).

სპექტაკლს, მოზარდი თაობის მაყურებელთან ერთად, იმერეთის პრობაციის ბიუროს, პროკურატურისა და ადვოკატურის წარმომადგელებიც ესწრებოდნენ.

თეატრალური დასი, რომელიც ქუთაისში საერთაშორისო ორგანიზაცია ,,Worldvision''-ის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა, არასრულწლოვან პრობაციონერებ-თან ერთად, კანონთან კონფლიქტში მყოფ ათამდე მოზარდს აერთიანებს.

წარმოვადგენთ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდიდან (www.mcla.gov.ge) ამონარიდს, რომელიც არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო პროცესის სტრატეგიას აღწერს: ,,დღესდღეობით, არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში, ყველა მსჯავრდებულის მიმართ მიმდინარეობს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, რომლის მიზანია მოზარდისათვის რისკების შემცირება და მისი საზოგადოებაში სრულყოფილ წევრად დაბრუნება. იმისათვის, რომ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა მიზნობრივად განხორციელდეს, აუცილებელია მოზარდის ჩართვა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო და სპორტულ ღონისძიებებში. დღესდღეობით, აღნიშნულ დაწესებულებაში ფუნქციონირებს სკოლა, რომელიც არის თბილისში არსებული 123-ე საჯარო სკოლის ნაწილი, სადაც სწავლება მიმდინარეობს იმავე სტანდარტებით, როგორც სამოქალაქო სექტორში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოზარდის ატესტატში არ არის მითითებული, რომ მან განათლება

სასჯელაღსრულების სისტემაში მიიღო. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების კურსები - ტიხრული მინანქარი, ხეზე კვეთა, კომპიუტერის კურსები, კომპიუტერის შეკეთების კურსები, ვიდეომონტაჟი, ანიმაციების კეთება, ფოტოხელოვნება და სტილისტის კურსები. ასევე, ფუნქციონირებს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სოციალურ-სარეაბილიტაციო კურსები, როგორიც არის მაგ. ,,equip" და ა.შ. დაწესებულებაში ასევე არის სპორტით დაკავების შესაძლებლობები, კერძოდ, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთის/რაგბის სწავლების კურსები და სპორტული კომპლექსი ფიზიკური გაჯანსაღებისთვის. ყველა ზემოაღნიშნული აქტივობა არის მნიშვნელოვანი იმ კუთხით, რომ არც ერთი წუთით არ უნდა შეფერხდეს მოზარდის ფიზიკური და გონებრივი განვითარება. გარდა ამისა, სასჯელაღსრულების სისტემაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ არსებობს შედარებით უფრო ლიბერალური მიდგომები (რეაბილიტაცია - 2011).

სახელმწიფო ორგანოების გააქტიურება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაციისათვის, საბოლოო ჯამში, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარებისათვის.

თავი მეოთხე

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის ორგანიზაციული ასპექტი

§ 1. კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მისაღწევი კომპეტენციები სკოლის დონეზე

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სკოლაში რეინტეგრაციის პრობლემის დადებითად გადაჭრისათვის, მნიშვნელოვანია, ვინ გაუძღვება მათთან მუშაობას. ამ მიმართებით, ჩვენი კვლევის მიხედვით (თავი II), ყველაზე მთავარი პირი კლასის დამრიგებელია, მასთან ერთად საგნის მასწავლებლებსაც აკისრიათ დიდი როლი. სასურველი შედეგის მიღებისათვის განმსაზღვრელია სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობა.

ოცი სკოლის სამოცი კლასის დამრიგებელსა და საგნის მასწავლებელს 2010 წლის აპრილში ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებით მივმართეთ ერთი კითხვით – ,,რა დამოკიდებულება გაქვთ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობისადმი''. პასუხების გაანალიზებით გამოიკვეთა შემდეგი:

- არ იცნობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის თავისებურებებს;
- არ ფლობენ კონრეტულ სიტუაციაში მოქმედების მეთოდებს;
- არ აქვთ მოტივაცია;
- შიშით არიან გამსჭვალული;
- აინტერესებთ საკუთარი თავის შემოწმება - შესძლებენ თუ ვერა.

ჩნდება პრობლემა: კლასის დამრიგებლებს, მასწავლებლებს რაიმე მიუღებელ ან ზედმეტად დამტვირთველ საქმიანობას ხომ არ ვთავაზობთ?

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით ,,სასწავლო გარემო'' (თავი III ,,სწავლება და შეფასება''. მუხლი 5) გათვალისწინებულია, რომ მასწავლებელმა იცოდეს: როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. გავიცნოთ ზოგიერთი მოთხოვნა:

- აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე;

- აცნობიერებს კლასის სტრუქტურაში მოსწავლეთა როლის მნიშვნელობას და ხელს უწყობს საკლასო ერთობის შექმნას;

- იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები, როგორ მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;

- იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღონისძიებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ეს ის მოთხოვნებია, რომლებიც სჭირდება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეინტეგრაციით დადებითი შედეგების მიღებას.

სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც 2011 წლიდან აქტიურად იმკვიდრებს ადგილს სასკოლო საქმიანობაში, განსაზღვრავს დამრიგებლის მუშაობის მიზანს, რომელიც მოიცავს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში დახმარებას.

დამრიგებლის მოვალეობებს, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენს: მოსწავლეებისათვის დახმარება აკადემიური თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში, სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და სპორტულ შეჯიბრებებში მათი ჩართვა, მოსწავლისათვის სასარგებლო ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება.

სადამრიგებლო სასაუბრო თემები მოქცეულია ხუთ მიმართულებაში: პიროვნული და მორალური განვითარება; გარემოსდაცვითი კულტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი; უსაფრთხოება და მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება; თვალსაწიერის გაფართოება.

ამრიგად, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებში და კლასის დამრიგებლის პროგრამაში განფენილია მოთხოვნები იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც სჭირდება კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან რეინტეგრაციის

მიმართულებით მუშაობას. ცხადია, გაცნობიერებული გვაქვს ის სიძნელე და სირთულე, რომელიც ამ მხრივ მუშაობას სჭირდება.

ვითვალისწინებთ იმასაც, რომ თანამედროვე მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი ფლობს ზოგად კომპეტენციებს: ცვლილებებისადმი მზადყოფნა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, მოსწავლეთა აქტიურობის ხელშეწყობა, ბავშვის სოციალური საკითხებით დაინტერესება და მისდამი დახმარება, ბავშვის შესახებ ფსიქოლოგიის ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, აღზრდის მეთოდების სიტუაციის შესაბამისად შერჩევა.

აღნიშნული ზოგადი კომპეტენციების ფლობა განაპირობებს იმ დარგობრივი კომპეტენციების მიღწევას, რომელიც საჭიროა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობისათვის.

სწავლებისა და აღზრდის მიზნების წარმატებით განხორციელებაში მასწავლებლის როლისა და მნიშვნელობის შესახებ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებში მნიშვნელოვანი გამოკვლევები და შეხედულებებია. ეს საკითხი აქტუალურია დღეს, როცა კლასის დამრიგებლის ფუქნციები გაიზარდა და იგი ,,დანამატიდან'' თანამდებობრივი ერთეული გახდა.

კლასის ხელმძღვანელის მუშაობას გააჩნია დიფერენცირებული მიდგომის ასპექტიც. ე.ი. მოსწავლეთა ჯგუფთან მუშაობა ხორციელდება სხვადასხვა ნიშნით: გოგონები და ვაჟები, აქტივი და პასივი, არაფორმალური ჯგუფები, ნიჭიერი, მაღალი აკადემიური მოსწრების ბავშვები, ან ისეთები, რომლებიც ცუდი მოსწრებისანი არიან, ძნელად აღსაზრდელები, ფიზიკური და ფსიქოლოგიური გადახრების, სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოზარდები, არაკეთილსაიმედო ოჯახების შვილები და ა.შ.'' (გობრონიძე, 2000:281-282).

ყურადღებას მივაპყრობთ იმას, თუ როგორ კონტინგენტთან უხდება მუშაობა თანამედროვე მასწავლებელს. საინტერესოა ამერიკულ გაზეთ ,,იუს რულეი''-ში გამოქვეყნებული იმ ძირითადი პრობლემების ჩამონათვალი, რომლებიც აწუხებდა ამერიკის სკოლების პედაგოგებს 40-იან და 80-იან წლებში.

	40-იანი წლები		80-იანი წლები
1	გადალაპარაკება გაკვეთილზე	1	ნარკომანია
2	საღეჭი რეზინის ღეჭვა	2	ალკოჰოლიზმი
3	ხმაური	3	ორსულობა
4	დერეფანში სირბილი	4	თვითმკვლელობა
5	უწესრიგობა გაკვეთილის დაწყების წინ	5	გაუპატიურება
6	შეუფერებელი ტანსაცმელი	6	ძარცვა
7	კლასის დანაგვიანება	7	ხულიგნობა

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ბრიუს ჟიკსონი მონაცემთა გაანალიზების შემდეგ წერდა: ,,ამ შემთხვევაში საქმე ახალგაზრდობაში კი არ არის - ისინი ჩვენი შვილები არიან, საქმე ჩვენშია, მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საშუალებებშია'' (ციტატა აღებულია ბრუს ჟიკსონის ვიდეოკურსიდან ,,მოსწავლის შვიდი კანონი'', ნაწილი 3, 1982).

ეს მონაცემები მარტო ინფორმაციის როლს როდი ასრულებს, იგი წარმოაჩენს მასწავლებლის საქმიანობის სიძნელეს და ამ სიძნელის დაძლევისათვის კომპეტენციის ახალი ხარისხის მიღწევის აუცილებლობას.

დავინტერესდით, რა მდგომარეობაა დღევანდელ ქართულ სკოლაში. შევადგინეთ კითხვარები და ჩავატარეთ კვლევა საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლების მონაწილეობით.

კვლევაში მონაწილეობდა ხუთი ქალაქის და ხუთი სოფლის სკოლის 45 მასწავლებელი. მასწავლებელები შეირჩა ისე, რომ მათგან 50%-ს ჰქონდა მასწავლებლად მუშაობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება.

მასწავლებლები სრულიად თავისუფალი იყვნენ აზრის გამოთქმაში, შეეძლოთ კითხვარის შევსების დროს ვინაობა არ მიეთითებინათ, თავიანთი მოსაზრება არ გაეზიარებინათ სხვებისთვის.

ამგვარმა მიდგომამ კითხვებზე პასუხების გულწრფელობა და დამაჯერებლობა განაპირობა.

მივიღეთ შემდეგი სურათი:

	1992 – 1999 წლები		2000 – 2009 წლები
1	კლასის დანაგვიანება	1	ზოგადი განათლების დაბალი დონე
2	გადალაპარაკება	2	მობილური ტელეფონები
3	ნარკოდამოკიდებულება	3	ალკოჰოლიზმი
4	გაკვეთილების მიტოვება	4	ცივი იარაღის ტარება
5	დაუმორჩილებლობა (დერეფანში სირბილი, გაკვეთილის ჩაშლა)	5	ძალადობა
6	შეუფერებელი ტანისამოსი	6	ხულიგნობა
7	ცივი იარაღის ტარება	7	უფროსებისადმი უპატივცემულობა

წარმოდგენილი მონაცემების (ცხრილების) ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს სკოლებში 1992–1999 წლებში არსებული, მოსწავლეთა ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები რამდენიმე შემთხვევაში იდენტურია ამერიკის სკოლებში 1940-იან წლებში არსებულ ვითარებასთან: კლასის დანაგვიანება, დერეფანში სირბილი, შეუფერებელი ტანისამოსი, გადალაპარაკება გაკვეთილზე. პრობლემებმა, რომლებიც ამერიკის სკოლებში 1980-იან წლებში აწუხებდა სკოლებს (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ხულიგნობა) - ქართულ სკოლებში 2000–2009 წლებში იჩინა თავი. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ამერიკის სკოლებში არსებული ცალკეული პრობლემები არ აწუხებს ქართულ სკოლებს, მაგალითად, გაუპატიურება, თვითმკვლელობა, ორსულობა. ეს განსხვავება იმ გარემოებით შეიძლება იყოს განპირობებული, რომ საქართველოში ტრადიციულად იმდენად მიუღებელ ნორმად ითვლება სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ორსულობა, გაუპატიურება და სხვა მსგავსი საკითხები, რომ ამ თემების სჯაროდ გაცხადება და დისკუსია უმეტეს შემთხვევაში არ ხდება, - შესაბამისად, კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმა, შესაძლოა, ამ საკითხებზე ყურადღება განზრახ არ გაამახვილეს.

მოცემული მასალის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ მასწავლებლის საქმიანობის დაგეგმვის და სწორად წარმართვისათვის აუცილებელია ქვეყანაში, რეგიონში დამკვიდრებული წესების, ტრადიციების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული პრობლემების ზედმიწევნით კარგი ცოდნა.

კლასის დამრიგებლის, ზოგადად, მასწავლებლის საქმიანობა ხასიათდება ბავშვებზე ზრუნვის გრძნობით. მასწავლებელი ფიქრობს, მოსწავლემ მისგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს.

,,მასწავლებლის კეთილსაქმიანობა – ესაა მზრუნველობა. ამ გრძნობის მეორე მხარეა მუდმივი წუხილი – რატომღაც რაღაც არ გამოვიდა. რაც უფრო ნაკლები გაგებაა პედაგოგის, მით უფრო მეტია წუხილი. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა წვრილმანს, რადგან წვრილმანებისგან იქმნება ჩვევა'' - წერს ვასილ ზენიკოვსკი (Зеньковский 1996:59).

ამასთან, პედაგოგმა უნდა შეძლოს შეამჩნიოს ყველა წვრილმანი, მაგრამ ,,არ დაინახოს''. მან უნდა შეძლოს ამაღლება ყველა წვრილმანზე რეაგირებისგან. არ შეიძლება მუდმივად ეძებდე მიზეზებს, რაც ხშირად სიმკაცრეში გადადის, ზოგიერთი ამას ,,პედაგოგიურ პრინციპულობას" უწოდებს, თუმცა შედეგი არ არის. არცთუ იშვიათად, შედეგი ნერვებმოშლილი მასწავლებელი და გაბრაზებული მოსწავლეა, რაც მათ ერთმანეთისგან აშორებს.

კლასის დამრიგებლის უმთავრესი მიზანი კლასში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაა. მისი ენერგიის უმეტესი ნაწილი იხარჯება იმაზე, რომ მოსწავლეები სხვადასხვა საგნის გაკვეთილებზე მუშაობდნენ და არ არღვევდნენ წესრიგს (კლასის მოსწავლეთა უდისციპლინობაზე დამრიგებელთან ჩივილი სასკოლო ცხოვრების ჩვეულებრივი სურათი იყო და არის).

ვითარება რთულდება იმით, რომ კლასში ხშირად ბატონობენ წესრიგის დამრღვევნი, მოსწავლეები უერთდებიან მცირედ თუ დიდად მასწავლებლის მოწინააღმდეგეთა აზრს, რითაც იქმნება გაორება. ბავშვები ერთ გაკვეთილზე წესიერად იქცევიან, აქტიურობენ, სხვა გაკვეთილზე კი – პირიქით. ასეთი გაორების დაძლევა ძალიან ძნელია და იგი ხშირად წლების განმავლობაში გრძელდება. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში კლასიდან წასვლა საუკეთესო გამოსავალია თვით მასწავლებლის ავტორიტეტის შენარჩუნებისთვის. ეს უპრინციპობა, უკან დახევა ან ,,მოსწავლის გამარჯვება'' როდია. ეს პედაგოგიური სინდისის გამოხატულებაა. შესაძლოა, სხვა კლასში უკეთ წარიმართოს საქმიანობა, ხოლო დატოვებული კლასის

მოსწავლეებმა სინანული იგრძნონ და სხვა მასწავლებლის მიმართ აღარ გამოავლინონ მსგავსი. ეს პროცესი დიდ ტაქტს და მოთმინებას მოითხოვს.

დიდი პედაგოგი შაცკი (1980) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სკოლის ამოცანაა ასწავლოს ბავშვებს ბავშვური ცხოვრება. ასეთ გაგებამდე შაცკი მიიყვანა ბავშვთა კოლონიის შექმნის გამოცდილებამ. მან კარგად დაინახა, რომ ბავშვზე უფრო დადებითი გავლენა ბავშვურ გარემოში ცხოვრებას აქვს, ვიდრე კოლონიაში. საამისოდ კი აღმზრდელობითი საქმიანობის სწორად წარმართვაა საჭირო.

უპირველესი კლასის დამრიგებლის ავტორიტეტია. არსებობს ავტორიტეტის გაგების სხვადასხვა თეორია. ვოლუნტარისტული თეორიის (პაულსენი 1846-1908 და სხვები) მიხედვით, უფროსების მტკიცე ნებისყოფას გავლენა აქვს უმცროსების სუსტ ნებისყოფაზე. ავტორიტეტის მოპოვება ძლიერი ნებისყოფის გავლენის შემთხვევაში გამორიცხავს ბავშვის თავისუფლებას. ბავშვზე გამუდმებით მოქმედებს სხვისი ძალა. აღზრდის ამოცანა მდგომარეობს ბავშვის ნებისყოფის განვითარებაში, რომ მან ნებაყოფლობით შეძლოს სიკეთისადმი დამორჩილება და არა უფროსების განკარგულებების ბრმა შესრულებით.

პაულსენის თეორია მისაღებია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. სასკოლო ვითარება მას ვერ იგუებს.

ინტელექტუალური თეორიის (მიუნსტერბერგი 1863-1916) მიხედვით, ავტორიტეტი მასწავლებლიდან გამომდინარე შთაგონების ძალაშია. მოსწავლე მასწავლებლის აზროვნებიდან ითვისებს მის ჩვევებს, ტენდენციებს და ამით ვითარდება. პრაქტიკაში ბევრი პედაგოგი ცდილობს შთაგონებით თავისი აზრი შეუმჩნევლად ჩანერგოს მოსწავლეში და აღწევს კიდეც ამას. ამგვარი ქმედება გამორიცხავს მოსწავლის პიროვნებას, აფერხებს მის განვითარებას და დამოუკიდებლობას.

გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებლის ჩვევები და აზროვნება ყოველთვის როდია მისაბაძი და სამაგალითო.

ემოციონალისტური თეორია (ზენკოვსკი (1881-1962) და სხვები) უმთავრესად მიიჩნევს ურთიერთნდობას, რომელიც დამყარებულია თავისუფალ ურთიერთობასა

და მასწავლებლის თაყვანისცემაზე: შეცნობაზე იმისა, რომ მასწავლებელი არის ხელმძღვანელი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო.

ავტორიტეტის მნიშვნელობის აღიარება ბავშვის სტიმულის მომცემია, მასწავლებელი არის მრჩეველი, გზის მაჩვენებელი. ასეთი გაგება სინათლის სხივია აღმზრდელობით საქმიანობაში.

ავტორიტეტი არის ძალა, ურომლისოდაც პედაგოგიური საქმიანობა უძლურია. კლასის ავტორიტეტული ხელმძღვანელობის დროს ყველა ასაკის მოსწავლე ხედავს და იგებს იმას, რასაც თავისთავად ვერ შეძლებდა.

ავტორიტეტი არ შეიძლება იყოს ძალდატანებითი, ის შეიძლება იყოს მხოლოდ თავისუფლად მიღებული.

კლასის დამრიგებლის ავტორიტეტი ბავშვებისადმი სიყვარულით მოიპოვება. მის ავტორიტეტში ბავშვი უნდა ხედავდეს მეგობარს, დამხმარეს. პედაგოგიური ურთიერთობისას არცთუ იშვიათად ძალაუფლების ხასიათის ჩარევაცაა საჭირო და სხვისი ავტორიტეტის (სკოლის ადმინისტრაციის, მშობლის) გამოყენებაც ხდება, მაგრამ ყველაფერს სიყვარული და ნდობა უნდა წარმართავდეს. ავტორიტეტის მოპოვებას დრო სჭირდება, დაკარგვა კი წუთის საქმეა.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა ერთ ჯგუფთან შეხვედრისას (14-16 წლის ასაკი) წავიკითხეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა ,,დამრიგებელი'' და შემდეგ ვისაუბრეთ კლასის დამრიგებლებზე. 35 ბავშვიდან ყველას ახსოვდა მისი კლასის დამრიგებლის ვინაობა, თვისებები, მისდამი დამოკიდებულება. სამწუხაროდ, უმრავლესობა იხსენებდა კლასის დამრიგებლის მიერ ძალაუფლების, ავტორიტეტის გამოყენების ფაქტებს: სკოლის დირექტორთან ,,წათრევა'', ოჯახში მისვლა ან მშობლის გამოძახება. ერთმა ისიც გაიხსენა, როგორ მივიდა კლასის დამრიგებელი იმ ორგანოში, საიდანაც ოჯახი დახმარებას იღებდა და განუცხადა: ,,მთელი კლასი თავზე აქვს წამოცმული დახმარების ღირსი არ არისო''. შედეგად ბავშვმა სწავლა მიატოვა. თხუთმეტი ბავშვი ნანობდა, რომ არ დაუჯერა დამრიგებელს: ,,კარგის მეტს არაფერს მირჩევდა, მაგრამ ჩემს თავში არ შედიოდაო''. ოც მათგანს სურდა ისევ ის ჰყოლოდა დამრიგებლად, ვინც ჰყავდა. საინტერესო იყო ოთხი ბავშვის მოსაზრება: ,,დამრიგებლად კარგია კაცი, კაცურად დაგელაპარაკებაო''.

საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები, რამდენი მამაკაცი მუშაობს კლასის დამრიგებლად ბათუმის სკოლებში. ამ მიმართებით საერთო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება გაძნელდა. ჩვენს მიერ 32 სხვადასხვა სკოლის მონაცემის შესწავლით აღმოჩნდა, რომ კლასის დამრიგებელი მამაკაცი მასწავლებლის რაოდენობა არ აღემატება 5%-ს. მაგალითად: ბათუმის 18 საჯარო სკოლაში 667 კლასის დამრიგებლიდან მამაკაცია მხოლოდ 11.

კლასის დამრიგებელთა სპეციალური მომზადება გაუმჯობესებას ითხოვს. ამ საკითხს უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაში ცალკე დრო არ ეთმობა. აქამდე ზოგადად ჩართული იყო პედაგოგიკის სასწავლო კურსსა და აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდიკაში. სკოლების ბაზაზე ტარდება ტრენინგები უმეტესწილად ზოგადი ხასიათის (გეგმების შედგენა და სხვ.). 2003-2006 წლებში გამოდიოდა გაზეთი ,,კლასის ხელმძღვანელი'', მცირე ტირაჟით. საინტერესო მასალებია ჟურნალებში ,,მასწავლებელი'' (2008-2010), ,,წიგნიერი'' (2000-2008), მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთბელი კლასის დამრიგებლის საქმიანობის დასახმარებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის სწავლება/სწავლის საკითხები. დაკვირვებამ ცხადყო, რომ იქ, სადაც სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინტერაქტიური მეთოდები, ყველა ბავშვი აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში და ,,სხვა რამისთვის'' ფიქრის დროც არ რჩება.

კლასის დამრიგებელი თვალყურს ადევნებს ბავშვის სწავლის ხარისხს და საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებელთან შეთანხმებით, გეგმავს დამატებით მეცადინეობას, კონსულტაციას, ინსტრუქტაჟს.

კლასის დამრიგებლის კვალიფიციური კომპეტენტურობის მიღწევისა და განვითარებისათვის სკოლის დონეზე სასურველია შეიქმნას ,,კლასის დამრიგებელთა კათედრა''. კათედრა იქმნება იქ, სადაც ორი ან მეტი კლასის დამრიგებელია, ფაქტობრივად, ყველა სკოლაში. სასურველია საფეხურების მიხედვით დაყოფა: დაწყებითი, საბაზისო, საშუალო კლასების დამრიგებელთა კათედრები. ამგვარი დაყოფა საშუალებას მოგვცემს გათვალისწინებული იქნას ბავშვთა ასაკი, სურვილები და მისწრაფებები.

კათედრის მუშაობის ძირითად ფუნქციებად მიგვაჩნია:

- კლასის დამრიგებელთა საქმიანობის კოორდინაცია;
- წარმატებული გამოცდილების გაზიარება;
- პრობლემის გამომჟღავნება და მისი გადაჭრის გზების ძიება;
- საგნის მასწავლებელთან შეთანხმებული მუშაობა;
- პროფესიული განვითარების გზების დასახვა;
- რეკომენდაციების შემუშავება ცალკეულ მოსწავლესთან ან მოსწავლეთა ჯგუფთან მუშაობისთვის;
- საჭიროებისამებრ კლასის დამრიგებლისადმი დახმარების ფორმების განსაზღვრა;
- სხვადასხვა წამოჭრილ საკითხებზე კონსულტაციის, ინსტრუქტაჟის, ლექციის ჩატარების ორგანიზება.

კათედრის თავმჯდომარის არჩევა სასურველია ერთი წლის ვადით.

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

- რეგულარული შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგით გათვალისწინე-ბული ღონისძიებების ჩატარება, განსახილველი საკითხების მომზადება);
- საჭიროების შემთხვევაში ოქმებისა და სხვა საბუთების მომზადება;
- კათედრის გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის ადმინისტრაციისთვის (საჭიროების შემთხვევაში);
- პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო ღონისძიებების ორგანიზება: ტრენინგების, სემინარების, კონფერენციების მოწყობა.

კათედრას შეუძლია დააწესოს წამახალისებელი პრიზი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. კათედრის წევრები რეგულარულად შეიკრიბებიან არანაკლებ თვეში ერთხელ მაინც. აუცილებელია შეკრება სასწავლო წლის დასაწყისში, სასწავლო წლის ბოლოს შეფასდება, თუ რა ხარისხით იქნა შესაძლებელი შედეგების მიღწევა.

კათედრა სასარგებლო საშუალებაა კათედრა კლასის დამრიგებელთა გუნდური თანამშრომლობისა და სააღმზრდელო პროცესის გარდაქმნა-გაუმჯობესებისთვის.

კლასის დამრიგებელთა კათედრა მუშაობს გეგმის მიხედვით. გეგმის მრავალი ვარიანტის გაცნობის შემდეგ, შევჩერდით ფორმაზე, რომელიც შედგენილია

დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების მეთოდის გამოყენებით. წინასწარ შედგენილი კითხვების მიხედვით, კლასის დამრიგებელთა საქმიანობა დაიყო სამი მიმართულებით: ა) დამრიგებლები, რომელთაც ამა თუ იმ პრობლემის შესახებ აქვთ გარკვეული გამოცდილება და შეუძლიათ მისი სხვებისთვის გაზიარება; ბ) დამრიგებლები, რომლებიც ხედავენ პრობლემას და თავად მუშაობენ მისი გადაჭრისათვის; გ) დამრიგებლები, რომელთაც პრობლემის გადაჭრაში დახმარება სჭირდებათ.

ამგვარი მიდგომის საშუალებით გამოვლინდება მიღწეული, განსახორციელებული საქმიანობა და გადასაჭრელი პრობლემები. შევიმუშავეთ კლასის დამრიგებელთა კათედრის სამუშაო პროგრამაში გასათვალისწინებელი საკითხების ნუსხა გეგმის მიმართულებათა მიხედვით. კერძოდ:

დიალოგი

თემა: კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი კლასში - თავსატეხი თუ პედაგოგიური შესაძლებლობებისა და უნარების დემონსტრირების საშუალება?

შეხვედრები

შეხვედრები კლასის საგნის მასწავლებლებთან. შეხვედრის თემა: ,,კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის სწავლებისადმი დამოკიდებულება და სწავლის შესაძლებლობის დონე''.

მშობელთან ერთად

მშობლებს თანამშრომლობა სურთ (თანამშრომლობის ფორმების განხილვა).

ლექცია შეკვეთით

ბავშვის უფლებებათა დაცვის კონვენცია.

კონსულტუცია (ხშირად დასმული შეკითხვები)

სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით, კონსულტაცია სკოლის ფსიქოლოგთან, ექიმთან, ექთანთან, სოციალურ მუშაკთან (სკოლაში ასეთი თანამდებობების არსებობის შემთხვევაში).

მოსწავლეები გვირჩევენ

მჭირდება ამდენი რჩევა-დარიგება? როდის მოვასწრო მათი შესრულება?

გაკვეთილი ''ევრიკა''

ღია გაკვეთილი, რომელშიც ნაჩვენები იქნება მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის დონე.

საინფორმაციო საათი

სიახლენი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით.

გამოცდილების გაზიარება

შემობრუნება სიკეთისკენ.

ინსტრუქტაჟი

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა კატეგორიები.

საქმიანი თამაში

,,მე დავბრუნდი....''

სემინარი

თემა: ,,მე ვარ პიროვნება''.

კათედრის გეგმაში გასათვალისწინებელი ზოგირთი საკითხი განხილულია ნაშრომში. წარმოგიდგენთ კათედრის საქმიანობის ამსახველ ზოგიერთ მასალას.

ა) სემინარის თემა: ,,მე ვარ პიროვნება''.

სემინარის მუშაობის ფორმა - ჯგუფური.

მეთოდები: კომენტარი, პრეზენტაცია, მსჯელობა, ტესტირება.

I ჯგუფის სამუშაო თემა: პიროვნების არსი, ღირებულებები და პრინციპები.

ინფორმაცია განმარტებისათვის:

ადამიანი დაბადებისთანავე უნიკალურია, თუმცა ჯერ კიდევ არ არის პიროვნება. არავინ საუბრობს ახალშობილი ბავშვის პიროვნულობაზე, რადგან პიროვნებად არ იბადებიან, პიროვნებად ყალიბდებიან. პიროვნება ვითარდება საზოგადოებაში ადამიანებთან ურთიერთობისას. ამ დროს ადამიანი სწავლობს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი, იძენს სხვებთან თანაარსებობის უნარ-ჩვევებს, უყალიბდება ხასიათი და ნებისყოფა.

პიროვნების ღირებულებები მიგვანიშნებს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი და ძვირფასი ცხოვრებაში, რა მოსწონს, რას მიიჩნევს კარგად. მაგალითად: სიკეთე, გულახდილობა, გულუხვობა, სამშობლოს სიყვარული. ღირებულებებზე

დაყრდნობით, პიროვნება შეიმუშავებს პრინციპებს - ქცევის ზოგად წესს მთელი ცხოვრებისათვის.

პრეზენტაცია: ჯგუფის ლიდერი წარმოადგენს მოსაზრებებს, გამოხატავს ჯგუფის დამოკიდებულებას.

II ჯგუფის სამუშაო თემა: მიზნის დასახვა.

ზოგადი განმარტებები:

მიზანი არის სასურველი შედეგი ან მდგომარეობა, რომლის მიღწევაც გვინდა. არსებობს მიზნების ოთხი კატეგორია:

- ყოველდღიური მიზნები (მაგ.: საშინაო დავალების მომზადება, ოთახის დასუფთავება);
- მოკლევადიანი მიზნები: ასეთი მიზნები რამდენიმე კვირაში უნდა იქნეს მიღწეული;
- საშუალოვადიანი მიზნები: ასეთი მიზნები რამდენიმე თვიდან - წლამდე პერიოდის განმავლობაში მიიღწევა (მაგ.: სასწავლო წლის წარმატებით დასრულება, სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვება);
- გრძელვადიანი მიზნები: ასეთი მიზნების მიღწევას წლები სჭირდება.

II ჯგუფის მონაწილენი იმსჯელებენ თავის მიზნებზე. ადგენენ თავიანთ დროის ხაზს და აღნიშნავენ ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

III ჯგუფის სამუშაო თემა: პიროვნების ხასიათი და ტემპერამენტი.

ზოგადი განმარტებები: განმარტების სახით III ჯგუფს მიეწოდება ამონარიდი წიგნიდან ,,ზოგადი ფსიქოლოგია'' (დიმიტრი უზნაძე. თბილისი - 2006).

,,ტემპერამენტის ცნება მეცნიერებაში მედიცინის მამამთავარმა, ჰიპოკრატემ, შემოიღო და ის კლასიფიკაცია, რომელიც მან მოგვცა, დღემდე უცვლელადაა დაცული. მის მიხედვით, ტემპერამეტის ოთხ ტიპს განასხვავებენ: სანგვინიკურს, ფლეგმატიკურს, ქოლერიკულსა და მელანქოლიკურს'' (უზნაძე 2006:160).

სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანი სასიამოვნო განცდებისკენაა მიდრეკილი: იგი უდარდელია; კარგს უფრო ელის ცხოვრებაში, ვიდრე ცუდს; გულკეთილია, მხიარული, ადვილად აინთება, მაგრამ ადვილადვე ქრება.

ფლეგმატიკური ტემპერამენტი ამის საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენს: იგი გულგრილია, თითქმის აპათიური, აფექტები მისთვის უცხოა; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოდ უგრძნობელი იყოს. არა! მისთვის ისაა დამახასიათებელი, რომ ემოცია იშვიათად და ნელა უჩნდება: აფეთქება მან არ იცის. სამაგიეროდ, თუ აინთო, დიდხანს არ ქრება.

ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანს ემოცია ადვილად უჩნდება, რითაც იგი სანგვიკს მოგვაგონებს, მაგრამ მისგან განსხვავებით, უფრო ინტენსიურად და ხანგრძლივად ემორჩილება მას. მბრძანებლობა უყვარს, მორჩილება არა, ამაყია და ხარბი. ადვილად გამოდის მოთმინებიდან, ახასიათებს განრისხება და მეტწილად ყველაფერზე გაჯავრებულია.

მელანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანებში ჭარბობს უარყოფითი ემოციები. მათთვის ჩვეულებრივია ნაღვლიანობა, ცუდ გუნებაზე ყოფნა, უიმედობა.

III ჯგუფის წევრები განიხილავენ ტემპერამენტის ტიპებს, მსჯელობენ ხასიათის გარკვეულ თავისებურებებეზე.

სემინარის შედეგების დონის განსაზღვრისათვის ჩატარდება ტესტირება ორ ეტაპად: სემინარამდე და სემინარის შემდეგ.

ბ) გამოცდილების გაზიარება.

გამოცდილების გაზიარება სტიმულია გამოცდილების მქონე პირისათვის, ახალი წარმატების მოპოვების საშუალებაა გამზიარებლისათვის.

,,პირველ რიგში, სკოლა აუცილებლად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი მთლიანი გარემო. სკოლის კოლექტივი უნდა შეთანხმდეს იმაზე, რომ ერთ გუნდად იმუშაოს და თავი მოუყაროს მთელ თავის გამოცდილებას, უნარ-ჩვევებსა და ძლიერ მხარეებს, რათა გადაწყვიტონ, როგორ დაეხმარონ მოსწავლეებს, სკოლას, ვინ უნდა შეასრულოს კონკრეტული საქმიანობები.

სკოლამ უნდა იმსჯელოს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს გარემოს სწავლისთვის და შეთანხმდეს, რომელი სფერო ითხოვს განვითარებას'' (საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება 2009:44-45).

კლასის დამრიგებელთა კათედრა სკოლის საქმიანობის ერთი რგოლი იქნება და აქ წარმოდგენილი გამოცდილება შენაძენია სკოლის მთლიანი გამოცდილებისთვის.

გამოცდილების გაზიარება საკუთარ თავზე დიდი პასუხისმგებლობის აღებაა, ამასთან, სხვისთვის თავის მოწონების სურვილი, წახალისების მოტივაცია და ახლის შექმნით გამოწვეული სიხარულის განცდაც ახლავს თან.

გამოცდილების გაზიარება თემაზე: „ბავშვების შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა და მისი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელება".

გამოცდილების გაზიარების მსურველებს მიემართება თხოვნით:

„შეავსეთ კლასის დამრიგებლის გამოცდილების შედეგების შეფასების ფურცელი და გვიამბეთ, რაზე დაგაფიქრათ, რით გაგახარათ გამოცდილების შედეგებმა?

კითხვარები ორიენტაციისთვის:

- სიახლე კლასის დამრიგებლის აღმზრდელობით საქმიანობაში.
- როგორ შეძლო გამოემჟღავნებინა მოსწავლეთა სოციალური აქტიურობის პოზიცია და რაში დასჭირდა იგი?
- მონაცემთა ბანკის შექმნისთვის მხოლოდ დამრიგებელმა განახორციელა საქმიანობა თუ სხვაც დაეხმარა? (ვინ? როგორია დახმარების მიმართ ნდობის ხარისხი?);
- დაგეგმილ ღონისძიებათაგან რომელი მიიჩნიეთ ეფექტურად?
- როგორ შესძლო საქმიანობის წარმართვა ისე, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს თავი უხერხულად არ ეგრძნო?
- რა შეიცვალა მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობაში?
- რა შეიცვალა ბავშვის ქცევებში?
- როგორ აპირებთ გამოცდილების გაზიარებას? გაუმჯობესებაზე ფიქრობთ?

ეს სავარაუდო კითხვებია, შესაძლოა, სხვა კითხვებიც გაჩნდეს გამოცდილების გაზიარების პროცესში. შეკითხვების შემდეგ გაიმართება აზრთა ურთიერთგაცვლა, შეფასდება გამოცდილებით მიღწეული შედეგები შემდეგი მახასიათებლებით: დამაკმაყოფილებელია, კარგია, საჭიროებს გაუმჯობესებას.

სკოლის დონეზე კვალიფიკაციის ამაღლება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ კლასის დამრიგებლებთან ერთად ეხება სკოლის ფსიქოლოგებს, სკოლის ადმინისტრაციას, სკოლის ექიმს, ექთანს, სოციალურ მუშაკს (სკოლაში ასეთი თანამდებობების არსებობის შემთხვევაში).

იმ ადამიანებისთვის ტრენინგის/სემინარის დაგეგმვის დროს, ვინც კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობენ, საჭიროა სხვადასხვა, ისეთი სპეციფიკური საკითხების გათვალისწინება, რომელთანაც ტრენინგის მონაწილეებს სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში უხდებათ შეხება.

კვალიფიციური კომპეტენციის მიღწევისათვის განხორციელებული ღონისძიებების გაცნობისა და განხილვის შემდეგ, ჩატარებულ შეხვედრებზე გაიმართა **დიალოგი** – ,,რა შემატა ჩემს კვალიფიციურ მზადყოფნას კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობისათვის განხილულმა საქმიანობამ?''

შეხვედრის მონაწილეებმა თავიანთი შეხედულება წარმოადგინეს წერილობით ან ზეპირად, წარმოდგენის პირობა იყო შემდეგი: ათვლის წერტილად გაეთვალისწინებინათ ღონისძიებაში მონაწილეობამდე არსებული ვითარება კლასში, საკუთარი შესაძლებლობის დონე. პრეზენტაციის დრო არ შეგვიზღუდავს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ კლასის დამრიგებლები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სკოლის ფსიქოლოგები, დაინტერესებული პირები.

შეხვედრაზე გამოთქმული შეხედულებების ჩაწერა ხდებოდა დიქტოფონზე. ჩანაწერის გაანალიზებას აწარმოებდა ორი ჯგუფი 3-3 წევრის შემადგენლობით და დისერტანტი. სამივე მონაცემის შედარებითი ანალიზის შემდეგ ჩამოყალიბდა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან სკოლის დონეზე მუშაობის დარგობრივი კომპეტენციები. კომპეტენციების ჩამონათვალის შედგენის საფუძვლად მივიჩნიეთ ,,საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩო'' (2009), ევროპაში საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობისათვის განხორციელებულ პროექტ ,,თუნინგის'' (2008-2010) შედეგები.

კომპეტენციების ჩამონათვალი გაეცნო შეხვედრის მონაწილეებს შეკითხვის წესით, ანუ დაურიგდა თითოეულს ცალ–ცალკე. მათ შეეძლოთ მათთვის მისაღები კომპეტენცია აღენიშნათ, მიუღებელი კი გადაეშალათ. გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით ჩამოყალიბდა საბოლოო ვარიანტი.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის კვალიფიციური, დარგობრივი კომპეტენციები

ა) კლასის დამრიგებლის დონეზე

- პრობლემის გაცნობიერება;
- პრობლემას შეხედო არა შიშით, არამედ წარმატების შესაძლებლობის რწმენით;
- მიზნის შესაბამისი, შედეგებზე გათვლილი სააღმზრდელო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება;
- მეთოდებისა და ხერხების საჭიროებისამებრ შერჩევა და გამოყენება;
- სწავლება/სწავლის უკეთესი შედეგების მისაღწევად ბავშვთან და საგნის მასწავლებელთან შეთანხმებით დამატებითი მეცადინეობის, ინსტრუქტაჟის, კონსულტაციის დაგეგმვა და ორგანიზება;
- სიტუაციის შესაბამისი მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება შედეგებზე გათვლით;
- მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია;
- სოციალური პედაგოგიკის, სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნის საჭირო სიტუაციებში გამოყენება;
- პრობლემური ქცევის შემჩნევა და მართვა, შფოთვის, სტრესის, დეპრესიის ამოცნობა და დახმარების გზების პოვნა;
- სასწავლო გარემოში არსებული ვითარების ყურადღებით განხილვა, გააზრება და ქმედების წარმართვა მათი შეცვლისათვის;
- ერთი ბავშვის წინაშე არსებული წინააღმდეგობის დაძლევაში დასახმარებლად მთელი კლასის მობილიზება;
- სასკოლო მრავალფეროვანი ღონისძიებების მიზნობრივი ორგანიზება;
- საქმიანობის წარმართვა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის მიხედვით;
- საჭიროების შემთხვევაში დახმარების სწორი გზის ძიება სკოლის გარეთ;
- ზრუნვა საკუთარი კვალიფიკაციის დონის ამაღლებაზე.

ბ) სკოლის ადმინისტრაციის დონეზე

- მართვის გამჭვირვალე, ობიექტური, დემოკრატიული სტილი;

- უსაფრთხო, ჯანსაღი, კეთილგანწყობილი, მოწესრიგებული გარემოს შექმნისას, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან საქმიანობის გათვალისწინება. მათდამი ნდობისა და დახმარების სისტემის შექმნა;
- რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვებისადმი სწავლაში წარმატების მისაღწევი ღონისძიებების გატარება;
- ზრუნვა ბავშვთა უფლებების დაცვისთვის;
- ბავშვთა სოციალური დაცვის სახელმწიფო ინტერესების გატარება საერთაშორისო კონვენციების, აქტების, დეკლარაციებისა და რეკომენდაციების მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- კლასის დამრიგებელთა კათედრის მუშაობა (არსებობის შემთხვევაში);
- კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების კლასის დამრიგებელთა მუშაობის კოორდინირება კათედრის მეშვეობით;
- ბავშვთა მხარდასაჭერად ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- სკოლის ფსიქოლოგის, ექიმის, ექთნის, სოციალური მუშაკის სამსახურების გაუმჯობესება და პრობლემებზე ფოკუსირება (თუ ასეთი თანამდებობები არ არის სკოლებში - სასურველია თანამდებობების შემოღება და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა);
- საჭიროების შემთხვევაში სემინარების, ტრენინგების ორგანიზება;
- ბავშვის, კლასის დამრიგებლის საჭიროებებზე რეაგირება და დახმარება;
- ინფორმაციის მიღებით და ანალიზით დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება მოსწავლის სასარგებლოდ;
- გაცნობიერება იმისა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობაში წარმატება მიიღწევა ყველა რესურსის ამოქმედებითა და კოორდინირებით;
- თანამშრომლობა, პრიორიტეტის განსაზღვრა და დროის ეფექტური მენეჯმენტი;
- კონტაქტი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ოჯახებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა ალტერნატიულ ინსტიტუციებთან.

ჩამოთვლილი კომპეტენციების მიღწევისათვის სასარგებლოა საქმიანობის ის ფორმები, რომლებიც აღწერილია ამ პარაგრაფში და განფენილია ნაშრომში.

აღსანიშნავია, რომ კომპეტენციების ფორმირების საკითხი დგას ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ყველა დარგის სპეციალისტის წინაშე. ამ მიმართებით საინტერესო გამოკვლევები მიმდინარეობს. საყურადღებოდ მივიჩნიეთ ვიტალი ბოჩაროვის ნაშრომი (2005) სოციალური კომპეტენციების ფორმირების შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოების სპეციალისტთა მომზადების პროცესში. ,,შინაგან საქმეთა ორგანოების მომავალი სპეციალისტის სოციალური კომპეტენციის ფორმირების პროცესი პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს ოთხი ძირითადი მიმართულებით: 1) სწავლულთა ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება; 2) პროფესიული ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარება; 3) მსოფლმხედველობის, სულიერი ღირებულებებისა და მორალური პრინციპების ფორმირება; 4) პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება'' (ბოჩაროვი 2005:38)

კომპეტენციათა განსაზღვრა ხელს შეუწყობს მკაფიოდ წარმოჩნდეს კვალიფიკაციის რა დონეა მისაღწევი სასურველი შედეგის მისაღებად. იგი იძლევა მიღწევის შეფასების საშუალებასაც.

§ 2. სკოლის გარეთ, ალტერნატიულ ორგანიზაციებში დასაქმებულ სპეციალისტთა კომპეტენტურობის მახასიათებლები

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები სკოლაში რეინტეგრაციის მიღმაც რჩებიან. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ბავშვებისათვის შეიძლება მუშაობდეს სპეციალური პროგრამები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული სტრუქტურები. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ალტერნატიულ ორგანიზაციათა რაოდენობა, რომლებიც ბავშვთა დახმარების მიზნით სხვადასხვა პროექტს ახორციელებენ. ისინი სასარგებლო საქმიანობას ეწევიან.

უმთავრესი მაინც ის არის, თუ ვინ მუშაობს ბავშვებთან. მხედველობაშია მისაღები, რომ სკოლაში პედაგოგიური საქმიანობა მხოლოდ კანონთან კონფლიქტში

მყოფ ბავშვებთან როდი მიმდინარეობს, იგი ორიენტირებულია ბავშვის ირგვლივ არსებულ ვითარებაზე და გაწეული საქმიანობა მთელი კლასისთვის არის სასარგებლო, რაც ერთგვარი დახმარებაა. პროექტების განხორციელება ან სხვა ალტერნატიული ორგანიზაციების საქმიანობა, ძირითადად, უშუალოდ დანაშაულის ჩამდენი ან დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილი ბავშვებისათვის არის გამიზნული. თითოეული სპეციალისტის კომპეტენტურობა ხშირად გადამწყვეტია.

ერთ–ერთი აუცილებელი მახასიათებელი არის სოციალური კომპეტენციის ფორმირება.

სოციალური კომპეტენციის სახე ვლინდება ცხოვრების ყველა სფეროში და მისი ფორმირების ხარისხზეა დამოკიდებული ადამიანის ორიენტირება სხვადასხვა სოციალური სიტუაციის მიმართ.

სოციალურ-მსოფლმხედველობითი კომპეტენცია მოიცავს შესაძლებლობას – გაიგო ისტორიული მოვლენა და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, განსაზღვრო საკუთარი პოზიცია გარემომცველი სინამდვილის მიმართ, ჩამოაყალიბო საკუთარი შეხედულებები და პრინციპები, საკუთარი მოქმედება აღიქვა, როგორც ისტორიული და აიღო პასუხისმგებლობა მის არჩევაზე.

სოციალურ-პოლიტიკური კომპეტენცია არის მზადყოფნა და ჩვევა – იცხოვრო და იმუშაო სამართლებრივ ველში, ფლობდე სოციალური და პირადული ურთიერთობების მექანიზმს, გაიგო საკუთარი ადამიანური შესაძლებლობები და განსაზღვრო მისი გამოყენების არეალი.

სოციალურ-კულტურული კომპეტენცია გულისხმობს სხვა ეროვნების წარმომადგენლის მოსმენას, გაგებას, უცხო კულტურის, ნებისმიერი ინდივიდუალობის პატივისცემას, განსხვავებული რელიგიური და კულტურული შეხედულებების ადამიანებთან დიალოგის წარმართვის უნარს.

სოციალური კომპეტენციების ფორმირება – ეს არის პროფესიონალიზმის მაჩვენებელი. თანამედროვე სპეციალისტს მოეთხოვება იყოს აქტიური, მოქმედი, არასტანდარტული აზროვნების, შეცვლილ პირობებში ორიენტირების უნარის მქონე, სწორი გადაწყვეტილების მიმღები, სხვისი დამხმარე; იყოს მზად სოციალური ურთიერთობებისათვის, ფლობდეს უნარსა და შესაძლებლობებს პიროვნებათაშორის

კომუნიკაციისათვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკისათვის, იცავდეს კანონებს, ზრუნავდეს ჯანმრთელობაზე, გრძნობდეს პასუხისმგებლობას საკუთარი მოვალეობის და გარშემომყოფთა მიმართ, განსაზღვრავდეს თავისი საქმიანობის მიზანს და შედეგებს.

სოციალური კომპეტენცია ძირითადად ზოგად კომპეტენციას განეკუთვნება. იგი ვლინდება საქმიანობის ყველა სფეროში და მისი ფორმირების ხარისხზეა დამოკიდებული ადამიანის ორიენტირება სხვადასხვა სოციალური სიტუაციის მიმართ.

ზოგადი სოციალური კომპეტენცია წარმოადგენს პიროვნების სოციუმთან ინტეგრირებისა და პიროვნული მნიშვნელობის გამოვლენას. იგი მრავალფეროვანია: სოციალური ურთიერთობისათვის მზაობა, ახალ გარემოში ადაპტირება, შეცვლილ პირობებში ორიენტირება, ცვლილებებისადმი შეგუება, ინფორმაციის მართვა, პასუხისმგებლობა და მოვალეობა გარშემომყოფთა მიმართ, სხვისი დახმარებისთვის მზადყოფნა, სიტუაციის შესაფერისი გადაწყვეტილების მიღება, გუნდური მუშაობა, წყვილებში მუშაობა და ა.შ.

სოციალური კომპეტენციის ფორმირება იწყება ადრეულ ასაკში და ფორმირდება სოცოცხლის განმავლობაში. კომპეტენციის ფლობის გარკვეული ხარისხის მიღწევის შემდეგ, სოციალური კომპეტენცია უწყვეტად განვითარდება პრაქტიკისა და განათლების მეშვეობით.

სოციალური კომპეტენციის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრია კომპეტენციის რაობის, მისი მიღწევის საჭიროების გაცნობიერებას, მიღწევისა და გამოყენების დონის შეფასებას.

სოციალური კომპეტენციის ფორმირების პროცესი ვითარდება რამდენიმე მიმართულებით: როგორ იცხოვრო სხვებთან ერთად კეთილურთიერთობით, ზნეობრივად, სამართლებრივად; როგორ იმოქმედო რეალურობის შესაფერისად და საჭიროების შემთხვევაში როგორ შეცვალო იგი; როგორ შესძლო საკუთარი შეხედულებების, უნარების განვითარება და გამოვლენა.

სოციალური კომპეტენციის ფორმირებაში მნიშვნელოვანია სისტემური მიდგომა. იგი გულისხმობს სასწავლო პროცესის ეფექტურ ორგანიზაციას სწავლების ყველა საფეხურზე, მომავალი სპეციალისტების პროფესიული და პიროვნული მახასიათებ-

ლების განსაზღვრას, სპეციალისტის მომზადებისა და დასაქმების მოთხოვნების შესაბამისობას, კომპეტენციების განვითარების დინამიკის განსაზღვრას.

არსებული ვითარების ანალიზის გზით, ალტერნატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით, პირადი გამოცდილებით განვსაზღვრეთ ის კომპეტენციები, რომელთა მიღწევა სასურველია ალტერნატიულ ორგანიზაციებში დასაქმებული სპეციალისტებისათვის. აქ განვიხილავთ ორ დონეს:

I დონე - დასაქმებისათვის სპეციალისტთა შერჩევა;

II დონე - დასაქმებულ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მისაღწევი კომპეტენციები.

გთავაზობთ გამოცდილებით შემოწმებულ კომპეტენციათა ჩამონათვალს:

I დონე - დასაქმებისათვის სპეციალისტთა შერჩევისათვის:

- პრობლემის გაცნობიერება;
- მიზნის შესაბამისი, შედეგებზე გათვლილი სააღმზრდელო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება;
- სიტუაციის შესაბამისი მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება შედეგებზე გათვლით;
- პრობლემური ქცევის შემჩნევა და მართვა, შფოთვის, სტრესის, დეპრესიის ამოცნობა და დახმარების გზების პოვნა;
- საქმიანობის წარმართვა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის მიხედვით.

II დონე - დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონის ამაღლებისათვის მისაღწევი კომპეტენციები.

- ბავშვის ოჯახთან, მეგობრებთან, სკოლასთან, მის აღზრდასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან და პირებთან მუშაობის უნარი;
- პრობლემის დანახვა არა შიშით, არამედ წარმატების შესაძლებლობის რწმენით;
- მიზნის შესაბამისი, შედეგებზე გათვლილი სააღმზრდელო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება;
- მეთოდებისა და ხერხების საჭიროებისამებრ შერჩევა და გამოყენება;

- სიტუაციის შესაბამისი მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება შედეგებზე გათვლით;
- მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია;
- პრობლემური ქცევის შემჩნევა და მართვა, შფოთვის, სტრესის, დეპრესიის ამოცნობა და დახმარების გზების პოვნა;
- საქმიანობის წარმართვა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის მიხედვით;
- საჭიროების შემთხვევაში დახმარების სწორი გზის ძიება დაწესებულების, ორგანიზაციის გარეთ;
- ზრუნვა საკუთარი კვალიფიკაციის დონის ამაღლებაზე;

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან არასასკოლო გარემოში პედაგოგიური საქმიანობის წარმართვისათვის სათანადო კომპეტენციის მისაღწევად შესაძლებელია ჩატარდეს სპეციალური სემინარები, ტრენინგები, სასწავლო კურსები.

სასკოლო და სკოლის გარეთ, ალტერნატიულ ორგანიზაციებში სათანადო კომპეტენციის პედაგოგების, სპეციალისტების მიერ განხორციელებული პედაგოგიური საქმიანობა განაპირობებს სასურველი შედეგის მიღებას - კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სიკეთისკენ შემობრუნებას.

დასკვნები

- პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, იურიდიული წყაროების, უახლესი საერთაშორისო კვლების შედეგების ანალიზის მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ჯანსაღი ცხოვრებისაკენ შემობრუნებაში დახმარებისათვის პრიორიტეტი ენიჭება მიზანმიმართულ პედაგოგიურ საქმიანობას როგორც სასკოლო, ასევე არასასკოლო გარემოში.

- პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და იურიდიული თვალსაზრისით, განსაზღვრული ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება პედაგოგების, იურისტებისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მომუშავე სხვა სპეციალისტების მიერ ხელს უწყობს: ა) განისაზღვროს სასჯელის ისეთი ზომა, რომ ბავშვმა აღიქვას და გააცნობიეროს პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედებისათვის; ბ) ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის შერჩეულ იქნას შესაბამისი მეთოდები, ხერხები, საშუალებები.

- რეალური ვითარების შესწავლის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები არიან სკოლაშიც და სკოლის გარეთაც. სკოლაში მყოფი ასეთი ბავშვები კონტროლისა და ყურადღების ქვეშ არიან, მაგრამ მათთან სპეციალური მიზნობრივი საქმიანობა არ მიმდინარეობს. სკოლების უმრავლესობაში არ არის ფსიქოლოგის საშტატო ერთეულები. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის კუთხით არ აქვთ შემუშავებული პროგრამა.

- შეცვლილ გარემოში შეგუების, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ქცევის გარდაქმნის, აღზრდისა და განვითარებისათვის ეფექტური შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა შემდეგი პედაგოგიური საქმიანობა:

ა) ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა და მისი გადაჭრის სწორი გზის პოვნა;

ბ) კლასში ისეთი აღმზრდელობითი, ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვზე კეთილგავლენას და არა პირიქით;

გ) კლასის ქცევის მართვა და თვითმართვის განვითარება;

დ) კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებელთა შეთანხმებული მუშაობა სპეციალური გეგმით;

ე) სასკოლო გრანტების ამოქმედება მიზნობრივი პროგრამებისათვის;

ვ) საქმიანობაში ავტორიტეტული, ცნობილი მოღვაწეებისა და სპორტსმენების ჩაბმა;

ზ) ბავშვის ოჯახთან თანამშრომლობა.

- კანონთან კონფლიქტში მყოფი იმ ბავშვებისათვის, რომლებიც პატიმრობის დაწესებულებებიდან თავისუფლდებიან და გარკვეული პერიოდით ჩამოშორდნენ სკოლას, არ არსებობს განათლების გაგრძელების სრულყოფილი მექანიზმი, რის გამოც იქმნება შემზღუდავი ბარიერები და ბავშვები სკოლის გარეთ რჩებიან.

- კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სკოლაში რეინტეგრაციისას პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობით დადებითი შედეგების მისაღწევად სასურველია ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა:

ა) დადებითი სასწავლო გარემოს შექმნა;

ბ) მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

გ) ბავშვის სოციალური აქტიურობის პოზიციის გამოვლენა;

დ) ბავშვის შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა და მისი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი საქმიანობის წარმართვაში სკოლის ფსიქოლოგის, სკოლის ექიმის (ექთანის), სკოლის სოციალური მუშაკის ჩართვა;

ე) სასიცოცხლო უნარ-ჩვევების დაუფლება;

ვ) აღზრდის ნაცადი მეთოდების (მოსმენა, თავის თავზე დაკვირვება, თავის მორიდება, ერთგულება, არტთერაპია, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია და სხვ.) გამოყენება;

ზ) საჭიროების შემთხვევაში ეკლესიის შესაძლებლობების სასიკეთო ზეგავლენის ჩართვა.

- საქართველოსა და უცხო ქვეყნების გამოცდილებათა შესწავლა ცხადყოფს, რომ არასასკოლო გარემოში პედაგოგიური საქმიანობა ძირითადად მიმდინარეობს შემდეგი ფორმებით:

ა) მუნიციპალიტეტის დონეზე საგრანტო ან საბიუჯეტო პროგრამები;

ბ) პროექტი ,,ჩემი უფროსი მეგობარი'';

გ) პროექტი ,,განრიდება/მედიაცია'';

დ) პროექტი ,,მინდობით აღზრდა'';

ე) არასამთავრობო ორგანიზაციების საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო პროგრამები;

- კვლევის შედეგების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი, სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების სკოლაში რეინტეგრაციის, ან პროფესიული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად ეფექტურია ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა:

ა) მოკლევადიანი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ჯგუფების შექმნა;

ბ) დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა;

გ) ფსიქოანალიტიკური კაბინეტის ამოქმედება სათანადო პროგრამით;

დ) მინდობით ოჯახები კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის.

- კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან სკოლაში განსახორციელებელი პედაგოგიური საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად ხელისშემყობია კვალიფი-კაციის ამაღლებისთვის განსაზღვრული კომპეტენციები სხვადასხვა დონეზე:

ა) კომპეტენციები კლასის დამრიგებლისათვის;

ბ) კომპეტენციები კლასის დამრიგებელთა კათედრისათვის (არსებობის შემთხვევაში);

გ) კომპეტენციები სკოლის ადმინისტრაციისათვის.

კომპეტენციათა მიღწევის მახასიათებლები შეირჩევა შემდეგი პრინციპებით:

ა) კლასის შემადგენლობის გათვალისწინება;

ბ) აღმზრდელობითი საქმიანობისათვის შედეგებზე ორიენტირებული მეთოდების შერჩევა;

გ) ბავშვის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა;

დ) თანამშრომლობა სხვადასხვა სპეციალისტებთან;

ე) თვითშეფასება.

- ბოლო პერიოდში იმ ალტერნატიული ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა, რომლებიც ბავშვთა დახმარების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით წარმართავენ პედაგოგიურ საქმიანობას, განაპირობებს ზრუნვას სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიმართებით წარმატებული შედეგის მიღწევას ხელს უწყობს კომპეტენციათა განსაზღვრა ორ დონეზე:

ა) კომპეტენციები დასაქმებისათვის სპეციალისტთა შერჩევისათვის;

ბ) დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მისაღწევი კომპეტენციები.

- გამოცდილებით დადასტურებულია, რომ განსაკუთრებით ეფექტურია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის პროცესში სოციალური კომპეტენციების დაუფლება ბავშვების მიერ, რაც ხელს უწყობს დაეხმაროს, როგორ იცხოვროს სხვებთან ერთად კეთილურთიერთობით, ზნეობრივად, სამართლიანად, იმოქმედოს რეალობის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს იგი; შეძლოს საკუთარი შეხედულებებისა და უნარების გამოვლენა-განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ალავიძე 2009:** ალავიძე ინგა. ,,ბავშვი და სამართალი''. ,,გაეროს'' განვითარების პროგრამა (UNDP). თბილისი, 2009.

2. **ამონაშვილი 1988:** ამონაშვილი შალვა. ,,თანამშრომლობის პედაგოგიკა''. თბილისი, 1988.

3. **ამონაშვილი 1977:** ამონაშვილი შალვა. ,,აღმზრდელობითი სწავლების საფუძვლები''. ჟურნ. ,,სკოლა და ცხოვრება'' N3

4. **ახალი განათ. 2006**: ,,ახალი განათლება'' 7-13 დეკემბერი. N42(343) ,,სისტემაში არსებული ხარვეზები - ბავშვთა კრიმინალიზაციის ხელშემწყობი პირობა''

5. **ბალანჩივაძე 2011:** ბალანჩივაძე რეზო. ,,ანთროპოლოგიური პედაგოგიკა''. გამომცემლობა ,,უნივერსალი''. თბილისი, 2011.

6. **ბანძელაძე 1969:** ბანძელაძე გელა. ,,ეთიკა''. სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის თბილისი, 1969.

7. **ბანძელაძე 1976:** ბანძელაძე გელა ,,მაღალზნეობრივი კულტურის დამკვიდრებისათვის''. თბილისი, 1976.

8. **ბარამიძე 1989:** ბარამიძე ნოდარ. ,,ნებისყოფა, მოთხოვნილება და სწავლა''. გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა''. ბათუმი, 1989.

9. **ბარამიძე 1999:** ბარამიძე ნოდარ. ,,ფსიქოლოგიური ნარკვევები, წერილები, სტატიები''. ,,გამომცემლობა აჭარა''. ბათუმი, 1999.

10. **ბასილაძე 2000:** ბასილაძე იმერი. ,,გაბრიელ ეპისკოპოსის ქრისტიანული პედაგოგიკა''. ქუთაისი, 2000.

11. **ბაძაღუა 2006:** ბაძაღუა მალხაზ. ,,იურიდიული პედაგოგიკა''. თბილისი, 2006.

12. **ბაძაღუა 2008:** ბაძაღუა მალხაზ. ,,პედაგოგიური მიდგომები კრიმინოლოგიაში''. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,კრიმინოლოგი''. თბილისი, 2008. №1(2)

13. **ბიბილეიშვილი 1993**: ბიბილეიშვილი იური. ,,ფიქრები აღზრდაზე''. გამომცემლობა ,,აჭარა''. ბათუმი, 1993.

14. **ბიბილეიშვილი 2009**: ბიბილეიშვილი იური. ,,სწავლების ფუნქციები''. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტომი XI. ბათუმი, 2009.

15. **ბიბილეიშვილი 2002**: ბიბილეიშვილი ლუბა, ტუღუში მამია. ,,სოციალური პედაგოგიკა''. თბილისი, 2002.

16. **გაგუა 1973:** გაგუა ვლადიმერ. ,,ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდა ოჯახში'' (წიგნში ,,ბავშვის აღზრდა ოჯახში''). თბილისი, 1973.

17. **განრიდება 2010:** http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=652&info_id=3529 (2011 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით)

18. **გიორგაძე 2011:** გიორგაძე ალექსანდრე. ,,არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი''. წიგნში ,,არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები'' გამომცემლობა ,,მერიდიანი''. თბილისი, 2011.

19. **გობრონიძე 2000:** გობრონიძე ალექსანდრე. "პედაგოგიკა" გამომცემლობა ,,აჭარა''. ბათუმი, 2000.

20. **გობრონიძე 2001:** გობრონიძე ალექსანდრე. ,,ზნეობა''. ბათუმი, 2001.

21. **გოგებაშვილი 1989:** გოგებაშვილი იაკობ. თხზ. ტომი II. გამომცემლობა ,,განათლება''. თბილისი, 1989.

22. **გოგიჩაიშვილი 1992:** გოგიჩაიშვილი თ. ,,გარდამავალი ასაკის მოზარდის ემოციები და ნებელობა''. ჟურნ. ,,სკოლა და ცხოვრება'' № 8-9 თბილისი, 1992.

23. **გოძიაშვილი 1998:** გოძიაშვილი ი. ,,კრიმინოლოგია'' თბილისი, 1998.

24. **დარჩია 1984:** დარჩია დიმიტრი. ,,ბავშვთა აღზრდა ოჯახში''. თბილისი, 1984.

25. **დოღონაძე 2000:** დოღონაძე მ. ,,სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები''. თბილისი, 2000.

26. **ენდელაძე 2008:** ენდელაძე ნინო, ჯაყელი ნანა. „არასრულწლოვანთა დანაშაული, როგორც საზოგადოების ისტორიულად ჩამოყალიბებული, განვითარებადი და არსებული მოვლენა". ჟურნ. ,,კრიმინოლოგი'' 2(3). თბილისი, 2008.

27. **ერიქსონი 2008:** ერიკსონი ე. ,,ფსიქოსოციალური განვითარების თეორია''. წიგნში ,,განვითარებისა და სწავლის თეორიები''. თბილისი, 2008.

28. **თავდგირიძე 2007:** თავდგირიძე ლელა. ,,სწავლების თავისებურებები უმაღლეს სკოლაში''. აწს-ს შრომები. ქუთაისი, 2007.

29. **თავზიშვილი 1968:** თავზიშვილი გ. ,,პედაგოგიკის ზოგადი დაფუძვლები''. გამომცემლობა ,,განათლება''. თბილისი, 1968.

30. **იმედაძე 2008:** იმედაძე ნ. ,,განწყობის თეორია''. წიგნში ,,განვითარებისა და სწავლის თეორიები". თბილისი, 2008.

31. **კვასტი 2007:** ე. კვასტი, ს. ლოუსი. ,,ძალადობა ბავშვების მიმართ - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა, დაპტირებული ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის''. თარგმანი: გაეროს ბავშვთა ფონდი. თბილისი, 2007.

32. **კვლევა 2010:** კვლევების მასალები. ,,დემოკრატიის ინსტიტუტი'' http://www.iod.ge/?mod=study&rubric=1 (2011 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით)

33. **კომენსკი 1950:** იან ამოს კომენსკი ,,რჩეული პედაგოგიური თხზულებები''. ,,დიდი დიდაქტიკა''. პედმეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა. თბილისი, 1950.

34. **კონვენცია 1989:** ,,ბავშვის უფლებათა კონვენცია'' მიღების თარიღი: 1989 წელი.

35. **კრიმინოლოგი 2008:** სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,კრიმინოლოგი'' №1(2). თბილისი, 2008.

36. **კრებული 2008:** ,,ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული''. პირველი ნაწილი. თბილისი

37. **კრებული 2010:** ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო კრებული''. ბათუმი, 2010.

38. **ლაიგი 2003:** ლინა ბ. ლაიგი. ,,ფსიქოლოგიურ სოციალური სიტუაციის მართვის პროცესი''. გაეროს ბავშვთა ფონდი. თბილისი, 2003.

39. **ლეკვეიშვილი 2011:** ლეკვეიშვილი მზია, შალიკაშვილი მორის, ,,არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები'' გამომცემლობა ,,მერიდიანი''. თბილისი, 2011.

40. **ლექსიკონი 2005:** უცხო სიტყვათა ლექსიკონი. რედაქტორი: აბსანძე გურამ. თბილისი, 2005.

41. **ლორთქიფანიძე 1957:** ლორთქიფანიძე დავით. ,,სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია, მეთოდები''. პედსაზოგადოების გამოცემა. თბილისი, 1957.

42. **მაკარენკო 1950:** მაკარენკო ანტონ "რჩეული პედაგოგიური თხზულებები" თბილისი, 1950.

43. **მაკარენკო: 1975:** მაკარენკო ანტონ. ,,პედაგოგიური პოემა''. გამომცემლობა განათლება. თბილისი, 1975.

44. **მაკარაძე 2009:** მაკარაძე ნანა, ,,სტრესი და სწავლა უმცროს სასკოლო ასაკში''. ბათუმი, 2009.

45. **მამულაძე 2009:** მამულაძე ნანა. ,,ხალხური პედაგოგიკა''. ბათუმი, 2009.

46. **მანჯავიძე 2008:** მანჯავიძე ირმა. ,,მოზარდის ფსიქო-სოაციალური თავისებურებები და მოტივაცია ნარკოტიკების მოხმარებისას''. ჟურნ. ,,კრიმონოლოგი'' #2(3). თბილისი, 2008.

47. **მასლოუ 2011:** http://www.abraham-maslow.com/amIndex.asp (2011 წლის 19 აპრილის მდგომარეობით)

48. **მასწ. პრ.ეთ. კოდექსი 2010:** ,,მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი'' (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ) 2010 წლის 14 ივლისი. თბილისი, 2010.

49. **მეგრელაძე 2009:** მეგრელაძე ციალა, მახარაშვილი ხათუნა, გელაძე გენადი. ,,სოციალური პედაგოგიკა'', შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2009.

50. **მეგრელაძე 2004:** მეგრელაძე ციალა. ,,მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვებისადმი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახმარება''. გამომცემლობა ,,აჭარა''. ბათუმი, 2004.

51. **მიმღები ოჯახი 1:** http://kidshealth.org/kid/feeling/ome_family/foster_families.html (2011 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით)

52. **მინდობით აღზრდა 1:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება (N 51/ნ) ,,მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ'' 2010 წლის 26 თებერვალი. თბილისი, 2010.

53. **მინდობით აღზრდა 2:** საქართველოს კანონი: ''შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ'' (2011 წლის 14 ოქტომბრის მდგომარეობით)

54. **მინდობით აღზრდა 3:** საქართველოს კანონი: ,,სოციალური დახმარების შესახებ'' (2011 წლის 14 ოქტომბრის მდგომარეობით)

55. **მოსწ. ქცევის კოდექსი 2010:** ,,მოსწავლის ქცევის კოდექსი'' (საქართველოსგანათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 79/ნ) 2010 წლის 30 აგვისტო. თბილისი, 2010.

56. **ნიჟარაძე 2008:** ნიჟარაძე ნინო, მაკლეინი ქესი, ტერეზა ბოლი, ნინო გოგიჩაძე, ლოდია თოდრია. ,,სასწავლო და პროფესიული გარემო''. თბილისი, 2008.

57. **პაპავა 2005:** პაპავა პაატა. ,,სკოლების განახლება საქართველოში''. გამომცემლობა ,,სკოლა, ოჯახი, საზოგადოება''. თბილისი, 2005.

58. **პედაგოგიკის . . 1988**: ,,პედაგოგიკის ისტორია''. ავტორთა ჯგუფი: ვასაძე ნ. გაგუა ვ. გურგენიძე დ. მგალობლიშვილი თ. სიხარულიძე გ. ჩხიკვაძე ა. გამომცემლობა ,,განათლება''. თბილისი, 1988.

59. **პეკინური წესები 1985:** ,,გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ'' (პეკინური წესები). მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/33 რეზოლუციით

60. **პრობაცია 2010:** http://www.probation.ge/content.php?id=658&lang=geo (2011 წლის 29 მაისის მდგომარეობით)

61. **რაფავა 1986**: რაფავა ა. ,,ოჯახში ბავშვის ზნეობრივი აღზრდის საკითხები''. თბილისი, 1986.

62. **რეაბილიტაცია 2011:** http://www.mcla.gov.ge/index.php?action=page&p_id=331&lang=geo (2011 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით).

63. **სარიშვილი 1977:** სარიშვილი ტიტე. ,,მოზარდთა კულტურული ყოფაქცევის აღზრდა''. გამომცემლობა ,,ცოდნა''. თბილისი, 1977.

64. **საპატრიარქოს უწყებანი 2007:** გაზეთი ,,საპატრიარქოს უწყებანი'' თბილისი, 2007.

65. **უზნაძე 2006:** უზნაძე დიმიტრი. ,,ზოგადი ფსიქოლოგია''. თბილისი, 2006.

66. **უზნაძე 2005:** უზნაძე დიმიტრი. ,,სასკოლო ასაკის ფსიოლოგია''. თბილისი, 2005.

67. **უზნაძე 1998:** უზნაძე დიმიტრი. ,,სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია'' თბილისი, 1998.

68. **,,უსაფრთო სკოლა'' 2007:** http://www.parliament.ge/files/1113_18770_647319_Shukakidze.pdf (2011 წლის 14 მარტის მდგომარეობით)

69. **უშუნსკი 1975:** უშინსკი კ. ,,პედაგოგური თხზულებანი'' ტომი II. გამომცემლობა ,,განათლება''. თბილისი, 1975.

70. **უფროსი ძმები 1** http://www.bbbs.org/site (2011 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით)

71. **უფროსი ძმები 2** http://www.una.ge/geo/artdetail.php?group=articles&id=151 (2011 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით)

72. **ფრეიერი 2005:** პაულო ფრეიერი. ,,ჩაგრულთა პედაგოგიკა''. თბილისი, 2005.

73. **ღლონტი 2008:** ღლონტი გიორგი. ,,კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში''. თბილისი, 2008.

74. **ღონღაძე 2004**: ნინო ღონღაძე, ნატო თვალთვაძე, ქეთევან ებანოიძე, დავით ქალდანი, მანანა წულუკიძე, ნანა გურგენიძე, ლევან გარაყანიძე. ,,არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში''. თბილისი, 2004.

75. **ყოლბაია 1985:** ყოლბაია მ. ,,ძნელი ბავშვები''. გამომცემლობა ,,განათლება''. თბილისი, 1985.

76. **შალიკაშვილი 2010** შალიკაშვილი მორის. ,,კრიმინოლოგია''. გამომცემლობა ,,მერიდიანი''. თბილისი, 2010.

77. **შალიკაშვილი 2011** შალიკაშვილი მორის ,, ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის და მსხვერპლის შესახებ''. გამომცემლობა ,,მერიდიანი''. თბილისი, 2011.

78. **შეროზია 2008**: შეროზია ნატო, გელაძე გენადი. ,,შემობრუნება სიკეთისკენ, ანუ სიყვარულით გავასწოროთ ერთმანეთის შეცდომა–შეცოდებანი''. ბათუმი, 2008.

79. **შუშანაშვილი 1980:** შუშანაშვილი გ. ,,ზნეობრივი ღირებულებების სპეციფიკა''. თბილისი, 1980.

80. **ჩემი უფროსი მეგობარი 2011:** http://www.justice.gov.ge/index.php?langid=GEO&sec_id=146&info_id=2999 (2011 წლის 17 აპრილის მდგომარეობით)

81. **ჩხარტიშვილი 1958:** ჩხარტიშვილი შალვა. ,,ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა''. თბილისი, 1958.

82. **ცირამუა 2011:** ცირამუა მაია. ,,ფსიქოსოციალური სამსახური საჯარო სკოლებში''. წიგნში ,,უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე''. თბილისი, 2011.

83. **ცუცქირიძე 1997:** ცუცქირიძე ზურაბ. ,,ლექციების კურსი პედაგოგიკაში'' პირველი ნაწილი (აღზრდის თეორია). თბილისი, 1997.

84. **ცუცქირიძე 2005:** ცუცქირიძე ზურაბ, ორჯონიკიძე ნინო. ,,განათლების თანამედროვე თეორიები''. თბილისი, 2005.

85. **წმინდა იოანე ოქროპირი 1990:** წმინდა იოანე ოქროპირი ,,ბავშვთა აღზრდის შესახებ''. წიგნში ,,სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა'' ტომი I. თბილისი, 1990.

86. **წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი 1913:** წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ,,ქადაგებანი'' ტომი I. ქუთაისი, 1913.

87. **წითაშვილი 2009:** წითაშვილი ივეტა. ,,ეს შენი უფლებაა''. გამომცემლობა ნეკერი. თბილისი, 2009.

88. **ხასია 2006:** ხასია მაია. ,,მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები''. ნაწილი II. გამომცემლობა ,,თბილისელები''. თბილისი, 2006.

89. **ჯანაშია 2008**: ჯანაშია ნათია, იმედაძე ნათელა, გორგაძე სოფიო ,,განვითარებისა და სწავლის თეორიები''. თბილისი, 2008.

90. **ჯაინოტი 1991:** ჯაინოტი. ჰ. ჯ. ,,მშობლები და შვილები''. თბილისი, 1991.

91. **ჯურინსკი 1999:** ჯურინსკი ა. ,,განათლების განვითარება მსოფლიოში''. მოსკოვი, 1999.

92. **Автономов 2009:** Автономов А. С. ,,Ювенальная юстиция''. Учебное пособие. М.: Российский благотворительный фонд «Нет алкоголизму и наркомании» (НАН), Москва

93. **Адмиральская 2011:** Адмиральская И. С., Йошпа Н. А., Шиловская А. Л. Участие волонтеров в работе с несовершеннолетними правонарушителями в рамках программ восстановительного правосудия: Методическое пособие. – М.: Институт права и публичной поли-тики. – 96 с. – (Серия «Методы работы с несовершеннолетними правонарушителями»).

94. **Алексеев 1984:** Алексеев А.И. Педагогическое основы предупреждений органами внутренних дел. М.

95. **Александрова 2007**: Александрова Т.В. спортивные игры на уроках физической культуры как средство сосиальной компетенции. Журнал Ментор №1.

96. **Березин 2000:** Березин С.В. , лисецкий К.С. Психология ранней наркомании. Москва

97. **Бочаров 2005:** Бочаров Витали – Система формирования социальной компетентности специалиста органов внутренних дел в процессе профессиональной подготовки. Ставрополь

98. **Булгакова 2010:** Булгакова М. В., Дозорцева, Е. Г., Дрейзин А. А., Ошевский Д. С., Полятыкин С. А., Солдатова Т. Е. «Оценки рисков и возможностей» (ОРВ) в организации социально-психологического сопровождения несовершеннолетних правонарушителей. Москва

99. **Ветошкин 2008:** Ветошккин С.А. ,,Профилактика безнадзорности и правонарушений''. «Российский государственный профессионально-педагогический университет»

100. **Выготский 1967:** Выгодский Л. ,,Воображение и творчество в детском возрасте“. Москва

101. **Выготский 1960:** Выгодский Л. ,,Развитие высших психических функций“ Москва

102. **Далто 2004:** Далто Франсуа ,,Со стороны ребенка“ Париж-Санкт Петербург

103. Дубинин 1982: Дубинин Н.П., Карпец И.Н., Кудрявцев В.Н., Генетика, пповедение, ответственность, М.

104. Дубровский 1988: Дубровский А. А., ,,Открытое письмо врача учителю''. Здоровье детей - будущее народа. изд.Просвещение

105. Зеньковский 1996: Зеньковский В. ,,Педагогика,, Париж – Москва

106. Ильина 2004: Ильина М. ,,Преступление и наказание несовершеннолетних правонарушителей: Мнения населения и экспертов''. По материалам конкретного социологического исследования подростковой преступности''. Центр независимых социологических исследований.

107. Ковтуненко 2008: Ковтуненко Л.В., Коломенцев Д.В. ,,Роль семьи в воспитании и исправлении несовершеннолетних осужденных'' «Уголовно-исполнительная система: право, экономика, управление», № 4

108. Колесов 2001: Колесов Д.В. Антинаркотическое воспитание. Москва

109. Корнюшина 2004: Корнюшина Р. В. ,,Зарубежный опыт социальной работы''. Издательство Дальневосточного университета

110. Кудрявцев 1997: Кудрявцев Г. С. ,,Содержание формы и методы криминологической профилактики в условиях социально-правовых реформ''. М.: Мос. Гос. Индустр. Ун-т

111. Мардахаев 2005: Мардахаев Л.В.,,Социальная педагогика''Москва

112. Паатова 2007: Паатова М.Э. **,,**Педагогическая реабилитация несовершеннолетних правонарушителей в условиях учреждений закрытого типа''. www.vestnik.adygnet.ru/files/2007.4/568/paatova2007_4.**pdf**

113. Паатова 2009: Паатова М.Э. ,,Профессиональная компетентность специалистов по реабилитации несовершеннолетних правонарушителей в контексте личностно-развивающей парадигмы образования''. Адыгейский государственный университет (г. Майкоп). Электронный научно-

образовательный журнал ВГПУ «Грани познания». №4(5). Ноябрь www.grani.vspu.ru

114. **Печников 2006:** Печников, Н.П. ,,Профилактика правонарушений и предупреждение преступлений". Тамбов : Изд-во Тамб. гос. техн. ун-та

115. **Пиаже 2008**: Пиаже Жан. ,,Речь и мышление ребенка''. Римис

116. **Правосудие .. 2010:** ,,Правосудие по делам Несовершеннолетних'' Пособие по оценке систем уголовного правосудия Организация Объединенных Наций Нью-Йорк

117. **Романко 2010:** Романко О.А., Смирнова А.Р ,,Проявление чувства вины и ответственности у несовершеннолетних преступников'' . Московский городской психолого-педагогический университет. Москва

118. **Столяренко 2000:** Столяренко А. М. Юридическая педагогика. М.

119. **Шакурова 2007:** Шакурова М.В. ,,Методика и технология работы социального педагога''. М., Академия

120. **Шацкий 1980:** Шацкий С. ,, Избранные педагогические сочинения'' Т. I Москва

121. **Bandura 1997:** Bandura, A. Self-efficacy: the exercise of control. New York: Freeman

122. **Committee 2007:** Committee on the Rights of the Children
Forty-fourth session
Geneva, 15 January-2 February 2007
General Comment No. 10 (2007)
Children's rights in Juvenile Justice

123. **Doel 2010:** Doel Mark, Iago Kachkachishvili, Tatyana Semigina – "Social Policy and Social Work in Transition " Volume 1 Issue 1, February 2010

124. **Guidelines. . . 2010:** Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child friendly justice (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098 th meeting of the Ministers' Deputies. Appendix 6 (Item 10.2c)

125. Kupperstein 1971: Kupperstein L. "Treatment and Rehabilitation of Delinquent Youth: Some Sociocultural Considerations". Éditeur: Les Presses de l'Université de Montréal

126. Lipsey 2000: Lipsey Mark, David Wilson, Lynn Cothern ,,Effective Intervention for Serious Juvenile Offenders''. U.S. Department of Justice. Office of Justice Programs. Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention.Washington, DC 20531.

127. Matvya 2006: Matvya Jennifer, Lever Nancy, Boyle Rick ,, School Reentry of Juvenile Offenders''. Center for Schol Mental Health Analysis and Action, Department of Psychiatry, University of Maryland School of Medicine. Baltimore, Maryland

128. Perkins 2007: Perkins, D. Smart schools. Better thinking and learning for every child. New York: The Free Press

129. Recommendation 2003: Recommendation Rec(2003)20 of the Committee of Ministers to member states concerning new ways of dealing with juvenile delinquency and the role of juvenile justice (Adopted by the Committee of Ministers on 24 September 2003 at the 853rd meeting of the Ministers' Deputies)

130. Recommendation 2008: Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to member stateson the European Rules for juvenile offenders subject to sanctions or measures (Adopted by the Committee of Ministers on 5 November 2008 at the 1040th meeting of the Ministers' Deputies)

131. Snyder 1999: Snyder Howard, Sickmund Melissa. National Report Series ,,Juvenile Justice Bulletin''. U.S. Department of Justice. Office of Justice Programs.Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention.

132. Sullivan 2001: Sullivan Kate, Rose Nancy, Murphy Thomas. ,,Connecting Juvenile Offenders to Education and Employment''. U.S. Department of Justice. Office of Justice Programs.Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention.

133. Wiig 2008: Wiig Janet, Tuell John ,,Juvenile Justice &ChildWelfare
System Coordination and Integration''. Printed in the United States of America